# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 14 ნოემბერი 2000 №220 (1242) | ფასი 50 თეთრი


## კაცებმა შეძლეს, ქალებს შეეძლოთ, ახალგაზრდები შეძლებენ

**საქართველოს** ორივე საჭადრაკო ნაკრებმა ელიტის ოლიმპიადასთან შედარებით ნაბიჯით წაიწია, მაგრამ ეს ნაბიჯები ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება. ვაჟები ელისტაში ორ სხვა ნაკრებს მეხუთე-მეშვიდე ადგილებს შეეზიარნენ და დამატებითმა მაჩვენებლებმა ისინი სამეულის ბოლოს განათავსა, ხოლო ამჯერად მეექვსე ადგილი მოპოვებულია სუფთად, შვიდ უახლოეს მდევართან ერთქულიანი უპირატესობით. უკან დარჩნენ ინგლისი, რომელსაც „კაცი-ობობა“ მაიკლ ადამსი მოუძლოდა და განთქმული ნაიჯელ შორტიც იქვე იყო, შვეიცარია უბერებელი ვიქტორ კორჩნოის თამადობით და კიდევ უკან — ბულგარეთი, რომელმაც სტამბოლში ჩემპიონ რუსეთს მოუგო, ჩვენ კიდევ 3:1 დავამარცხეთ.

ქართველ ქალებს მეტის გაკეთება შეეძლოთ. მათი ამოცანა საქართველოსთვის ქალთა ჭადრაკის ფლაგმანის იმიჯის დაბრუნება იყო, ელისტის ბრინჯაოს სტამბოლში ვერცხლადქცევამ კი ამოცანა ვერ გადაჭრა: ჩინელებმა გაგვისწრეს და ის იმიჯი თავად განიმტკიცეს. სხვაფრივ ჩვენი ქალების გამოსვლაც წარმატებული იყო, მეორე ადგილი და ნინო ხურციძის მცირე ოქროა ამის დასტური. უეჭველად გამოსარჩევი და სასიამოვნო კიდევ ისაა, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა დამაჯერებლად ითამაშეს და პერსპექტივის გრძნობა გაგვიჩინეს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი


მამუკა დარჩია ქუთაისიდან

გიორგი იმედაძის (მარჯვნივ) „ტორპედო“ რევაზ ქემოკლიძის „დინამომ“ წააქცია

## დინამო ტორპედოს დინამიტია

ცამეტი ტური დასჭირდა ამ ამბავს. მანამდე ვერავინ მოახერხა ჩემპიონის წაქცევა. „დინამომ“ კი, ბოლოს ქუთაისში მეცხრე გათამაშებისას რომ მოეგო, „ტორპედო“ დაამარცხა.

ორი თვე ელოდა ამ დღეს „ლოკომოტივი“. რკინიგზელებმა შანსი გამოიყენეს და „გორდას“ მძლეველნი ჩემპიონატის ლიდერები შეიქნენ.

ისევ დასცხათ მსაჯებს. ზოგს სიმთვრალე, ზოგსაც მიკერძოება დაბრალდა. მოკლედ, მეცამეტე ტურმა სიახლეც მოიტანა და ინტრიგაც.

მეცამეტე ტურის მატჩების მიმოხილვა იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდებზე

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — მეორე წრე

## 13 ტური

11 ნოემბერი, შაბათი

| | |
|---|---|
| ტორპედო | 0 |
| დინამო | 1 |
| იბერია | 1 |
| კოლხეთი | 2 |
| თსუ | 1 |
| ბათუმი | 2 |
| მერანი | 0 |
| დილა | 0 |
| სიონი | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| გორდა | 0 |
| ლოკომოტივი | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 13 | 11 | 0 | 2 | 28:7 | 33 |
| ტორპედო | 13 | 10 | 2 | 1 | 20:5 | 32 |
| დინამო | 13 | 9 | 1 | 3 | 26:13 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 7 | 4 | 2 | 20:7 | 25 |
| კოლხეთი | 13 | 6 | 1 | 6 | 14:14 | 19 |
| ბათუმი | 13 | 6 | 1 | 6 | 17:15 | 19 |
| სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 11:12 | 15 |
| მერანი | 13 | 3 | 6 | 4 | 12:16 | 15 |
| თსუ | 13 | 4 | 1 | 8 | 15:25 | 13 |
| გორდა | 13 | 2 | 5 | 6 | 10:20 | 11 |
| დილა | 13 | 2 | 3 | 8 | 8:22 | 9 |
| იბერია | 13 | 0 | 1 | 12 | 3:28 | 1 |

# ეს უნდა იყოს: ლუისი VS ტაისონი

## ვიღას ახსოვს ალალი ტუა, ხალხს დიდთა ბრძოლა სწყურია



ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით გაიმართა: ლას ვეგასი, კაზინო, შოუ, წითელ-ყვითელი ნათება, მუქარა და ენამახვილობა, მრისხანე სახეები, ყალყზე მდგარი თმა, 12 რაუნდი, დარტყმათა ჯერი და მომაკვდინებელი მარცხენა ჰუკი, რომელიც ვერავინ იხილა... ლენოქს ლუისმა WBC-ს და IBF-ის ტიტულები დაიცვა.

და მაინც, მისი და დავიდ ტუას ბრძოლას რაღაც აკლდა. ალბათ, ის კაცი, რომელიც იმ დღეს ფინიქსში, თეთრ ცხენზე ამხედრებულიყო.

დიახ, მართალია, დავიდ ტუა ვაჟკაცი აღმოჩნდა და დიდ ჩემპიონს 12 რაუნდის განმავლობაში დაუდგა, ამ ბრძოლის შემყურე ხალხი მაინც ლუისის და მაიკ ტაისონის მომავალ, ვეებერთელა დაპირისპირებაზე ფიქრობდა.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი





საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი პირველი წრე

# 13 ტური

# მთვრალია ეს?

## რაზე შეიძლება ბჭობდნენ ქართველი ფეხბურთელები შესვენებაზე


„გორდას“ მეკარე გიორგი ნიკურაძემ მართლაც იმარჯვა: ძნელი ბურთი ხელებში გაიქვავა

რუსთავი
11 ნოემბერი
15 საათი
ფოლადი
3 500 (ტევადობა 10 700)

**გორდა 0:1 ლოკომოტივი**

0:1 კვარაცხელია (78)
გორდა: ნიკურაძე, ბერიძე, მჭედლიძე, ბექაური, ლაშა სილაგაძე, ა. ბუკია (კიტეიშვილი 57), მელაძე, ზ. ლაბაძე (ლ. კაპანაძე 83), ალადაშვილი, მიშველიძე, ივერიანი
სათადარიგონი: გონგაძე, ბაჩილავა, მ. სახვაძე, გ. გ. მიქაძე
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, კვარაცხელია, ქიქვეიშვილი, ხიზანიშვილი, გ. შენგელია (გილაური 59), გონჩაროვი, რუსია (პარამონოვი 64)
სათადარიგონი: ძალანაძე, დავითაშვილი, დ. არჩვაძე, ძოძუაშვილი, თ. აფციაური
გაფრთხილება: ლაბაძე (12), თოდუა (25), ნიკურაძე (38), მჭედლიძე (43), რუსია (43), კიტეიშვილი (70)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი, ლ. რაზმაძე (ორივე გორი), ზ. ჯვარიძე, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

**პაატა კვანტალიანი რუსთავიდან**

**ჩვენში** ჯერ არნახული სკანდალი მწიფდებოდა შაბათს „ფოლადზე“. „გორდა“ — „ლოკომოტივის“ მატჩის პირველი ტაიმი სრულდებოდა, რომ არბიტრის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ფეხბურთელები ერთამანეთს წაეკიდნენ, ზურაბ ანიაშვილმა გუნდური ჩოჩქოლი ყვითელი ბარათებით ჩააცხრო. და აქ მოხდა გაუგონარი რამ, რუსთაველმა ფეხბურთელებმა ერთხმად იყვირეს, მსაჯი მთვრალია, რა დროს ფეხბურთიაო. ლოკომოტიველებიც გაოცებულნი შლიდნენ ხელებს, ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად ულიმოდნენ და გაოცებულნი უმზერდნენ არბიტრს. ანიაშვილმა როგორღაც ჩაამთავრა ტაიმი და ჩოჩქოლმა უკვე სამსაჯო ოთახთან გადაინაცვლა. „გორდას“ პრეზიდენტი თემურ ბუილიშვილი მხრებს იჩეჩავდა, ასეთი რამ არსად გამიგია, რას ჰგავს ეს, ამის მოთმენა შეუძლებელიაო. უკმაყოფილო იყო იასონ ალადაშვილიც, ფეხბურთელები კი გაცხოველებით ბჭობდნენ იმაზე, თუ რამდენი ექნებოდა მსაჯს დალეული მატჩის წინ. მასპინძლებმა პოლიციელი აფრინეს ექსპერტის მოსაყვანად, მაგრამ შემდეგ გაარკვიეს, რომ შესვენებაზე მსაჯის შემოწმება დებულებით აკრძალული ყოფილა და ამ პროცედურის ჩატარება მატჩის შემდეგ გადაწყვიტეს. მალე გაგზავნილი პოლიციელიც დაბრუნდა. მსაჯის ექსპერტიზა სტადიონზე არ მოხერხდება, მისი ლაბორატორიაში წაყვანაა საჭიროო — განაცხადა წესრიგის დამცველმა. მეორე ტაიმის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე კი მსაჯების გასახდელში „გორდას“ წარმომადგენელი იხმეს. მერე მეორე ტაიმიც დაიწყო, რომელშიც „ლოკომოტივმა“ ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი გაუტანა მეტოქეს, არბიტრი ანიაშვილი კი აღარავის გახსენებია. მოკლედ, ასაფეთქებლად მოკიდებული პატრუქი უცებ ჩაქრა. ისე, რაც მართალია, მართალია, მეორე ტაიმში ნაბახუსევის არაფერი შეტყობია ანიაშვილს, მშვიდად და უშეცდომოდ ჩაამთავრა შეხვედრა.

რაც შეეხება თავად მატჩს, „ფოლადზე“ სამიათას ხუთასამდე ქომაგმა მოიყარა თავი და ამით გამხნევებული „გორდა“ დებიუტშივე მედგრად ექვეთა თასის მფლობელს. მაგრამ მასპინძელთა მონდომებამ ათიოდე წუთს გასტანა, შემდეგ კი რკინიგზელები დამშვიდნენ და მატჩის სადავეებიც ხელთ იგდეს. მეთერთმეტე წუთზე ბალაშვილის ჩაწოდებიდან გონჩაროვის თავურის აღება მოუხდა ნიკურაძეს, ორი წუთის შემდეგ კი კვარაცხელიას გამოზომილ პასს გაწოლილი თავური მოაყოლა რუსიამ, მაგრამ მასპინძლები ხარიხამ იხსნა.

„ლოკომოტივის“ უპირატესობა მეორე ტაიმში უფრო თვალსაცემი გახდა. ორჯერ ბალაშვილს, თითოჯერ კი გონჩაროვსა და კვარაცხელიას ანგარიშის გახსნის შესანიშნავი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები გააფუჭეს.

გამორჩეული თვალთახედვის არეში იყო ზურაბ ხიზანიშვილი. გეხსომებათ, მისი საქმეში ნახვა „არსენალის“ სკაუტ სტივ როულს სწორედ რუსთავში სურდა. ალბათ, ამიტომაც საგანგებოდ მოემზადა ხიზანიშვილი „გორდასთან“ შეხვედრისთვის და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო თანაგუნდელთა შორის. ლონდონელი სკაუტი შაბათს „ფოლადზე“ რომ ყოფილიყო, გარწმუნებთ, ზურაბს მოსალოცად ექნებოდა საქმე, თუმც 70-ე წუთზე ისეთი რამ მოხდა, უმალ წამოიშალა სტუმართა სათადარიგო სკამი, ხიზანიშვილი ორ მეტოქესთან ჭიდილში დაეცა და ექიმის დახმარება დასჭირდა, მაგრამ მისდა (არა მარტო) საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა.

მატჩის ერთადერთი გოლი 78-ე წუთზე გავიდა. კვარაცხელიამ ბალაშვილის კუთხურის შემდეგ მცველებს [...] ჩაძინებულ ნიკურაძეს აჯობა და [...]ვით ანგარიში გახსნა. დარჩენილ დრო[...]ში „გორდამ“ გაიბრძოლა. ჯერ კიტე[...]იშვილმა სცადა მოჭრილი დარტყმით გოლის გატანა, მაგრამ ლომაიამ აჯობ[...] შემდეგ კი ლაშა სილაგაძის ეფექტუ[...]რი „მაკრატელა“ ასცდა კარს. ჰო, მა[...]რთლა, „ფოლადზე“ ძმები სილაგაძე[...]ბი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. რო[...]გიანადაც გაისარჯნენ, ნამატჩევს [...] ძმურად ჩაეხვივნენ ერთმანეთს და მა[...]სურები გაცვალეს.

რუსთავში აღებული სამი ქულა [...] საპირველადგილო აღმოჩნდა რევაზ ძო[...]ძუაშვილის „ლოკომოტივისთვის“. რკი[...]ნიგზელებმა ქუთაისში „ტორპედოს“ [...] წაქცევით ისარგებლეს და ჩემპიონ[...] ქულით გადაასწრეს.

# ბოლნისში იყო...

ბოლნისი
11 ნოემბერი
15 საათი
თემურ სტეფანია
2 000 (ტევადობა 3 000)

**სიონი 1:1 ვიტ ჯორჯია**

1:0 ისიანი (3 მ) 1:1 ქორიძე (10)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ძამპინძლაშვილი, ირემაშვილი, მინდიაშვილი, გამცემლიძე (მ. გოგოლაძე 46), მოსეშვილი (კ. მეტრეველი 65), სოლოღაშვილი, ბარნოვი, ისიანი, წიფწივაძე
სათადარიგონი: დბლაქიშვილი, ჯაფარიძე, დიმიტრიშვილი, ჩაგელიშვილი
ვიტ ჯორჯია: მერლანი, საჯაია, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, დოლმულაშვილი, დეკანოსიძე, გიორგი ქორიძე, დ. დოლიძე (სულთანიშვილი 55), ლ. მელქაძე (ვ. გოჩაშვილი 79)
სათადარიგონი: სტურუა, ზ. გვაზავა, თავაძე
გაფრთხილება: დეკანოსიძე (14), სოლოღაშვილი (17), ნოზაძე (40), მელქაძე (43), მუჯირი (76)
გაძევება: სოლოღაშვილი (35), მუჯირი (77)
მსაჯები: ა. შილაკაძე, ი. შალამბერიძე, ზ. დოლიძე, ა. კრიჟაშვილი (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

**მამუკა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**მასპინძელი** უკმაყოფილო, სტუმარი აღშფოთებული... საბოლოოდ მშვიდობა და სიწყნარე... დაძაბული და საინტერესო ბურთაობა „თემურ სტეფანიაზე“. შაბათს ბოლნისში ფეხბურთთან ერთად ნერვების თამაშიც იყო.

ჩემპიონის დარად, ქვემო ქართლში ნასტუმრევმა ვიცე-ჩემპიონმა მხოლოდ ქულა იმყოფინა. ფრემ თავისთავად ორივე გუნდს გაუფუჭა საქმე. ამიტომაც იყო სტუმარ-მასპინძელი მსაჯობით უკმაყოფილო. „სიონი“ თავის გაძევებულ-გაფრთხილებულ მოთამაშეებზე ჩიოდა, „ვიტ ჯორჯია“ ბოლნისური მატჩის შემდეგ თითქმის განახევრდა, ჰოდა, მსაჯთა მიმართ პრეტენზიებიც მრავლად გამოითქვა.

„თემურ სტეფანიას“ ორი ათასამდე გულშემატკივარი ეწვია. მსაჯ-ინსპექტორს ფეხბურთის ფედერაციიდან პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და შაბათს უქმად მყოფი სამსაჯოსაინსპექტორო კომიტეტის წევრი ადიკ დურსუნიში მოჰყვნენ.

პრეზიდენტი და გენერალური მდივანი თხუთმეტიოდე წუთის დაგვიანებით ეწვივნენ ბოლნისურ სარბიელს. თბილისიდან ქვემო ქართლისკენ მომავალ ფედერაციის ჩინოსნებს გზად უშუქობისგან გამწარებული ხალხის პიკეტი დახვედრიათ. დაგვიანების მიზეზიც ეს ყოფილა.

მანამდე ანგარიში გახსნილიც იყო და გაქვითულიც. ბოლნისელმა ისიანმა საჯარიმოს წინ ბურთი მარცხნიდან მიიღო. თავდამსხმელმა სტუმართა მეკარისკენ წაიწია, საჯარიმოში შეგდებულ ბურთს შეჰყვა, კობიაშვილსა და ჭანკოტაძეს შორის გაძრომა სცადა და წაიქცა.

მსაჯი შილაკაძე შეუვალი გამოდგა. მისმა სასტვენმა, პენალტის ნიშნულისკენ გაშვერილმა ხელმა მატჩში პირველი უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ...

ისიანმა შანსი აუღელვებლად გამოიყენა და „სიონიც“ დაწინაურდა. სტუმრებს შვიდი წუთი ეყოთ, რათა თამაში სათავისოდ შემოეტრიალებინათ. საჯაია— დეკანოსიძის დაწყებული კომბინაცია გერმანიიდან დაბრუნებულმა ქორიძემ საგოლე დარტყმით დააბოლოვა. მასპინძელთა შემცდარმა დაცვამ თავდამსხმელს ხელი ვერ შეუშალა, ვერც კოჭებამდე ტალახში მდგომმა ვოლკოვმა იხსნა თავისიანები, ვერ შესწვდა მარჯვენა კუთხეში ზუსტად, მაგრამ არცთუ ძლიერად დარტყმულ ბურთს.

მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. მსაჯმა წითელ-ყვითელები ააფრიალა. პირველი მსხვერპლი მასპინძელი დავით სოლოღაშვილი იყო. „სიონის“ ერთ-ერთ ლიდერს ჯერ უმისამართოდ წამოსროლილი სიტყვები არ ეპატია, მერე — ხისტი თამაში.

პირველი ტაიმის შუაწელიდან უპირატესობას „ვიტ ჯორჯია“ დაეუფლა. გატანა ლევან მელქაძეს და ლაშა ნოზაძეს შეეძლოთ. თავდამსხმელის სახიფათო თავური ვოლკოვმა მოიგერია, ნახევარმცველის დარტყმული ძელს მოხვდა.

გატანა მასპინძლებსაც ძალუძდათ. წივწივაძემ ხელსაყრელი პოზიციიდან დარტყმა ვერ მოახერხა, ისიანმა კარს ვერ დაუმიზნა.

მეორე ტაიმში „ვიტ ჯორჯია“ ბევრს უტევდა, მაგრამ საგოლე კომბინაცია ვერაფრით განახორციელა, ხოლო დამთავრებამდე 13 წუთით ადრე სტუმართა ყველაზე დიდი უპირატესობა გაქრა — შილაკაძემ ჯაბა მუჯირი გააძევა.

...საფინალო სასტვენი. მომრავლებული პრეტენზიები და უკმაყოფილება. ფეხბურთელები, ზოგი მთავარ მსაჯს დაემდურა, ზოგიც გვერდით ზურაბ დოლიძეს. წალაპარაკებებს იქით საქმე არ წასულა. მსაჯები მშვიდად შევიდნენ გასახდელში და მშვიდად შეავსეს მატჩის ოქმი.

ახლა თამაშის მომენტებზე გავამახვილოთ ყურადღება. გაფრთხილებები, გაძევებები, ბოლნისიდან ხელს გამოყოლებული მოთამაშის ბარათები, ჯარიმა, დანიშნული თუ გატარებული და ასე შემდეგ. მსაჯებს თამაშის შემდეგ ანამუსებდნენ, საპატიო სტუმართა ლოჟაში ხელმძღვანელები შენიშნე და ჯიბეზეც მალიმალ ამად იკრავდი ხელსო.

შილაკაძემ მართლაც ერთი სიტყვა არ შეარჩინა ბევრს, მაგრამ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის ბარათის დატუსაღება მართებდათ მსაჯებს. გინებისთვის ერთი დასაჯო, სხვებს კი აპატიო, საქმეს არ წაადგება.

სტუმრები მათ კარში დანიშნულ თერთმეტმეტრიანზე დავობდნენ. სიმ[...]რთლე მოგახსენოთ, პენალტი მეც ს[...]ეჭვო მეჩვენა, მაგრამ...

თანამსაჯი ზურაბ დოლიძე იმ ეპ[...]ზოდში მართლა არ ტყუოდა. პენალ[...]ტამდე ბურთს მოედანი არ დაუტოვ[...]ბია, სოლოღაშვილმა ზედ ხაზზე მი[...]სწრო და ისიანსაც წესების სრულ[...] დაცვით მიაწოდა. ვიტელებს კი ბუ[...]რთი გვერდით ხაზს იქით გადასულ[...] ეგონათ. სხვაზე, აბა, რა მოგახსენო[...] სადავო ორივე მხრიდან რამდენიმე მო[...]მენტში იყო.

იქნებ მე ვცდები და მართლა მომ[...]ჩვენა, მსაჯები კი ცამდე მართლე[...] იყვნენ, მაგრამ სხვებმაც რომ ჩემს[...]ვით დაინახეს?!

იმედია, სპეციალისტები გაარჩევ[...] საეჭვო სიტუაციას და ყველაფერი გ[...]ირკვევა. ის კი ფაქტია, რომ „ვი[...] ჯორჯია“ შემდეგ ტურში ძირითად[...] ხუთ ფეხბურთელს მოისაკლისებს.

ერთადერთი, ვინც შაბათს ბოლნი[...]სში უნდა ყოფილიყო და ვერ ჩამო[...]და, მასპინძელთა თავკაცი სპარტაკ [...]ჩვაძეა, „სიონის“ მწვრთნელი შეუძლ[...] გამხდარა, მაღალმა წნევამ და გ[...]ლმა შეაწუხაო, გვითხრა მისმა თან[...]შემწე თენგიზ კუბლაშვილმა.

**გერმანია**

II ბუნდესლიგა
XII ტური
ნიურნბერგი 3:1 ოსნაბრუკი

**იტალია**

სერია B
XI ტური
კალიარი 1:1 კოზენცა

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თსუ: შეკვე მეტისმეტია

მცხეთა
11 ნოემბერი
15 საათი
არმაზი
100 (ტევადობა 3 000)

**თსუ 1:2 ბათუმი**

0:1 აფხაზავა (5), 0:2 მუჯირი (24 პ), 1:2 ადამია (66)
თსუ: გუგუნავა, ებრალიძე, ხარებავა (კვირიანი 81), ე. ალადაშვილი, სვანიძე, ახალაძე, რ. გოცირიძე, მესხი, ერაძე, ადამია, წუწუნავა
სათადარიგონი: მამარდაშვილი; არეშიძე, მორჩილაძე, ვადაჭკორია
ბათუმი: ბედიაშვილი, გველესიანი, პაპიძე, მინდაძე, მჟავანაძე, დარჩიძე (ბაჩილავა 75), გელა ქორიძე, ლლონტი, ა. მუჯირი, რომანაძე (სიამაშვილი 89), აფხაზავა (სიხარულიძე 88)
სათადარიგონი: ჯაში; ქაცარავა, ყულეჯიშვილი, ბეჟანიძე
გაფრთხილება: ალადაშვილი (5), ახალაძე (28), მჟავანაძე (33), ერაძე (48), ებრალიძე (58), პაპიძე (70)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. გვანცელაძე

**ვანო ოძროშვილიძე მცხეთიდან**

„**მსაჯობით** უკმაყოფილო ბევ-
[ჯე]რ ვყოფილვარ, მაგრამ ეს საჯაროდ
[ა]რასოდეს გამომიხატავს. ყოველთვის
[ვე]რიდებოდი ამას. დღეს კი არ შემიძ-
[ლ]ია, არ ვთქვა — მათ ყოველგვარ
[ზ]ღვარს გადააჭარბეს. შალამბერიძემ მი-
[ა]ღწია იმას, რაც წინასწარ ჰქონდა გა-
[ნ]ზრახული. როგორ შეიძლება, რაიმე
[წ]ესი ერთი გუნდისთვის არსებობდეს
[და] მეორესთვის არა. გეკითხებით, მე-
[რა]მდენე მატჩია, რაც თსუ-ს კარში
[სა]ეჭვო პენალტს ნიშნავენ? ხანდახან

ორიც კი დაუდვიათ. იგივე „ბათუმთან" საგარეო შეხვედრაში ანგარიში 1:1 იყო, როცა მსაჯმა წუთნახევარში ორი თერთმეტმეტრიანი დანიშნა ჩვენს კარში და მატჩი წაგვაგებინა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ბიჭები შრომობენ, წვალობენ და შემდეგ ყველაფერი წყალში ეყრებათ. აღარც მინდა ხოლმე ასეთი თამაშის შემდეგ გასახდელში შესვლა. რა პასუხი უნდა გავცე, რით დავამშვიდო"...ჩიოდა თსუ — „ბათუმის" მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მასპინძელთა თავკაცი თენგიზ კაცია.

თსუ-ს უფროსობა და ქომაგები პირველ ტაიმში და მეორე ნახევრის 67-ე წუთზე დატრიალებულმა მოვლენებმა ალაშფოთა. მსაჯის მიმართ მცირე უკმაყოფილებას თსუელები მატჩის დასაწყისიდანვე გამოხატავდნენ, როცა ყოველი ორთაბრძოლა მასპინძლის დაჯარიმებით სრულდებოდა. ეს ყველაფერი კი 24-ე წუთზე თსუ-ს კარში ძალიან საეჭვო პენალტის დანიშვნამ გაამძაფრა — საჯარიმოში შეჭრილ აფხაზავას ალადაშვილმა თითქოს სუფთად წაართვა ბურთი, თუმცა შალამბერიძემ სხვაგვარად განსაჯა და მუჯირმა სხვაობა ორ ბურთამდე გაზარდა. მანამდე, მატჩის დასაწყისშივე აფხაზავამ გამოსვლაზე გუგუნავას შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

მეორე გაშვებულმა გოლმა თსუ გააღიზიანა, მასპინძლებმა უხეშობას მიჰყვეს ხელი, რამაც მეტოქე ფეხბურთელთა შორის რამდენჯერმე შელაპარკება გამოიწვია. შალამბერიძე ყველა შემთხვევაში სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა, მხოლოდ ახალაძე და მჟავანაძე „გააყვითლა" უხეშობისთვის.

პირველი ტაიმი ისე გაილია, რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. ერთი ერაძეს ჰქონდა შანსი, როცა ზედ საჯარიმოს ხაზთან ჯარიმა დაინიშნა, მაგრამ ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები ოდნავ გამოცოცხლებულნი გავიდნენ მინდორზე, თუმც რეალური საფრთხე ბათუმელთა კართან 66-ე წუთამდე ვერ შექმნეს. 66-ეზე კი ერთი საპასუხო გოლიც გავიდა — სვანიძის საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ადამიას მიუვიდა, რომელმაც მცველებთან ბრძოლაში ვარდნაში დარტყმა მაინც მოახერხა, წინ გამოსული ბედიაშვილი კი გადახტა, მაგრამ ბურთს ვერ მისწვდა. ამ გოლიდან ზუსტად ერთ წუთში გოცირიძე ბათუმელმა მცველებმა თავიანთ საჯარიმოში მაისურაზე დაქაჩეს, ტრიბუნიდან ნალდ პენალტს ჰგავდა, მაგრამ შალამბერიძემ ამას ყურადღება არ მიაქცია, რამაც მასპინძლები ალაშფოთა. მატჩის ბოლომდე, ფაქტობრივად, აღარაფერი მომხდარა, 85-ე წუთზე სტუმართა კონტრშეტევას თუ არ ჩავთვლით, მაშინ აფხაზავას პასით გელა ქორიძე დარჩა მეკარესთან მარტოდმარტო, ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ გუგუნავამ სასწაულებრივად აულო.

თამაშის შემდეგ თსუელები შალამბერიძეს ეკამათებოდნენ და თავიანთ სიმართლეს უმტკიცებდნენ, რითაც კიდევ უფრო დაზარალდნენ — შალამბერიძემ მასპინძელი ერაძის მონაწილის ბარათი გამოაყოლა ხელს, ფეხბურთელმა მაგინაო.



მთავარი მოქმედი პირი კადრიდან გავიდა:
სახიფათოდ დარტყმული ბურთი სტუდენტთა მეკარე კონსტანტინე გუგუნავამ მოიგერია

# ეს არ იყო შეცდომა

ზესტაფონი
11 ნოემბერი
15 საათი
მეტალურგი
200 (ტევადობა 10 000)

**იბერია 1:2 კოლხეთი**

1:0 ნოზაძე (23), 1:1, 1:2 ე. გვასალია (33, 85)
იბერია: ჩომახიძე, ჟვანია, გ. ნოზაძე, მიქელთაძე, გიორგაძე, ლ. ხმალაძე, სანიკიძე, ყურაშვილი, ოდიკაძე, ბიწაძე, მუმლაძე
სათადარიგონი: ვარდანიძე; ქოლაძე, ონიანი
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ახალკაცი (კვასოვსკი 46), გოგიაშვილი, ღლონტი (მაგულიძე 70), კაკლიაშვილი, ხუჭუა, ე. გვასალია, ფანჩულიძე, კვირკველია (ქანთარიძე 85)
სათადარიგონი: ბერაია; ქუთხელია, ბაბუა, გ. ჩიტაია
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

**იუზა კაციტაძე ზესტაფონიდან**

**გაშინაურებულ** „მეტალურგზე" მაჩანჩალა „იბერია" მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე პატარა სასწაულს ახდენდა — მოძლიერებულ და ექვსეულში ადგილის დასამკვიდრებლად მებრძოლ „კოლხეთთან" ფრისკენ მიჰყავდა თამაში. დიახაც, ხუთიოდ წუთიც და, სამტრედიელები, ალბათ, ჩემპიონატში მეორე ქულას მოიპოვებდნენ, მაგრამ ვინ დააცალა. „იბერიას" ნახევარზე, მარჯვენა კიდესთან, ცენტრალური ხაზიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით კოლხმა ელდარ გვასალიამ პარტნიორის გადაცემა შეირგო, უმალ გაიჭრა წინ, მეტოქის საჯარიმოში შეაღწია და მეკარისგან შორეულ დაბალ კუთხეში უნაკლოდ დაარტყა. ამ დარტყმამ თამაშის ბედი გადაწყვიტა.

საბრალო „იბერიას" მეთორმეტედ მოეცარა ხელი, „კოლხეთმა" კი ჰაერივით საჭირო სამი ქულა შემატა საკუთარ აქტივს. იბერიელთათვის საბედისწერო და ზღვისპირელთათვის სიხარულის მომტან გოლზე თხრობას აქვე დავასრულებდით, მაგრამ... საქმე ის გახლავთ, რომ გვასალიას დარტყმას თამაშში ორწუთიანი პაუზა მოჰყვა. „იბერია" გოლს აპროტესტებდა, არბიტრისგან გადაწყვეტილების შეცვლას მოითხოვდა. მართალნიც იყვნენ სამტრედიელები. აშკარად შესცოდა გვერდითმა გოჩა ცირდავამ. არ ვიცი, რა ნამუსმა მისცა ამ კაცს, გვასალიას თამაშგარე რომ არ დააფიქსირა, კოლხი ფორვარდი ხომ ბურთის მიღებამდე სამმეტრიან ოფსაიდში მაინც იდგა. არ გაჭრა ხვეწნა-მუდარამ. სანაიამ ცენტრისკენ მიათითა, სამტრედიელები კი იმითღა ანუგეშა, რომ კოლეგის ლანძღვა-გინება ხახვივით შეარჩინა. აი, შერჩება თუ არა ცირდავას თავისი ნამოქმედარი, ალბათ, მალე შევიტყობთ. ჩვენის მხრივ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის საყურადღებოდ ერთხელაც ვიტყვით, შესაძლოა, დარჩენილ ხუთ წუთში კოლხები ისედაც დაწინაურებულიყვნენ, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა — „იბერიას" მარცხი ცირდავას სინდისზეა.

საერთოდაც, მეტად სუსტად გაისარჯა ზესტაფონში მსაჯთა ბრიგადა. სანაია ვერც ხელით თამაშს ამჩნევდა, სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგორებასაც პატიობდა ფეხბურთელებს და მოედანზე უსაშველო გინებაც, როგორც ზემოთ ვთქვით, რეაგირების გარეშე დატოვა.

ახლა თამაშზეც. ზღვისპირელებმა თავად გაირთულეს საქმე, მეტოქეზე აშკარა უპირატესობის მიუხედავად უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. საწყის თხუთმეტ წუთში ორჯერ კვირკველიას და ერთხელაც ფანჩულიძეს მიეცათ კარგი შანსი, მაგრამ „იბერიას" კარი ხელუხლებელი დარჩა. სამაგიეროდ სამტრედიელებმა გაუმართლა იშვიათი კონტრშეტევისას. ჩინებულად ითამაშა ნოზაძემ. გიორგი თითქმის მოედნის ცენტრიდან რამდენიმე კოლხ მცველს დაუსხლტდა და აღარც მეკარე გააჩერა, ოსტატურად გაგზავნა ბურთი ბადეში. ერთი გენახათ, სამტრედიელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, გუნდი ჩემპიონატში პირველად დაწინაურდა.

ოღონდ ხანმოკლე გამოდგა ეს სიხარული. მეტოქემ მძლავრად შეუტია და ათ წუთში გაათანაბრა. ახალკაცის ზუსტი პასის შემდეგ ელდარ გვასალიამ ახლოდან შანსი არ დაუტოვა ჩომახიძეს. წუთში იგივე გვასალიას და ახალკაცს მეკარემ არ დაანება გატანა, ორივეს დარტყმული უკუაგდო. ტაიმის ბოლოს კვირკველიამ სულ ახლოდან ააცილა კარს.

კოლხები შესვენების შემდეგაც მძლავრობდნენ. ღლონტიძეს, გოგიაშვილს და ელდარ გვასალიას შეეძლოთ გატანა. „იბერია" ლამის მთელი გუნდით მედგრად იცავდა თავს და ახლოსაც იყო სასურველ ქულასთან, მაგრამ... ბოლოსკენ მომხდარზე ზემოთ ვთქვით.

***სოსო ფრუიძე, „იბერიას" მთავარი მწვრთნელი:***

მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა, მაინც შეგვეძლო სასურველი შედეგის მიღწევა — ქულის მოპოვება. მეორე გოლი ჩვენს კარში თანამსაჯის სინდისზეა, აშკარა თამაშგარე არ დააფიქსირა. ცირდავას საქციელს შეიძლება ყველაფერი ეწოდოს, შეცდომის გარდა. სხვათა შორის, წინა მატჩში ბოლნისში იგივე გაგვიკეთეს, გვერდითმა ურუშაძემ თამაშგარე მდგომარეობაზე თვალი დახუჭა და უმალ გოლი მივიღეთ. აღარ ყოფილა საშველი. ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ისედაც ძალიან გვიჭირს და ესლა გვაკლია.

აღარ ვიცი, რით ვანუგეშო გულმოკლული ბიჭები. მსაჯობაზე პროტესტის გამოთქმას აზრი არა აქვს, წყლის ნაყვაა. არადა, როდემდე ასეთი განუკითხაობა?

***სოსო ფილია, „კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი:***

ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. მატჩის ბედი ჯერ კიდევ პირველ ტაიმში უნდა გადაგვეწყვიტა, მაგრამ ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. მეტოქემ სწორი ტაქტიკა აირჩია — პრესინგი გვეთამაშა, იმპროვიზაციის საშუალება არ მოგვცა. ამან განაპირობა ის სირთულეები, თამაშის მსვლელობისას რომ წავაწყდით.

# [ა]რჩილ არველაძემ [გ]უშინ დაიწყო

[გ]**ერმანიის** „კიოლნის" ქართველმა თავდამსხმელმა არჩილ არველაძემ
[ტრა]ვმის გამო ბუნდესლიგის რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა და „ჰამბურგთან"
[...] ტურის მატჩამდე პარტნიორთა თამაშს ტრიბუნიდან უცქერდა. „ჰამბურგ-
[...] არველაძე სათადარიგო კი იყო, მაგრამ მინდორზე არ გამოჩენილა —
[„კიო]ლნმა" უმისოდაც 5:0 გაიმარჯვა.
[ა]რჩილ არველაძის თქმით, „ჰამბურგთან" მატჩისას ის მთლად გამოჯანმრ-
[თე]ლებული არ ყოფილა და მწვრთნელ ლინენსაც ამიტომ არ უთამაშებია.
[ქა]რთველი თავდამსხმელი, რომელსაც მარცხენა ფეხის კუნთი ჰქონდა გაწ-
[ელ]ილი, უკვე ხუთი დღეა, გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს
[და] შესაძლოა მომავალ ტურში, „ჰანზას" წინააღმდეგ დაუბრუნდეს გუნდის
[ძირი]თად შემადგენლობას. ისე, არჩილმა გუშინ მიოხენგლადბახის „ბორუსი-
[ასთა]ნ" ამხანაგურად უკვე ითამაშა.

**კობა ინასარიძე**

ქუთაისი
11 ნოემბერი
15 საათი
ტორპედო
12 000 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო 0:1 დინამო**

0:1 გაბელია (87)
სიჭინავამ ვერ გაიტანა პენალტი (75, მეკარე)
ტორპედო: ზოიძე, თურმანიძე, ზ. არჩვაძე, ხვადაგიანი, ჩხაიძე, ახვლედიანი, კ. კვეტენაძე (ბობოხიძე 82), გუჩუა, ძაათიანი, იონანიძე, იმედაძე (ჯანაშია 69)
სათადარიგონი: ქანთურია; მახვილაძე, შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, თავბერიძე
დინამო: გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ი. ვაშაკიძე, ა. სახვაძე (კანდელაკი 89), შაშიაშვილი, ზამთარაძე, დათუაძე (მაზიაშვილი 84), სიჭინავა, გაბელია, ზირაქიშვილი (გოგოლაძე 88), ჯინჭარაძე
სათადარიგონი: ჩიხრაძე; გ.-ვ. მიქაძე, რუხაძე, ბურდული
გაფრთხილება: ქემოკლიძე (62), სახვაძე (63), ახვლედიანი (63)
მსაჯები: მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); მ. მაისურაძე (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109



„მერანის“ მეგოლე დავით გოდერძიშვილს (მარცხნივ) „დილას“ მეკარე თამაზ ილურიძემ დაასწრო

# მაღლა და ათენისკენ

**სფფ-ის** საერთაშორისო კომიტეტის ხელმძღვანელი დავით პეტრიაშვილი უკვე ორი წელიწადია, რაც უეფას ერთ-ერთ კომიტეტში მოღვაწეობს. იგი აგრეთვე ჩემპიონთა ლიგის მატჩების დირექტორიცაა. სულ ახლახან კი ჩვენებური საფეხბურთო მოხელე უეფაში დააწინაურეს — ბავშვთა და სამოყვარულო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. ამ ფაქტს, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ ავუვლიდით და დავით პეტრიაშვილს ვესაუბრეთ.

**— უეფას სამოყვარულო და ბავშვთა კომიტეტის გაერთიანება, ალბათ, ამ ორგანიზაციაში მიმდინარე რესტრუქტურიზაციის გამო მოხდა.**

— ადრე უეფაში 28 კომიტეტი არსებობდა, ახლა კი ეს ციფრი 11-მდე დაიყვანეს. ჩვენი კომიტეტი ევროპის ქვეყნების 17 და 19 წლამდელთა ნაკრებებს და, ბუნებრივია, სამოყვარულო ფეხბურთს კურირებს. მისი პირველი სხდომა 7 ნოემბერს ჩატარდა ნიონში, რომელსაც ამ ორგანიზაციის ტექნიკური დირექტორი ენდი როქსბურგი უძღვებოდა.

**— და თქვენი კომიტეტის მოადგილედ არჩევაც იქ გადაწყდა...**

— უეფას რეგლამენტით, თითოეულ კომიტეტში არაუმეტეს 11 კაცი უნდა შედიოდეს და თავმჯდომარეს ორი მოადგილე ჰყავდეს. სხდომაზე კომიტეტის ხელმძღვანელმა პატრიკ კიგლმა, რომელიც იმავდროულად ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტიცაა, თავის ერთ-ერთ მოადგილედ წარმადგინა და კომიტეტის წევრებიც დაეთანხმნენ მის გადაწყვეტილებას.

**— სხდომაზე ალბათ სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც განიხილეს.**

— 17 და 19 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ჩატარდა წილისყრა. (16 და 18 წლამდელთა ნაკრებები აწი ასე მოიხსენიება). საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მეტოქეები ჯგუფში ბოსნია და ისრაელი იქნება, 19-წლამდელებს უნგრელ და ინგლისელ თანატოლებთან მოუწევთ ბრძოლა. ორივე ასაკობრივი ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 2002 წელს ჩატარდება, საკვალიფიკაციო კი — გაისად.

სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ შესარჩევ ჯგუფებში გუნდების რაოდენობა 12-მდე გაიზარდოს, გამარჯვებულები ავტომატურად მოხვდებიან ფინალურ ეტაპზე, ხოლო მეორეადგილოსნებისგან შეიქმნება სამი ოთხგუნდიანი ჯგუფი, რომლის გამარჯვებულებიც ფინალური ეტაპის საგზურს მიიღებენ. ასეთი ვარიანტი მეტად მომგებიანია ჩვენთვის, რადგან ფინალში გასვლის უკეთესი შანსი გვექნება და ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელებიც უფრო მეტ პრაქტიკას გაივლიან საერთაშორისო დონეზე.

აგრეთვე გაჩნდა იდეა, რომ 15-წლამდელთა შორისაც ჩატარდეს ევროპის ჩემპიონატი.

**— სამოყვარულო ფეხბურთში არ არის რაიმე სიახლე?**

— ადრე ისე იყო, რომ უეფას წევრი ასოციაცია, რომელსაც მოისურვებდა, იმ გუნდს წარადგენდა ევროპის სამოყვარულო ჩემპიონატზე, მაგრამ ახლა საქმე იქითკენ მიდის, რომ უეფა ცალსახად მოითხოვს ყველა წევრ ასოციაციაში ჩატარდეს ჩემპიონატი მოყვარულებს შორის და გამარჯვებულებმა ითამაშონ ევროპის ჩემპიონატზე. თუმც ეს საკითხი ოფიციალურად ჯერ არ დამტკიცებულა.

**— ჩვენთვის მეტად საგულისხმოა, თუ სამომავლოდ რას აპირებს უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიურო. ხომ არ არის რაიმე ახალი პროექტი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უფრო დიდ დახმარებას გულისხმობს?**

— მქონდა შეხვედრა ბიუროს ხელმძღვანელ ერიხ ეპლესთანაც. საქმე ისაა, რომ ბიუროს დახმარებას დაქვემდებარებულ თითოეულ ქვეყანას თავისი ფონდი აქვს გახსნილი, თანხებიც საჭიროებისდა მიხედვით ანუ კონკრეტული პროექტებისთვის გამოიყოფა. სფფ-სთვის ახალი ოფისის მშენებლობასაც აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიურო დააფინანსებს.

**— რახან სიტყვა დახმარებაზე ჩამოვარდა, ფიფაზეც ვთქვათ. მან ოთხი წლისთვის 1 მილიონი დოლარი კი გამოუყო თითოეულ წევრ-ასოციაციას, მაგრამ თუ აპირებს პროექტი „GOAL“-ითაც დაეხმაროს სფფ-ს?**

— პროექტი „GOAL“-ით გათვალისწინებულ დახმარებას ფიფას ყველა წევრი ქვეყანა ვერ მიიღებს. ასე რომ, შეგვეწევა თუ არა ფიფა ამ პროექტით, ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

**— ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპის წილისყრა შედგა. კიევის „დინამო“, რომლის საშინაო მატჩებზეც იყავით დირექტორად გამწესებული, ტურნირს გამოეთიშა...**

— დიახ, მაგრამ უეფადან უკვე მაცნობეს, რომ „პანათინაიკოსის“ საშინაო მატჩებზე მომიწევს დირექტორობა.

**დავით თავართქილაძე**



დავით პეტრიაშვილი (მარცხნივ) და ერიხ ეპლე

# რა ხდება?

თბილისი
11 ნოემბერი
15 საათი
სინათლე
250 (ტევადობა 3 000)

**მერანი 0:0 დილა**

მერანი: დევაძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე (თოლორდავა 83), პოდლესნი, გ. კვეტენაძე (ბაჯელიძე 62), კობესაშვილი (ბოლქვაძე 46), დ. გოდერძიშვილი, ქინქარაული, მინაშვილი, მუხინი
სათადარიგონი: ნაქეპია; გ. ილურიძე, ხორხელი, კაკუბავა
დილა: თ. ილურიძე, აკოფიანი, გრიგალაშვილი, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, ფეხუაშვილი, ევჯოშვილი, დ. მაისურაძე (ციცქიშვილი 60), კოტორაშვილი, ა. ხმალაძე (ხორგუაშვილი 71)
სათადარიგონი: სოლოლაშვილი; ხოხობაშვილი, ტულუში
გაფრთხილება: გოდერძიშვილი (5), მაისურაძე (22), ცქიფურიშვილი (66), აკოფიანი (70), ფეხუაშვილი (86)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

**დავით თავართქილაძე**

**ხალვათობა** იყო „სინათლეზე“, არ გამოიჩინეს ავჭალელმა გულშემატკივრებმა დიდი ინტერესი ამ მატჩისადმი და არც შემცდარან — შემოდგომის სუსხიან უქმე დღეს ასეთი ბურთაობის სანახავად წასვლა ნამდვილად არ ღირდა.

არადა, წინა ტურში ფოთში მოპოვებულმა მსუყე ქულამ „მერანს“ ექვსეულში გაღწევის შანსები გაუზარდა, მაგრამ საქმე წარმატებით ველარ გააგრძელეს მერანელებმა. პირველი შემთხვევა არ არის, როცა ავჭალელებმა შინ ვერ მოუგეს ისეთ მეტოქეს, რომლის დამარცხებაც უეჭველად მართებდათ, თანაც ეროვნულ ჩემპიონატში ზედიზედ მესამე მატჩია, მერანელებს გოლი არ გაუტანიათ და ზედიზედ მეშვიდე შეხვედრაა, არ მოუგიათ. თუ რა ხდება გუნდის სამზარეულოში, მართლაც საინტერესოა, გარედან კი ასეთი სიტუაციაა. — „მერანს“ ექვსეულისთვის მებრძოლის სტატუსი ნელნელა ხელიდან ეცლება, ერთი შეხედვით გუნდის ყველა რგოლი კარგადაა დაბალანსებული, მაგრამ მთლიანობაში დისჰარმონია იგრძნობა. არსებობს ეჭვიც, რომ გუნდის თავკაც სერგო გაბელაიას საქმეში უხეშად ერეოდნენ. მერნელთა მწვრთნელი ბოლო დროს რაღაცნაირად, უჩვეულოდ გამოიყურებოდა. ამ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზეც მხოლოდ სტუმართა გუნდის დამრიგებელი მობრძანდა, სერგო გაბელაია კი არსად ჩანდა, არადა, არ არის მერანელთა მთავარი მწვრთნელი ის კაცი, ვისაც ტაქტი და სტუმარმასპინძლობა ეშლება. ვერც ლეგიონერებით მოიწონებს თავს „მერანი“. მუხინი და პოდლესნი ერთხმად გვიმტკიცებენ, უკრაინული ჩემპიონატი თქვენსას ბევრად სჯობიაო და შეკამათება არც გვიცდია, მაგრამ რით ველარ გამოჩნდა მათი მაღალი კლასი? რაში სჭირდება გუნდს ლეგიონერები, თუ ისინი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად ირჯებიან მინდორზე? ეპიზოდურად და ერთი-ორჯერ ხომ დანარჩენი მერანელებიც გაიბრწყინებენ-ხოლმე. მათი ჩამომყვანი ჯერჯერობით მხოლოდ აკლიმატიზაციას, ჰავას და დროს თუ მოიმიზეზებს.

თვით მატჩი კი სწრაფ ტემპში დაიწყო. „მერანმა“ მყისვე შეუტია, „დილამ“ კონტრიერიშებით უპასუხა. სტუმრები გაცილებით ცოტა დროს ატარებდნენ შეტევებში, სამაგიეროდ, უფრო მწვავედ უტევდნენ. დამაგვირგვინებელ ფაზაში ორჯერ ვერ ივარგა გორელმა ფორვარდმა ამირან ხმალაძემ — ჯერ მიზანმა უმტყუნა, მერე აკაკი დევაძემ იყოჩაღა. მერანელთა მონდომება კი მონდომებად რჩებოდა. პირველ ტაიმში მასპინძლებს ერთი სახიფათო მომენტიც არ შეუქმნიათ, თამაზ ილურიძეც, ფაქტობრივად, უსაქმოდ იდგა კარში.

შესვენების შემდეგ „მერანი“ ოდნავ გამოცოცხლდა და „დილას“ უკანა ხაზსაც უფრო დიდი ჯაფა დაადგა. ერთადერთხელ შეცდა ამ მატჩში გორელთა დაცვის ბურჯი ხვიჩა გაგნიძე და „მერანსაც“ ერთადერთი საგოლე მომენტი შეექმნა — დავით მინაშვილის ახლოდან დარტყმული მცირე მანძილით ასცდა ილურიძის კარს. მას ხელმეორედაც მიეცა არც თუ ისე ცუდი შანსი, როცა გოდერძიშვილმა თავით კარგად დაუგდო ბურთი, მაგრამ მახვილი კუთხიდან მინაშვილს მეკარემ აჯობა. ამ ორი ეპიზოდის გარდა „მერანს“ საინტერესო არაფერი შემოუთავაზებია, გაუთავებლად აგდებდა გორელთა საჯარიმოში და მის მისადგომებთან ბურთს, რომელიც სტუმართა იოლი ლუკმა ხდებოდა. მერანელები ზედმიწევნით სწორხაზოვან ფეხბურთს თამაშობდნენ და ტერიტორიულ უპირატესობას ვერ იყენებდნენ. გორელები ვალერი კოტორაშვილის მეთაურობით მეტად მწარედ ჩხვლეტდნენ კონტრშეტევებზე მეტოქეს, მაგრამ ბოლო მომენტში სცოდავდნენ და ვერც გამოცდილი ზვიად ხორგუაშვილის შემოსვლამ მოუტანა მათ ხეირი.

ბიჭებმა ყველაფერი გაიღეს და შეხვედრაც ლოგიკურად ჩამთავრდაო, მოკლედ მოჭრა „დილას“ დამრიგებელმა ვაჟა ხაჩირაშვილმა. „მერანმა“ კი რისთვის უნდა იბრძოლოს? აქტუალური კითხვაა, მაგრამ უფრო უპრიანი ხომ არ იქნება, ვიკითხოთ, თუ რა ხდება გუნდში?

# სერგო გაბელაია მერანმა დაღალა



**მეტად** უცნაურ გარემოებაში გაიყარა „მერანის“ და სერგო გაბელაიას გზები. უკვე ოფიციალურად გადაწყდა გაბელაიას ნაცვლად ავჭალურ კლუბს დროებით დავით ჯიშკარიანი უთავკაცებს, რომელსაც ვოვა ჩერქეზოვი დაეხმარება, სულ მალე კი ალბათ ჯიშკარიანი და ჩერქეზოვი ადგილებს გაცვლიან.

მომხდართან დაკავშირებით გუშინ „მერანის“ პრეზიდენტს დავით ფურცელაძეს დავუკავშირდით და საოცარი რამ აღმოვაჩინეთ: „არაფერი ვიცი, „მერანი“ — „დილას“ მატჩის წინ ქობულეთში მომიხდა საქმეზე გამგზავრება, ამჟამადაც ქობულეთში ვარ“ — გვითხრა ფურცელაძემ. მოკლედ, პრეზიდენტი მომხდართან დაკავშირებით საქმის კურსში არ იყო. გაბელაიამ რომ ნამდვილად დატოვა ავჭალური კლუბი, ამაზე მისი კომენტარიც მეტყველებს: — დავიღალე, დასვენება ვარჩიე და „მერანიდან“ წამოვედი, გუნდს დროებით ჯიშკარიანი გაწვრთნის — გვითხრა გუშინ მან.

გაბელაიას გუნდიდან წასვლა ორი კვირით ადრეც ჰქონია გადაწყვეტილი, მაგრამ „მერანის“ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მუშაობა შაბათამდე გაუგრძელებია.

**ბაატა ძვანტალიანი**

„სარბიელში“ სამუშაოდ ვიწვევთ გამოცდილ მბეჭდავს. ცნობებისთვის დარეკეთ
TEL: 39 48 29. 13-დან 18 საათამდე

## ინგლისი

### XIII ტური

**ჩელსი 1:1 ლიდსი**

0:1 ვიდუკა (62), 1:1 პოიეტი (79)
ჩელსი: დე გეი, ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, პოიეტი, ჰასელბაინკი, უაიზი, მელხიოტი, ფერერი (გუდიონსენი 79), დალა ბონა (მორისი 76), ძოლა (ფლო 76)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ლიდსი: პ. რობინსონი, გ. კელი, ჰარტი, დაკური, რადებე, ბოიერი, მილსი, ბაკე, მატეო, ვიდუკა (ჰაკერბი 76), ა. სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: დესაი, დალა ბონა, უაიზი, ბაბაიარო, კელი, სმიტი, რადებე, ბაკე, მატეო
35 121 მაყურებელი

**ლივერპული 4:1 ქოვენთრი**

1:0 მაკალისტერი (13), 2:0 ჯერარდი (51), 2:1 ტომპსონი (56), 3:1, 4:1 ჰესკი (82, 87)
ლივერპული: ვესტერფელდი, ტრაორე, ენჩოსი, ბაბელი, შმიცერი (ციგე 87), ჰიიპია, ჯერარდი (კარაგერი 78), ბარმბი, ჰესკი, ოუენი (მერფი 69)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ქოვენთრი: კირკლენდი, უილიამსი, შოუ, ტომპსონი, ჩიპო (რუსელი 57), ჰაჯი, პალმერი, ბრინი, ბელამი, გერერო (ედვორთი 57), სტრაჩანი (ოსტიჩი 84)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: ტომპსონი
43 701 მაყურებელი

**არსენალი 0:0 დერბი ქაუნთი**

არსენალი: ლუკიჩი, ვიეირა, კიოუნი, ლიუნგბერგი (კანუ 66), ბერხკამპი, ვილტორდი, ანრი, პარლოუ, სილვინიო, გრიმანდი (დიქსონი 62), ლუენი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
დერბი ქაუნთი: პოომი, კარბონარი, პაუელი, დელაპი, ბარლი, ჯონსონი, ჰიგინბოთემი, მარტინი (ვალაკარი 69), რიგოტი, ძინძლაძე (სტარიჯი 83), კრისტი (მორისი 52)
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: მარტინი, მორისი
37 679 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:0 ტოტენჰემი**

1:0, 2:0 ტეილორი (22, 57)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ა. რაიტი, საუთგეიტი (დილანი 24), ალფაი, ბერი, ბოატენგი, ტეილორი, სტოუნი, მერსონი, დაბლინი, ჯოუჩიმი (ჟინოლა 78)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ტოტენჰემი: სალივანი, კარი, პერი, ტეტჩერი, ვეგა, იანგი, ანდერტონი, შერვუდი, კლემენსი, რებროვი (დოჰერტი 83), ლ. ფერდინანდი (კ. არმსტრონგი 46)
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
გაფრთხილება: ვეგა, ანდერტონი, შერვუდი
33 608 მაყურებელი

**ბრედფორდი 0:1 ევერტონი**

0:1 ნეისმიტი (87)
ბრედფორდი: კლარკი, ნოლანი, მაკკოლი, ვეზეროლი, უოლი, ლოურენსი, უორდი (სონდერსი 80), კარბონე (ბიგრი 90), აზერტონი, პეტრესკუ (უინდასი 77), კოლიმორი
მწვრთნელი: სტიუარტ მაკკოლი
ევერტონი: ჟერარი, ვეირი, ანსუორთი, ნიარკო, კ. კემპბელი, ს. ჰიუზი (კადამარტერი 83), პემბრიჯი (ჯემილი 64), ნეისმიტი, გრავესენი, შავიერი, ტალი (მური 46)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: კლარკი, პემბრიჯი, ჰიუზი
17 277 მაყურებელი

**იფსვიჩი 2:0 ჩარლტონი**

1:0 ჰოლანდი (80), 2:0 სტიუარტი (84)
იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი (ბრემბლი 64), კლაპამი, ვენუსი, მაკგრილი, ჰრეიდარსონი, ჰოლანდი, მეჯილტონი, სტიუარტი (ჯონსონი 90), ჯ. რაიტი, შოუკროფტი (ნეილორი 77)
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ჩარლტონი: კიელი, პაუელი, სტიუარტი, კინსელა, ს. რობინსონი (სალაკო 66), ბრაუნი, შილდსი, იენსენი, იოჰანსონი, სვენსონი (ბაგერი 72), ფიში
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: სტიუარტი, რობინსონი
22 263 მაყურებელი



ჩელსი — ლიდსი 1:1. ასეთი მეურვეობის მიუხედავად, მარკ ვიდუკამ (შუაში) სეზონში თავის მეათე გოლი გაიტანა

# შანსი: ქორწილი კეიპტაუნში

**ლესტერი 1:1 ნიუკასლი**

1:0 გუნლაუგსონი (63), 1:1 სპიდი (75)
ლესტერი: ფლაუერსი, როუეტი, დავიდსონი, ფ. სინკლერი, მ. ელიოტი, ტაგარტი, ლენონი, სევიჯი, იზეტი, აკინბი, ბენჯამინი (გუნლაუგსონი 56)
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
ნიუკასლი: გივენი, დომი, გომა, გრიფინი, ა. ჰიუზი, დაიერი, ლი (კორდონე 68), ბასედასი, სპიდი, აკუნია, შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: სევიჯი, აკუნია
21 406 მაყურებელი

**მანჩესტერი 2:1 მიდლსბრო**

0:1 კარამბეუ (32), 1:1 ბათი (62), 2:1 შერინგემი (65)
მანჩესტერი: ბარტეზი, ფ. ნევილი, სილვესტრი, ბრაუნი (უოლვორკი 46), გ. ნევილი, ბექემი, სქოულზი, კინი, ბათი, იორკი (ჩედვიკი 90), სოლსკიაერი (შერინგემი 40)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, პალისტერი, კარამბეუ, კუპერი (გორდონი 46), სტამპი, სამერბელი, რიკარდი (მარინელი 78), ე. კემპბელი (ბოკშიჩი 63), დინი
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
67 576 მაყურებელი

**სანდერლენდი 2:2 საუთჰემპტონი**

0:1 ბიტი (12), 1:1 ქუინი (23), 2:1 ჰათჩისონი (80), 2:2 რიჩარდსი (89)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, გრეი, კრადოკი, ტომე, კილბეინი, ჰათჩისონი, უილიამსი, რაე, ფილიპსი, ნ. ქუინი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, დოდი, მარსდენი, ლუნდეკვამი, რიჩარდსი, ოკლი, პახარსი (როსლერი 79), ელ ხალეჯი (კაჩლული 87), ტესემი, ბიტი, ბრიჯი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: ტომე, ლუნდეკვამი
45 064 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 4:1 მანჩესტერ სიტი**

0:1 პრიორი (32), 1:1 ლომასი (63), 2:1 სინკლერი (58), 3:1 ი. პირსი (67), 4:1 დი კანიო (90პ)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ტ. სინკლერი, რ. ფერდინანდი, ი. პირსი, ს. პირსი, უინტერბერნი, ლომასი, ლამპარდი, კარიკი, დი კანიო (პოტსი 90), კანო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
მანჩესტერ სიტი: ვივერი, უიტლი, ჰაუი, პრიორი, შარვე, რიჩი (დანი 67), ჰაალანდი, ვიკენსი, ვანჩოპე (ელსოპი 75), რაიტ-ფილიპსი, კენედი
მწვრთნელი: ჯო როილი
გაფრთხილება: უინტერბერნი
26 022 მაყურებელი

კრისტიან კარამბეუმ 33-ე წუთზე თავისი „მიდლსბრო" დააწინაურა, თუმცა სლოვაკი მოდელის ადრიანა სკლენარიკოვას ფრანგი მეუღლის პირველი პრემიერლიგური, თანაც ულამაზესი გოლი ლიდერის დასამარცხებლად საკმარისი არ გამოდგა — ჯერ ნიკი ბათმა გაათანაბრა როი კინის პასით, მერე კი ტედი შერინგემმა კვირაში მეორედ უშველა „იუნაიტედს". „ეს მიმდინარე სეზონში ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო თამაში იყო. მეტოქე ყოველი გოჯისთვის თავგანწირულად იბრძოდა, მაგრამ უზადო პასებისა და ტედის გადამწყვეტი გოლის წყალობით მაინც ვიმარჯვეთ" — განაცხადა ალექს ფერგიუსონმა, რომლის გუნდსაც, აგერ მალე ორი წელიწადი შესრულდება, პრემიერლიგაში საშინაო თამაში არ წაუგია. ბოლოს „იუნაიტედის" „ოლდ ტრეფორდზე" დამარცხება სწორედ „მიდლსბრომ" შეძლო 1998 წლის დეკემბერში. მას მერე ინგლისურ გუნდთაგან აქ არავის უმარჯვია.

თუმცა ეს რაა — აგერ, მიმდინარე სეზონის 21-ე მატჩი გამართა ფერგიუსონის გუნდმა და 19-ე გოლი გაუშვა (აქედან პრემიერლიგასა და ლიგის თასზე 15 თამაშში 12 გაუტანეს). მე-19, ვიმეორებთ, ფრანგმა კარამბეუმ შეუგდო. თითქოს ჩვეულებრივი ციფრებია, თუმცა თუ არ დავიზარებთ და გულმოდგინედ გავქექავთ, აღმოვაჩენთ, რომ ამ 19 გოლის ავტორთაგან... ყველა უცხოელია, ანუ ამ სეზონში ჯერ ვერცერთ ბრიტანელ ფეხბურთელს ვერ მოუხერხებია ფაბიენ ბარტეზისა და რაიმონდ ვან დერ გოუს კარის აღება. სადამდე გაგრძელდება ეს უნიკალური შედეგი, აბა, ვინ იცის, თუმცა თუ გული გიგრძნობთ, რომ სეზონის ბოლომდე ასე იქნება, სჯობს „უილიამ ჰილის" კანტორებს ესტუმროთ — იქ დადებულ თანხას ხუთასმაგად დაგიბრუნებენ, თუ, ცხადია, მაისამდე გამელით თქვენც და „იუნაიტედმაც".

თუმცა შესაძლოა ამ რეკორდმა მხოლოდ მომავალ შაბათამდე გასტანოს. ამ დღეს ხომ მანჩესტერული დერბია, დერბიმ კი ლიდერი და აუტსაიდერი არ იცის. მითუმეტეს, რომ „სიტი" გასულ ტურში „აპტონ პარკზე" განადგურების შემდეგ ორმაგად საშიში იქნება, „იუნაიტედის" ისედაც მრავალრიცხოვან ლაზარეთს კი „მიდლსბროსთან" დაშავებული ოლე გუნარ სოლსკიაერი, უესლი ბრაუნი და კაპიტანი როი კინიც შეუერთდნენ. და კიდევ: ბოლო ოთხ წელიწადში პირველ მანჩესტერულ დერბის („სიტი" ხომ ქვედა ლიგებში იყო) ვერ დაესწრება თვით სერ ალექს ფერგიუსონი. „ჩემმა ბიჭმა ეს ამბავი დიდი ხნით ადრე დაგეგმა და მე ვეღარაფერს შევცვლი" — თავი იმართლა ჩემპიონთა მწვრთნელმა, ვისაც სწორედ დერბის დღეს უფროსი ვაჟის ქორწილში ელიან, თანაც სამხრეთაფრიკულ კეიპტაუნში. რა გაეწყობა: თანაქალაქელ „სიტისთან" გუნდს სერ ალექსის თანაშემწე სტივ მაკლარენი მოამზადებს.

ქორწილის რა გითხრათ, მცირე პურმარილის გადახდა კი არც ჯიმ სმიტს აწყენდა. არა, სეზონის მოუგებელი სერია მის „დერბი ქაუნთის" არ შეუწყვეტია, თუმცა ფრე „ჰაიბერიზე", სადაც დერბელებს 11 წელია ვერ უმარჯვიათ, მართლაც მიღწევაა. ისე, სტუმრებს სულ ცოტა დააკლდათ და ამ ორივე უსიამოვნო სერიას შეწყვეტდნენ — რორი დელაპის თავური დარტყმის მერე სილვინიომ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა, მერე კი იმავე დელაპმა ბურთი 40 წლის ლუკიჩის კარის ძელს მოახვედრა. „ბოლო ოც წუთში ბევრი მომენტი გვქონდა და უნდა მოგვეგო კიდეც, თუმცა ვაღიარებ, რომ „დერბი" ამ შედეგს ნამდვილად იმსახურებდა" — თქვა არსენ ვენგერმა. მთლად კმაყოფილი არც ჯიმ სმიტი გახლდათ — რაზეა საუბარი, „არსენალთან" ფრეზე უარს ვინ იტყვის, მაგრამ სამი ნაღდი მომენტი გვქონდაო. ასეა თუ ისე, გუნდებმა თითო ქულა იშოვეს, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ „დერბი" ბოლოსდაბოლოს ასცდა ბოლო ადგილს, „არსენალი" კი ლიდერს ორი ქულით ჩამორჩა.

ქინქლაძის გუნდის ადგილი ამჟამად „ბრედფორდს" უკავია. გასულ კვირაში მწვრთნელ კრის ჰაჩინგსის გათავისუფლებამ იორკშირულ კლუბს ჯერ ვერაფერი ხეირი მოუტანა — მოთამაშე-დროებით მწვრთნელის, შოტლანდიელი სტიუარტ მაკკოლის დებიუტი შოტლანდიელმავე გარი ნეისმიტმა ჩაამწარა: „ევერტონის" ფორვარდმა დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მოუტანა გამარჯვება სტუმრებს, რომელთა თავკაცი უოლტერ სმიტი თავის დროზე, „რეინჯერსში", სტიუარტ მაკკოლის მწვრთნელი გახლდათ. ვერ ყოფილხარ, უოლტერ, პატიოსანი მასწავლებელიო, ალბათ გაიფიქრა ბრედფორდელმა ვეტერანმა.

სამაგიეროდ, ყოფილი კლუბის ზედმიწევნით ცოდნა წარმატებით გამოიყენა მეორე ვეტერანმა, ლივერპულელმა გარი მაკალისტერმა, რომელიც ჟერარ ულიემ სწორედ „ქოვენთრისგან" გადაიბირა. ბებერი გარი „ენფილდ როუდზე" საუკეთესო გახლდათ: ანგარიში გახსნა (თავისი პირველი გოლი „ლივერპულში") ძირითადში დაბრუნებული მაიკლ ოუენის პასით, მერე კი სტივ ჯერარდსა და ემილ ჰესკის გაატანინა. ამ უკანასკნელმა ერთიც სხვების დაუხმარებლადაც, თან ულამაზესად შეაგდო და „ლივერპულიც" მესამე ადგილზე აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ერთადერთი საპასუხო მასპინძლებს ყოფილმა ლივერპულელმა დევიდ ტომპსონმა გაუტანა.

„უმადური" ყოფილი გუნდის დამარცხებით გამოწვეული სიხარულის განცდა არც ფრანგ ჟინოლას მოაკლო „ასტონ ვილას" თავკაცობამ და მოედანზე მაშინ შეუშვა, როცა იან ტეილორის წყვილი გოლით „ტოტენჰემის" მარცხი ეჭვს აღარ იწვევდა. ამჟამად ბირმინგემელებს 24 ქულა და მატჩი „ლიდსთან" თამაში აქვთ.

ამასობაში „ლიდსმა" შვიდ დღეში მესამედ იომა და კვლავ შედეგიანად — „ლივერპულთან" 4:3 გამარჯვებას და სანუკვარ ფრეს მილანში დევიდ ოლირის ბიჭებმა „სტამფორდ ბრიჯზე" მოპოვებული ქულაც შეჰმატეს, თუმცა იორკშირელთა ირლანდიელი მწვრთნელი მაინც უკმაყოფილო გახლდათ, განსაკუთრებით მსაჯ გრემ პოლის ერთი გადაწყვეტილებით. რა მოხდა, ერთხელ თუ შეცდაო, იტყვის მავანი, ოლირი კი უპასუხებს — სწორედ მაგ შეცდომის გამო გაგვიტანეს ის ერთი გოლი, თორემ ლონდონიდან სამ ქულას წავიღებდითო. ისე, მარკ ვიდუკამ რომ სეზონში მეათედ შეაგდო და ლიდსელთათვის ყველაზე საძულველ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს (ეს ადრე „ლიდსში" თამაშობდა და მერე მადრიდის „ატლეტიკოში" გაიქცა) დაეწია, სტუმრებს ესაც ნამეტანი ეამათ.

**გიგა კობახიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 13 | 9 | 3 | 1 | 35:10 | 25 | 30 | 7 | 6 | 1 | 0 | 24:4 | 20 | 19 | 6 | 3 | 2 | 1 | 11:6 | 5 | 11 |
| 2 | არსენალი | 13 | 8 | 4 | 1 | 23:10 | 13 | 28 | 7 | 6 | 1 | 0 | 16:4 | 12 | 19 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 1 | 9 |
| 3 | ლივერპული | 13 | 7 | 3 | 3 | 27:19 | 8 | 24 | 7 | 6 | 1 | 0 | 16:6 | 10 | 19 | 6 | 1 | 2 | 3 | 11:13 | -2 | 5 |
| 4 | ლესტერი | 13 | 6 | 5 | 2 | 11:8 | 3 | 23 | 7 | 3 | 3 | 1 | 7:7 | 0 | 12 | 6 | 3 | 2 | 1 | 4:1 | 3 | 11 |
| 5 | ასტონ ვილა | 12 | 6 | 4 | 2 | 16:9 | 7 | 22 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:3 | 8 | 14 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | -1 | 8 |
| 6 | იფსვიჩი | 13 | 6 | 3 | 4 | 19:14 | 5 | 21 | 7 | 3 | 3 | 1 | 9:6 | 3 | 12 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:8 | 2 | 9 |
| 7 | ნიუკასლი | 13 | 6 | 2 | 5 | 14:12 | 2 | 20 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 10 | 7 | 3 | 1 | 3 | 7:7 | 0 | 10 |
| 8 | ლიდსი | 12 | 5 | 4 | 3 | 20:18 | 2 | 19 | 6 | 4 | 0 | 2 | 15:11 | 4 | 12 | 6 | 1 | 4 | 1 | 5:7 | -2 | 7 |
| 9 | ჩარლტონი | 13 | 5 | 3 | 5 | 19:20 | -1 | 18 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:3 | 8 | 14 | 7 | 1 | 1 | 5 | 8:17 | -9 | 4 |
| 10 | ჩელსი | 13 | 4 | 5 | 4 | 25:18 | 7 | 17 | 7 | 4 | 2 | 1 | 19:8 | 11 | 14 | 6 | 0 | 3 | 3 | 6:10 | -4 | 3 |
| 11 | ტოტენჰემი | 13 | 5 | 2 | 6 | 17:20 | -3 | 17 | 6 | 5 | 1 | 0 | 12:5 | 7 | 16 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:15 | -10 | 1 |
| 12 | სანდერლენდი | 13 | 4 | 5 | 4 | 12:15 | -3 | 17 | 7 | 4 | 3 | 0 | 8:4 | 4 | 15 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:11 | -7 | 2 |
| 13 | ვესტ ჰემი | 13 | 3 | 6 | 4 | 17:15 | 2 | 15 | 7 | 2 | 3 | 2 | 10:8 | 2 | 9 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:7 | 0 | 6 |
| 14 | ევერტონი | 13 | 4 | 3 | 6 | 15:20 | -5 | 15 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | -3 | 5 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:10 | -2 | 10 |
| 15 | საუთჰემპტონი | 13 | 3 | 5 | 5 | 17:24 | -7 | 14 | 6 | 2 | 1 | 3 | 10:12 | -2 | 7 | 7 | 1 | 4 | 2 | 7:12 | -5 | 7 |
| 16 | სიტი | 13 | 4 | 2 | 7 | 15:24 | -9 | 14 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:7 | 1 | 7 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:17 | -10 | 7 |
| 17 | ქოვენთრი | 13 | 3 | 2 | 8 | 13:28 | -15 | 11 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:11 | -7 | 4 | 7 | 2 | 1 | 4 | 9:17 | -8 | 7 |
| 18 | მიდლსბრო | 13 | 2 | 4 | 7 | 17:21 | -4 | 10 | 6 | 0 | 2 | 4 | 5:10 | -5 | 2 | 7 | 2 | 2 | 3 | 12:11 | 1 | 8 |
| 19 | დერბი ქაუნთი | 13 | 0 | 7 | 6 | 16:28 | -12 | 7 | 6 | 0 | 5 | 1 | 8:12 | -4 | 5 | 7 | 0 | 2 | 5 | 8:16 | -8 | 2 |
| 20 | ბრედფორდი | 13 | 1 | 4 | 8 | 5:20 | -15 | 7 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:6 | -2 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 1:14 | -13 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 10 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 10 |
| ანრი (არსენალი) | 9 |
| შერინგემი (მანჩესტერი) | 9 |
| ჰესკი (ლივერპული) | 8 |

**XIV ტური**

18 ნოემბერი
ჩარლტონი — ჩელსი
დერბი ქაუნთი — ბრედფორდი
ევერტონი — არსენალი
ლიდსი — ვესტ ჰემი
სიტი — მანჩესტერი
მიდლსბრო — ლესტერი
ნიუკასლი — სანდერლენდი
საუთჰემპტონი — ასტონ ვილა
19 ნოემბერი
ტოტენჰემი — ლივერპული
20 ნოემბერი
ქოვენთრი — იფსვიჩი

## პირველი დივიზიონი

### XVIII ტური

**ვულვერჰემპტონი 1:3 კრ. პალასი**

0:1 ფრიდმანი (23), 0:2 კ. მორისონი (45), 1:2 ბრენჩი (60), 1:3 კ. მორისონი (72)
ვულვზი: ოუქსი, მუსკატი, ნეილორი, რობინსონი (გრინი 75), პოლეტი (ნდა 11), ემბლენი, ბაზელი (პრუდლოკი 76), ოსბორნი, ბრენჩი, ლესკოტი, დინინგი
მწვრთნელი: კოლინ ლი

**პრესტონი 2:1 კრიუ**

1:0 ეპლტონი (12), 1:1 რივერსი (36), 2:1 რანკინი (73)

**ჯილინგემი 1:3 ნოტინგემი**

0:1 ლესტერი (9), 1:1 ონურა (19), 1:2, 1:3 ლესტერი (45, 77)

**ბოლტონი 2:0 ბარნსლი**

1:0 რიკეტსი (14), 2:0 გარდნერი (28)

**ბარნლი 2:0 შეფილდ იუნ.**

1:0, 2:0 პეიტონი (55პ, 67)

**ჰადერსფილდი 0:2 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 ჟორდაო (30), 0:2 ჰიუზი (40)

**პორტსმუთი 2:2 ბლექბერნი**

1:0 ქვოში (44), 1:1 ბიორნებიუ (45), 2:1 პანოპულოსი (61), 2:2 იანსენი (82)

**შეფილდ უენსდი 3:2 ნორვიჩი**

1:0 პინჩკლიფი (32პ), 1:1 პარკერი (42), 2:1 კრენი (56), 3:1 დე ბიდი (62), 3:2 მარშალი (90)

**სტოკპორტი 2:2 ქუინზ პარკი**

0:1 კარლაილი (2), 1:1 ბერგერსენი (12), 2:1 უილბრემი (52), 2:2 ლონგლი (88)

**ტრანმერი 2:0 უოტფორდი**

1:0 პილი (19), 2:0 ს. ტეილორი (60)

**უიმბლდონი 0:3 ფულემი**

0:1, 0:2 საჰა (32, 59პ), 0:3 ჰეილსი (86)

**გრიმსბი — ბირმინგემი** გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფულემი | 16 | 13 | 2 | 1 | 40:10 | 41 |
| უოტფორდი | 17 | 12 | 3 | 2 | 35:16 | 39 |
| ბოლტონი | 18 | 9 | 6 | 3 | 29:19 | 33 |
| ბარნლი | 17 | 9 | 5 | 3 | 19:17 | 32 |
| ბირმინგემი | 17 | 9 | 4 | 4 | 25:14 | 31 |
| ბლექბერნი | 17 | 9 | 4 | 4 | 28:19 | 31 |
| პრესტონი | 17 | 9 | 4 | 4 | 21:15 | 31 |
| ვესტ ბრომი | 18 | 9 | 4 | 5 | 21:19 | 31 |
| ნოტინგემი | 16 | 9 | 3 | 4 | 25:18 | 30 |
| შეფილდ იუნ. | 16 | 7 | 3 | 6 | 17:17 | 24 |
| პორტსმუთი | 18 | 5 | 8 | 5 | 21:22 | 23 |
| უიმბლდონი | 16 | 5 | 6 | 5 | 22:17 | 21 |
| ნორვიჩი | 16 | 5 | 5 | 6 | 17:19 | 20 |
| ბარნსლი | 18 | 5 | 4 | 9 | 24:30 | 19 |
| ჯილინგემი | 18 | 4 | 7 | 7 | 21:27 | 19 |
| ტრანმერი | 18 | 5 | 4 | 9 | 20:26 | 19 |
| კრიუ | 18 | 5 | 3 | 10 | 13:22 | 18 |
| უენსდი | 18 | 5 | 3 | 10 | 21:34 | 18 |
| გრიმსბი | 15 | 5 | 2 | 8 | 11:19 | 17 |
| ვულვზი | 17 | 3 | 7 | 7 | 16:20 | 16 |
| კრ. პალასი | 17 | 4 | 3 | 10 | 20:26 | 15 |
| ქუინზ პარკი | 17 | 2 | 8 | 7 | 18:27 | 14 |
| სტოკპორტი | 18 | 2 | 6 | 10 | 20:34 | 12 |
| ჰადერსფილდი | 17 | 1 | 4 | 12 | 10:27 | 7 |

## მეორე დივიზიონი

მე-18 ტური: ბრენტფორდი — როტერჰემი 0:3; როვერსი — უოლსოლი 0:0; ლუტონი — ბრისტოლი 0:3; მილუოლი — რედინგი 1:0; ნორთჰემპტონი — ბორნმუთი 0:3; პიტერბრო — სუინდონი 4:0; რედინგი — კოლჩესტერი 0:1; სტოკი — ოლდემი 0:1; სუონსი — ოქსფორდი 1:2; უიგანი — კემბრიჯი 2:1; უიკომბი — ბერი 2:1; ნოტსი — პორტველი გადაიდო

## მესამე დივიზიონი

მე-18 ტური: ბარნეტი — ბლექპული 7:0; კარლაილი — საუთენდი 3:1; ჩელტენემი — ლეიტონი 1:1; ჩესტერფილდი — ჰალი 1:0; დარლინგტონი — ჰალიფაქსი 0:1; ექსეტერი — სკანთორპი 2:1; ჰარტლპული — კიდერმინსტერი 3:1; მაკლსფილდი — ბრაიტონი 0:0; მენსფილდი — როჩდეილი 1:0; იორკი — ტორკი 3:2; შრუსბერი — კარდიფი და პლიმუთი — ლინკოლნი გადაიდო

# ლანდებთან ლაციო

## იტალია

### VI ტური

**ვიჩენცა 2:2 ვერონა**

1:0 ლუიზო (46), 1:1 ბონაცოლი (55), 2:1 დალ კანტო (66), 2:2 კამორანეზი (82)
ვიჩენცა: სტერჩელე, კარდონე, მარკო აურელიო, დიკარა, დალ კანტო, სომეზე (მაურიციო როსი 84), ბერნარდინი (ვივიანი 78), კროვარი, კალონი (ლუიზო 46), ძაული, ტონი
მწვრთნელი: ედუარდო რეია
ვერონა: ფერონი, ცვიტანოვიჩი, აპოლონი (გონელა 78), ლაურსენი, ოდო, კამორანეზი, კაზეტი, ჯ. კოლუჩი, სალვეტი, მუტუ (ჯილარდინო 71), ბონაცოლი (ჯ. ფილიპინი 90)
მწვრთნელი: ატილიო პეროტი
გაფრთხილება: სალვეტი, ბერნარდინი, კროვარი, ლაურსენი
14 000 მაყურებელი

**ატალანტა 2:0 ბრეშა**

1:0 დონატი (17), 2:0 ვენტოლა (92)
ატალანტა: პელიცოლი, სივილია, პაგანინი, კარერა, ზაური, კ. ძენონი, დ. ძენონი, დონატი, დონი, როსინი, განცი (ვენტოლა 71)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ბრეშა: სრნიჩეკი, პეტრუცი, კალორი, ფ. გალი, ა. ფილიპინი (ორლანდინი 46), ბიზოლი, ილანა (ე. ფილიპინი 76), დიანა, დელ ნერო (გონსალესი 57), რ. ბაჯო, უბნერი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: დონი, ორლანდინი, პეტრუცი, დონატი
28 000 მაყურებელი

**ბარი 1:3 მილანი**

0:1 ბირჰოფი (67), 1:1 მადსენი (71), 1:2, 1:3 შევჩენკო (74პ, 85)
ბარი: ჯ. როსი, დე როსა, მაცარელი, ნექროიზი, დელ გროსო, კოლაუტო (მასინგა 29), დ. ანდერსონი, პეროტა, ბელავისტა (ინოჩენტი 63), კასანო (მადსენი 55), ოსმანოვსკი
მწვრთნელი: ლუიჯი შანიმანიკო
მილანი: აბიატი, შამოტი, კოსტაკურტა, მალდინი, გატუზო, ამბროზინი, ალბერტინი, სერჟინიო (ხოსე მარი 57), კოკო, შევჩენკო (ჯუნტი 88), ბირჰოფი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: პეროტა, ანდერსონი, კოლაუტო, მადსენი, ამბროზინი
35 000 მაყურებელი

**ბოლონია 1:1 ფიორენტინა**

1:0 ხულიო კრუზი (38), 1:1 ლეანდრო (64პ)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ბია, კასტელინი, ნერვო, ოლივე, ლიმა, ვომე, ოლივეირა (ბინოტო 70), ხულიო კრუზი, სინიორი (ლოკატელი 57)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ფიორენტინა: ტოლდო, რჟეპკა, ლასისი (ადანი 71), პიერინი, ვანოლი, მარკო როსი (ბრეშანი 74), კოისი, კ. ამორუზო, დი ლივიო (ტორიჩელი 80), ლეანდრო, ნუნუ გომეში
მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი
გაფრთხილება: ოლივე, ფალკონე, კოისი, ბრეშანი, ხულიო კრუზი
გაძევება: გვიდოლინი (66), რჟეპკა (89)
25 000 მაყურებელი

**ინტერი 0:1 ლეჩე**

0:1 ვუგრინეცი (20)
ბლანმა ვერ გაიტანა პენალტი (11, მეკარე)
ინტერი: ბალოტა, ფერარი, ბლანი, კორდობა, სიმიჩი (ვიერი 46), იუგოვიჩი (ფარინოსი 60), დი ბიაჯო, გრეშკო, რეკობა, ჰაქან შუქური, კინი (პირლო 68)
მწვრთნელი: მარკო ტარდელი
ლეჩე: კიმენტი, ჟუარესი (ბედინი 74), ვიალი, მალუსკი, ბალერი (კოლონელო 84), ჯორჯეტი, პიანჯერელი, კონტიკიო, ტონეტო, კ. ლუკარელი, ვუგრინეცი (სავინო 35)
მწვრთნელი: ალბერტო კავასინი
გაფრთხილება: კორდობა, ფერარი, ბლანი
გაძევება: მალუსკი (30)
60 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:1 ლაციო**

1:0 ტუდორი (21), 1:1 სალასი (29)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, ტუდორი, იულიანო (მონტერო 57), კონტე, ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო (ძამბროტა 74), ზიდანი, დელ პიერო, ტრეზეგე (ფ. ინძაგი 59)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ლაციო: პერუცი, პანკარო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი, დ. ბაჯო, ხ. ვერონი, სიმეონე (ლომბარდო 73), ნედვედი, კრესპო (ს. ინძაგი 73), სალასი (რავანელი 88)
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
გაფრთხილება: ნესტა, ფერარა, ვერონი, ტუდორი
35 000 მაყურებელი

**პარმა 2:0 უდინეზე**

1:0 ლამუში (84), 2:0 მიკუ (90)
პარმა: ბუფონი, ტურამი, ტორიზი (სენსინი 52), ფ. კანავარო, ფუზერი, ლამუში, ბოგოსიანი, ფალსინი (მონტანო 76), სერჟიუ კონსეისაუ, მბომა (მილოშევიჩი 65), მიკუ
მწვრთნელი: ალბერტო მალესანი
უდინეზე: ტურჩი, ძამბონი, სოტილი, ბერტოტო, ალბერტო (იორგენსენი 70), ფიორე, ჯანიკედა, პინცი, დიასი, მარჯოტა, მაურო ესპოზიტო (გუტიერესი 79)
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
გაფრთხილება: ბერტოტო
15 748 მაყურებელი

**პერუჯა 1:1 ნაპოლი**

0:1 ამორუზო (18), 1:1 მატერაცი (73პ)
პერუჯა: მაცანტინი, რივალტა, მონაკო (დი ლორეტო 84), მატერაცი, ზე მარია, ბაიოკო (გინაზუ 52), ლივერანი, ჯიო ტედესკო, პიერი, ვრიზასი (ბუჩი 69), საუდატი
მწვრთნელი: სერსე კოსმი
ნაპოლი: მანჩინი, მაგონი, ბალდინი, კიროგა, პინედა, პეკია, მატუზალემი, იანკულოვსკი, სესა (დი ვიჩინო 38; ფრეზი 84), ნ. ამორუზო, ბელუჩი
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
გაფრთხილება: ამორუზო, ბაიოკო, მატუზალემი, მონაკო
გაძევება: ბალდინი (78)
10 000 მაყურებელი

**რომა 2:1 რეჯინა**

1:0 ტოტი (29პ), 1:1 ბოგდანი (54), 2:1 მონტელა (70)
რომა: ანტონიოლი, ძებინა, ძაგო, მანგონე, კაფუ, ტომაზი, კ. ძანეტი (მარკოს ასუნსაო 88), კანდელა, ტოტი (ნაკატა 79), მონტელა (ბალბო 85), დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
რეჯინა: ტაიბი, ჟირანეკი, სტოვინი, ოშადოგანი, კანეირა, ბერნინი, რ. ვერონი (ძანჩეტა 46), მოცარტი, მორაბიტო, ბოგდანი (პოსანცინი 68), მარაზინა (კოცა 63)
მწვრთნელი: ფრანკო კოლომბა
გაფრთხილება: ოშადოგანი, ძანეტი, ძანჩეტა
55 000 მაყურებელი

ვინაიდან იტალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ჩვენი ეროვნული გუნდის მეტოქეა, სერია A-ს მეექვსე ტურის მიმოხილვა ასე დავიწყოთ: იტალია ამ კვირაში, ტურინში, ამხანაგურ შეხვედრას მართავს ინგლისთან, მაგრამ მის განკარგულებაში არ იქნებიან „რომას“ ვარსკვლავი ფრანჩესკო ტოტი და „იუვენტუსის“ მცველი მარკ იულიანო. ისინი ხსენებული მეექვსე ტურის თამაშებში დაშავდნენ. ამიტომაც ჯოვანი ტრაპატონიმ იულიანოს შემცვლელად „ფიორენტინას“ დანიელე ადანი იხმო, ხოლო ტოტის მაგივრად, როგორც ამბობენ, იუვენტუსელ ჯანლუკა პესოტოს გაიყვანს მოედანზე.

მაგრამ ტოტიმ სამედიცინო პუნქტს „რეჯინას“ კარში გატანილი გოლის ავტორის რანგში მიაკითხა. „რომამ“ გაიმარჯვა 2:1. მასპინძელთა მეორე გოლი ნაკრების კიდევ ერთმა წევრმა, ვინჩენცო მონტელამ გაიტანა.

„რომა“ 29-ე წუთზე დაწინაურდა — რეჯინელებმა თავიანთ საჯარიმოში სწორედ ტოტი წააქციეს და მანაც საკუთარი მონადირებული პენალტი გაიტანა. შემდეგ, მეორე ტაიმის მე-9 წუთზე, ანგარიში ერიონ ბოგდანიმ გაათანაბრა, მაგრამ გაბრიელ ბატისტუტას არყოფნაში ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებულმა მონტელამ ათ წუთში რომაელთა უპირატესობას დაუსვა საბოლოო ბეჭედი.

„ინტერმა“ კი ერთხელაც დაამტკიცა, რომ წარსულის ლანდებსღა ელაციცებოდა — „სან სიროზე“ მთელი 60 წუთის განმავლობაში 10 ფეხბურთელით დარჩენილი „ლეჩე“ მასზე ძლიერი გამოდგა.

ისე, მილანელებს ანგარიში მე-11 წუთზევე უნდა გაეხსნათ: ჰაქან შუქური უილიამ ვიალიმ საჯარიმოში წააქცია და ამისათვის სრულიად სამართლიანი პენალტიც დაინიშნა, მაგრამ ლორან ბლანმა თერთმეტი მეტრიდან გასაოცრად ულონოდ დაარტყა და ბურთი ლეჩელი მეკარის ანტონიო კიმენტის იოლ ლუკმად იქცა.

მე-20 წუთზე კი მატჩის ერთადერთი გოლიც გავიდა: ხორვატმა დავორ ვუგრინეცმა მოედნის შუიდან დასარტყმელ პოზიციამდე გაიკაფა გზა და მარჯვენა ფეხით მიზანს მიაგნო. ხოლო ამ ამბიდან 10 წუთი რომ გამოხდა, სტუმართა მცველმა ალბერტო მალუსკიმ ჰაქან შუქური დასცა და წითელი ბარათიც იხილა.

შესვენებისას შემდეგ „ინტერის“ შემადგენლობაში კრისტიან ვიერიც გამოჩნდა, მაგრამ შედეგი შავ-ლურჯთა ახალ მწვრთნელს მარკო ტარდელის ვერც ამან მოუტანა — „ლეჩეს“ დაცვა ზედმიწევნით კარგად გახლდათ ორგანიზებული.

„ლეჩე“ იოლად დასაძლევი გუნდი არ გეგონოთ. თანაც მას რამდენიმე ჩინებული მოთამაშე ჰყავს — ფილოსოფიურად შეხედა მომხდარს ტარდელიმ — ჩვენ შანსები ვერ გამოვიყენეთ და სულ ეს არის. არა უშავს, კიდევ ერთხელ უნდა მოვიკრიბოთ ძალა.“

„ინტერის“ თანაქალაქელმა „მილანმა“ კი სეზონში მეორე თამაში მოიგო. მან „ბარის“ სძლია 3:1. ბუნებრივია, გოლი (თან ორი) ანდრეი შევჩენკომ გაიტანა.

სხვათაშორის, ამ შეხვედრაში ბურთმა კარის ხაზის გადაკვეთა საკმაოდ გვიან, 67-ე წუთზე დაიწყო. თავიდან ეს მა მერე მოხდა, რაც ფრანჩესკო კოკომ მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც ოლივერ ბირჰოფმა მისთვის ასე საყვარელი თავური დაარტყა ოთხ წუთში „ბარიმ“ გათანაბრება მოახერხა: დანიელმა მიქაელ მადსენმა ინდივიდუალური ოსტატობა გამოავლინა, თუმცა ამის შემდეგ უკრაინელი შევჩენკოს დროება დადგა — ჯერ პენალტით, შემდეგ კი ხოსე მარის საუცხოო ასისტენტობის წყალობით „მილანმა“ ცხრილში სამი ქულა მიიმატა.

„თამაშიც კარგი იყო და შედეგიც — თქვა მატჩის შემდეგ მილანელთა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ — ფეხბურთელებმა თავიანთი საუკეთესო თვისებები გამოავლინეს და უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს. ერთადერთი ცხრილში ჩვენი პოზიციით ვარ უკმაყოფილო. ეს ჩვენი ადგილი არ გახლავთ და ამიტომ ზევით აცოცება გვმართებს.“

„უდინეზეს“ დაუმარცხებელი სვლა კი „პარმამ“ შეაჩერა. პარმელები მეტოქეს მთელი შეხვედრის განმავლობაში სჯობდნენ, მაგრამ გოლები ბოლო წუთებშიღა შეყარეს. ორივეჯერ ფრანგმა გამოიჩინა თავი — პირველად საბრი ლამუშიმ, მეორედ კი იოან მიკუმ.

და ბოლოს, „იუვენტუსი“ — „ლაციო“, სადაც მეტოქეებმა გოლების გატანა პირველ ტაიმშივე მოათავეს. ანგარიში ტურინელმა ხორვატმა იგორ ტუდორმა გახსნა, რომაელმა ჩილელმა მარსელო სალასმა კი 8 წუთის მერე გაქვითა. ამ ფრის შემდეგ ორივე გუნდს 11 ქულა აქვს.

ამაზე ცხრით ნაკლები ანუ ოდენ ორი ქულა მოაგროვა „ნაპოლიმ“, რომლის ჩეხი მთავარი მწვრთნელი ზდენეკ ზემანი გუშინ თანამდებობიდან დაითხოვეს. როგორც ვარაუდობენ, მის ადგილს მალე „ტორინოს“ ყოფილი მწვრთნელი ემილიანო მონდონიკო დაეპატრონება.

**პაპუნა ძედი**



REUTERS მილანიდან

ინტერი — ლეჩე 0:1. მასპინძლებს კრისტიან ვიერის (№32) გამოსვლამაც ვერ უშველა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რომა | 6 | 5 | 0 | 1 | 15:6 | 9 | 15 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 4 | 6 |
| 2 | ატალანტა | 6 | 4 | 2 | 0 | 14:6 | 8 | 14 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 5 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 3 | 7 |
| 3 | უდინეზე | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 6 | 13 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 |
| 4 | იუვენტუსი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 7 |
| 5 | ლაციო | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 11 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 2 |
| 6 | პარმა | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 3 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 |
| 7 | ბოლონია | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 3 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 3 |
| 8 | მილანი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:10 | 1 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 7:5 | 2 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 |
| 9 | პერუჯა | 6 | 2 | 2 | 2 | 9:10 | -1 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 3 |
| 10 | ლეჩე | 6 | 2 | 2 | 2 | 4:8 | -4 | 8 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | -4 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 7 |
| 11 | ფიორენტინა | 6 | 1 | 4 | 1 | 11:11 | 0 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 7:7 | 0 | 4 | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 0 | 3 |
| 12 | ინტერი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | -1 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 |
| 13 | ვერონა | 6 | 1 | 4 | 1 | 8:9 | -1 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 2 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | -3 | 2 |
| 14 | ვიჩენცა | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 15 | რეჯინა | 6 | 1 | 0 | 5 | 4:10 | -6 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 0 |
| 16 | ბრეშა | 6 | 0 | 2 | 4 | 6:13 | -7 | 2 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:8 | -5 | 0 |
| 17 | ბარი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:11 | -7 | 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 |
| 18 | ნაპოლი | 6 | 0 | 2 | 4 | 6:14 | -8 | 2 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | -6 | 0 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (რომა) | 6 |
| შევჩენკო (მილანი) | 6 |
| ლეანდრო (ფიორენტინა) | 5 |
| როსინი (ატალანტა) | 4 |
| სოსა (უდინეზე) | 4 |
| სიმონე ინძაგი (ლაციო) | 4 |
| ტოტი (რომა) | 4 |

### VII ტური

18-19 ნოემბერი

ბოლონია — პარმა
ბრეშა — იუვენტუსი
ფიორენტინა — ვიჩენცა
ინტერი — პერუჯა
ლაციო — მილანი
ლეჩე — ბარი
ნაპოლი — ატალანტა
უდინეზე — რეჯინა
ვერონა — რომა

## სერია B

### XI ტური

**ჩიტადელა 2:2 ემპოლი**

1:0 მაცოლენი (30), 2:0 ჩუპი (40ს.კ.), 2:1 დი ნატალე (62), 2:2 მაკარონე (75)

**კიევო 4:2 ტორინო**

0:1 შვოკი (1), 1:1 მორო (18), 2:1 კორადი (21), 3:1 დე ჩეზარე (67), 3:2 პინგა (71), 4:2 დე ჩეზარე (74)

**კროტონე 1:0 ანკონა**

1:0 ამბროზი (78პ)

**ჯენოა 3:1 მონცა**

0:1 ლანტინიოტი (75), 1:1 კარპარელი (85), 2:1 სტრომპა (89), 3:1 კარპარელი (90)

**პესკარა 0:0 პიაჩენცა**

**სალერნიტანა 0:1 ვენეცია**

0:1 სოტია (31)

**სიენა 5:1 რავენა**

1:0 პაგანო (11), 2:0 არკადიო (12), 3:0 კავალო (33), 3:1 ვეკიოლა (48), 4:1 ტირიბოკი (80), 5:1 კამპოლონი (90)

**ტერნანა 3:2 პისტოიეზე**

1:0 გრაბი (4), 1:1 ბიძარი (12), 2:1, 3:1 ბენინი (40, 45), 3:2 ბელოტო (88)

**ტრევიზო 0:2 სამპდორია**

0:1 დიონიჯი (86), 0:2 ვერგასოლა (89)

**კალიარი — კოზენცა**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოზენცა | 10 | 7 | 1 | 2 | 16:9 | 22 |
| ვენეცია | 11 | 5 | 6 | 0 | 17:10 | 21 |
| კიევო | 11 | 6 | 3 | 2 | 14:8 | 21 |
| სამპდორია | 11 | 5 | 4 | 2 | 16:11 | 19 |
| კალიარი | 10 | 5 | 3 | 2 | 18:11 | 18 |
| ტერნანა | 11 | 5 | 3 | 3 | 14:12 | 18 |
| პიაჩენცა | 11 | 5 | 2 | 4 | 14:10 | 17 |
| ანკონა | 11 | 5 | 2 | 4 | 15:13 | 17 |
| ემპოლი | 11 | 5 | 2 | 4 | 12:12 | 17 |
| კროტონე | 11 | 5 | 2 | 4 | 14:15 | 17 |
| სიენა | 11 | 4 | 4 | 3 | 18:15 | 16 |
| სალერნიტანა | 11 | 4 | 2 | 5 | 14:13 | 14 |
| ჩიტადელა | 11 | 3 | 5 | 3 | 15:15 | 14 |
| პისტოიეზე | 11 | 3 | 3 | 5 | 13:15 | 12 |
| ჯენოა | 11 | 2 | 5 | 4 | 10:12 | 11 |
| ტრევიზო | 11 | 3 | 2 | 6 | 10:16 | 11 |
| ტორინო | 11 | 2 | 4 | 5 | 12:18 | 10 |
| მონცა | 11 | 3 | 0 | 8 | 11:19 | 9 |
| პესკარა | 11 | 0 | 6 | 5 | 9:15 | 6 |
| რავენა | 11 | 0 | 5 | 6 | 10:23 | 5 |

## გერმანია

### XII ტური

**აინტრახტი 3:1 კაიზერსლაუტერნი**

1:0 რაიხენბერგერი (44), 2:0 სობოტჩიკი (52), 3:0 ფიორტოფტი (77), 3:1 კლოსე (83)
აინტრახტი: ჰაინენი, კუჩერა, ხუბჩევი, კრახტი, შური, ბრანკო, სობოტჩიკი (გუიე-მიენი 65), გებჰარდტი (ლიოში 47), ჰელდტი, ფიორტოფტი, რაიხენბერგერი (რასიევსკი 89)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, კომლიენოვიჩი, ჰ. კოხი, კლოსი, გრამოცისი (მარშალი 78), ჰაუკი (რაიხი 59), შტრასერი, პეტერსონი, ჯორკაეფი, კლოსე, ხრისტოვი
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
გაფრთხილება: ფიორტოფტი, ჯორკაეფი, გრამოცისი, პეტერსონი, ჰაუკი
35 000 მაყურებელი

**კოტბუსი 2:1 შტუტგარტი**

0:1 სოლდო (16), 1:1 მირიუტა (34), 2:1 მატიუში (86)
კოტბუსი: პიპლიცა, შებოკი, ვატა, ბეეკი, აკპაროვიჩი, ტიელემანი (ლატუნდი 81), მატიუში, მირიუტა, ფრანკლინი, მიჩევსკი (პუჯოროვიჩი 90), ლაბაკი (ჰელბიგი 63)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ტ. შნაიდერი, ბორდონი, კარნელი, მაისნერი, სოლდო, პინტუ, გერბერი (ჰოსნი 76), ბალაკოვი (ლისტეში 76), დანდი, განია (ენდრესი 46)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ტიელემანი, მატიუში, შებოკი, ჰილდებრანდი, სოლდო
16 296 მაყურებელი

**შალკე 3:2 ბაიერნი**

0:1 ელბერი (33), 1:1 მიოლერი (58), 1:2 პაულო სერჟიო (59), 2:2 ასამოა (68), 3:2 სანდი (71)
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, ნემეცი, ვან ჰუგდალემი, ლატალი (ასამოა 54), ბიუსკენსი, მიოლერი, სანდი, მპენზა
მწვრთნელი: ჰუბ სტევენსი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ანდერსონი, სფორცა, ტარნატი, იერემისი, ეფენბერგი, შოლი (ციკლერი 73), სალიჰამიჯიჩი (იანკერი 73), ელბერი (სანტა კრუზი 85), პაულო სერჟიო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ნემეცი, ბიუსკენსი, ვან ჰუგდალემი, ტარნატი, პაულო სერჟიო, იერემისი, ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი
62 109 მაყურებელი

**ვერდერი 2:0 ბოხუმი**

1:0 აილტონი (46), 2:0 პიზარო (81)
ვერდერი: როსტი, ფრინგსი, აილტსი, ფ. ბაუმანი, კრსტაიჩი, ვიკი, სტალტერი (მაქსიმოვი 86), ა. ჰერცოგი, ბოდე, აილტონი (ბანოვიჩი 88), პიზარო (ბოგდანოვიჩი 90)
მწვრთნელი: თომას შააფი
ბოხუმი: ვან დუინოვენი, რიშტაუ, დიკჰაუტი, მილინოვიჩი, ბემბენი, შინდცილორცი, მამიჩი (ბალუშინსკი 82), მაიხელბეკი (ბაკლი 57), მანდრეკო, მ. მარიჩი, დრინჩიჩი
მწვრთნელი: რალფ ცუმდიკი
გაფრთხილება: მარიჩი
27 525 მაყურებელი

**ფრაიბურგი 0:1 ლევერკუზენი**

0:1 რამელო (62)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, ჰერმელი, დიარა, ცქიტიშვილი (ვ. ბუტი 71), ვაისჰაუპტი, ბაია, კობიაშვილი, კულიბალი (სელიმი 63), რამდანე, იაშვილი (დორნი 76)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი, ვრანიეში, რ. კოვაჩი, რამელო, ტ. ჰოფმანი, ბალაკი, ოჯიგვე, ზე რობერტო, ნოივილი (ბ. შნაიდერი 85), ბრდარიჩი (პონტე 74)
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი
გაფრთხილება: კობიაშვილი, რამდანე, პონტე, ბალაკი, მატიშეკი, რამელო
25 000 მაყურებელი



REUTERS დორტმუნდიდან

დორტმუნდი — ჰერტა 2:0. მასპინძელთა ნიგერიელი ვიქტორ იკპებასა და ბერლინელთა ამერიკელი ტონი სანეს (№20) ორთაბრძოლა

# მეთექვსმეტე და ცუდი პერსპექტივა

**კიოლნი 4:2 ჰამბურგი**

1:0 კურტი (16), 2:0 ტიმი (19), 3:0 ლოტნერი (49), 3:1 ბარბარესი (62), 3:2 იებოა (69), 4:2 ლოტნერი (86)
კიოლნი: პრიოლი, ჩიკონი, კულმანი, ჟივიორი, კელერი, ვოიგტი, შპრინგერი, შერცი, ლოტნერი (ჰაუპტმანი 88), კურტი (ბარანეკი 79), ტიმი (დონკოვი 79)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, კინცი (დოლი 79), პანადიჩი, ჰერჩი, ჰოოგმა (ბესტერი 75), მაული (იებოა 46), ტოფტინგი, ბარბარესი, პრეგერი, კეტელაერი, მაჰდავიკია
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაფრთხილება: ვოიგტი, კელერი, ჰერჩი, პრეგერი, ბარბარესი, კეტელაერი,
გაძევება: კელერი (78)
40 000 მაყურებელი

**ჰანზა 2:2 უნტერჰახინგი**

0:1 ჰერცოგი (45), 1:1 ჰერცოგი (75ს.კ.), 2:1 რიდლევიჩი (81), 2:2 ბრაიტენრაიტერი (89)
ჰანზა: პიკენჰაგენი, შრიოდერი, იაკობსონი, ოსვალდი (ბენკენი 82), ვიბრანი (იასერი 68), ლანცი, რიდლევიჩი, მაიაკი, ბრანდი (ცალმანი 85), აგალი, არვიდსონი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
უნტერჰახინგი: ტრემელი, შტრემელი, ჰ. ჰერცოგი, ზაიფერტი (ნოვაკი 85), შვარცი, მატიას ციმერმანი (ობერლაიტნერი 82), ჰაბერი, შტრაუბე, ბრაიტენრაიტერი, რაკლი (ზდრილიჩი 46), შპიზაკი
მწვრთნელი: გიუნტერ-ლორანც კიოსტნერი
გაფრთხილება: მაიაკი, არვიდსონი, რიდლევიჩი, შტრაუბე, შტრემელი
12 000 მაყურებელი

**მიუნხენი 2:2 ვოლფსბურგი**

0:1 იუსკოვიაკი (1), 1:1 აგოსტინო (33), 2:1 მაქსი (37), 2:2 მარიჩი (88)
ჰესლერმა ვერ გაიტანა პენალტი (24, მეკარე)
მიუნხენი: იენჩი, რისეტი, ზელიჩი, პასლაკი, შტრანცლი, მიუკლანდი, ჩერნი, ბაიროფკა (პფუდერერი 64), ჰესლერი, აგოსტინო (ბორიმიროვი 79), მაქსი
მწვრთნელი: ვერნერ ლორანტი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კრიგერი (ბილიშკოვი 46), ტომსენი, ჰენგენი, ნოვაკი (რიშე 79), გრაინერი (ტ. მარიჩი 62), აკონორი, ვაისერი, კუჰბაუერი, იუსკოვიაკი, აკპობორი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: მიუკლანდი, გრაინერი, კრიგერი, რაიტმაიერი
21 800 მაყურებელი

**დორტმუნდი 2:0 ჰერტა**

1:0 რიკენი (3), 2:0 რეინა (72)
დორტმუნდი: ლემანი, ნოიჰაუსი, კოლერი, მეცელდერი, ევანილსონი, სტევიჩი, დედე, რიკენი, ადო, რეინა (ნერლინგერი 89), იკპება (ტანკო 78)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ჰერტა: კირალი, სანე, ტრეჩოკი (დაეი 65), სვერისონი, კონსტანტინიდისი, ვაიტი, ჰარტმანი (დარდაი 78), დაისლერი (როი 82), ბაინლიხი, პრეეცი, ალვეში
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: იკპება, ვაიტი
61 000 მაყურებელი

ბუნდესლიგის ჩემპიონატის მე-12 ტურის შემდეგ „ქართული“ „ფრაიბურგი“ მეთექვსმეტე ადგილზე დამკვიდრდა, რაც ლიგიდან გავარდნის კარგი წინაპირობაა. ნუ გაგიკვირდებათ: ბოლო შვიდი მატჩიდან ფოლკერ ფინკეს გუნდმა ხომ ექვსი წააგო. ნურც იმას გაიოცებთ, თუ „ფრაიბურგი“ მომავალ სამ ტურში უქულოდ დარჩება — ისეთი კალენდარი აქვს, მტერს არ უსურვებს კაცი.

„უმძიმეს მდგომარეობაში ვართ, სასწრაფოდ გამოსავალი უნდა ვიპოვოთ. დღეს ძალიან უკმაყოფილო ვარ, თამაშის გადარჩენა მაინც შეგვეძლო. მთავარი ის იყო, პირველ გოლს ვინ გაიტანდა. ბედმა, სამწუხაროდ, სტუმრებს გაუღიმა“ — თქვა „ლევერკუზენთან“ მატჩის შემდეგ ფინკემ.

ისე, საინტერესოა, როგორ უნდა გაეტანათ ფრაიბურგელებს გოლი. 90 წუთი ისე გაილია, მატიშეკის კართან ერთი მომენტიც არ შექმნილა. თავი მაინცდამაინც არც სტუმრებს მოუკლავთ და ამიტომაც რამელოს გოლი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა: 62-ე წუთზე ამან ნოივილის დარტყმულს ხუთი მეტრიდან ზუსტად დაამატა. ფინკემ ამის შემდეგ შეცვლებს მიმართა — იაშვილისა და ცქიტიშვილის ნაცვლად დორნი და ბუტი გამოიყვანა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა.

კობიაშვილმა 90 წუთი ითამაშა და თავი გაფრთხილებით გამოიჩინა... სამივე ქართველმა „კიკერისგან“ „ხუთიანი“ დაიმსახურა... და საერთოდ, ყოვლად უინტერესო — აი, ასე შეიძლება შეფასდეს ფრაიბურგული მატჩი. მიუხედავად ამისა, ლევერკუზენელებმა კარგი საჩუქარი გაუკეთეს რუდი ფიოლერს — მან „ბაიერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი დაუმარცხებელმა დატოვა.

73-ე წუთიდან მოყოლებული მიუნხენის „ბაიერნი“ ოთხი თავდამსხმელით უტევდა მასპინძელ „შალკეს“. ელბერს, პაულო სერჟიოს, იანკერსა და ციკლერს უკნიდან ახალგამოჯანმრთელებული ეფენბერგიც ეხმარებოდა, მაგრამ ბავარიელები მარცხს მაინც ვერ ასცდნენ. არადა, 58-ე წუთამდე ყველაფერი მიუნხენელთა სასიკეთოდ მიდიოდა — პირველ ნახევარში ელბერმა ტარნატის დახმარებით ანგარიში გახსნა. ამის მერე თამაში უფრო დაიძაბა, ორივე გუნდი თავს არ ზოგავდა და მსაჯსაც ხშირად უწევდა ყვითელი ბარათის გამოყენება. მეორე ტაიმში „შალკემ“ იძალა, უპირატესობას დაეუფლა, მეტოქის კართანაც უფრო მეტი მომენტი შექმნა და შედეგიც სათანადო მოიმკო. მიოლერმა, ასამოამ და სანდმა სამი ბურთი გაიტანეს, სანაცვლოდ მასპინძლებმა ერთი გაუშვეს და თამაშიც 3:2 მოიგეს. მიუნხენელებს ერთი მარცხიც შეემთხვათ — იენს იერემისი ისევ დაუშავდათ.

„ბაიერნს“ რომ „შალკესთან“ ემარჯვა, პირველ ადგილზე იქნებოდა, რადგან ლიდერმა „ჰერტამ“ წინადღეს დორტმუნდში „ბორუსიასთან“ 0:2 წააგო. ამ მატჩში სტუმრებს მოგების კი არა, ფრის შანსიც არ ჰქონიათ. მასპინძლებმა მთელი თამაში ჩინებულად ჩაატარეს, „ჰერტას“ კართანაც უამრავი მომენტი შექმნეს და ბერლინელთა უნგრელი მეკარის, გაბორ კირალის საუცხოო თამაში რომ არა, დიდი ანგარიშით მოიგებდნენ. შეხვედრის მსვლელობაზე გავლენა, ალბათ, ჰაიკო ჰერლიხის ნაადრევმა გოლმაც (უკვე მე-3 წუთზე) იქონია, მატჩს წერტილი კი რეინამ დაუსვა. ასე შეწყდა „ჰერტას“ მოგებების ხუთმატჩიანი სერია, „დორტმუნდმა“ კი ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ მოიგო.

„ცოტა გაკვირვებულიც კი ვარ. „ჰერტამ“ დღეს უჩვეულოდ სუსტად ითამაშა, თუმცა ამაში მთავარი დამნაშავენი ჩვენ ვართ. იმედია, ამ გამარჯვებით ჩვენი დროებითი ჩავარდნა დასრულდა“ — თქვა „დორტმუნდის“ თავკაცმა მათიას ზამერმა.

„უკმაყოფილო ვარ. არ შეიძლება, საგოლე მომენტი ასე იოლად გაატანო ქარს. ამასთანავე, ჩვენ დღეს არ გვყავდა ტორსტენ ჰელდტი“ — ასე ახსნა ფრანკფურტში „აინტრახტთან“ მარცხი „კაიზერსლაუტერნის“ მთავარმა მწვრთნელმა ანდრეას ბრემემ.

ცნობისათვის: ჰელდტი „აინტრახტის“ ნახევარმცველია. სწორედ მისი ჩინებული თამაშის წყალობით გაიმარჯვეს მასპინძლებმა. მართალია, ჰელდტს თავად არ გაუტანია, მაგრამ თავსხმა წვიმაში უიმისოდ „აინტრახტს“ ერთი მომენტიც ვერ შეექმნია. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელს გარჯა პირველად 45-ე წუთზე დაუფასდა, როცა მისი და გებჰარდტის კომბინაცია რაიხენბერგერმა ზუსტი თავურით დააგვირგვინა. სობოჩიკმაც ჰელდტის ჩაწოდების შემდეგ ივარგა. თამაშის ბედი საბოლოოდ ფიორტოფტმა გადაწყვიტა, ბოლოს კლოსემ პრესტიჟისღა შეაგდო. ასე რომ, „აინტრახტს“ მთავარი მეგოლეების — ჩირიჩის, სალუსა და ჩენ იანგის არყოფნა სულაც არ დასტყობია.

„კიოლნში“ კვლავ არ უთამაშია არჩილ არველაძეს, რომელსაც თითქმის ერთი თვეა, ტრავმა აწუხებს. შაბათს მის გარეშე კიოლნელები „ჰამბურგს“ დაუხვდნენ და შინ უქულოდ გაუშვეს. არადა, მატჩის წინ მასპინძელთა ბანაკში ყველაფერი რიგზე ვერ იყო: მთავარი მწვრთნელი ევალდ ლინენი კლუბის ხელმძღვანელობას დაუბარებია და ცუდი შედეგისთვის გაუკრიტიკებია. აი, შედეგიც — ცხრილში ჩაიხედეთ და ნახავთ, რომ ცოტა ხნის წინ მე-17 ადგილზე მყოფი „კიოლნი“ ამჟამად მეათეა.

მასპინძლებმა თავიდანვე მობილიზებულებმა დაიწყეს თამაში და შედეგიც მალე მოიმკეს. ჯერ კურტმა დააგვირგვინა შერცის წამოწყებული შეტევა, ორ წუთში ტიმმა ივარგა. ამის მერე მინდორზე დროებითმა სიმშვიდემ დაისადგურა, რომელიც 49-ე წუთზე დაირღვა, როცა ლოტნერმა თითქოს ყველაფერს ნათელი მოჰფინა. ვისაც ეგონა, „ჰამბურგი“ მარცხს შეურიგდებოდა, მწარედ მოტყუვდა. ჯერ იყო და ბარბარესმა გაიტანა ერთი საპასუხო გოლი, მერე იებოამ შეამცირა სხვაობა მინიმუმამდე. ამის მერე თამაშის ბოლომდე კიდევ ოცი წუთი იყო, „ჰამბურგიც“ შეტევებს მიეძალა, „კიოლნი“ გაძლებაზე იყო, თანაც მასპინძლები 78-ე წუთზე ათნი დარჩნენ — მსაჯმა კელერს უხეშობა არ აპატია და მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა. ამან „ჰამბურგს“ სტიმული მისცა, თუმცა უკანმოუხედავმა იერიშებმა უკუშედეგი გამოიღო, კიოლნელებმა სტუმრები კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და ლოტნერმა დუბლი შეასრულა.

„დამსახურებულად მოვიგეთ, მეტოქეს სივრცეები შევუზღუდეთ, რამაც ამოცანა გაგვიიოლა. 3:0-ზე კონცენტრაცია დავკარგეთ, მაგრამ, საბედნიეროდ, გონს დროზე მოვეგეთ და მეტოქეს აღარ გავატანინეთ“ — გახარებული იყო ნამატჩევს ლინენი.

**ვანო ოქროპირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ჰერტა | 12 | 8 | 0 | 4 | 28:17 | 11 | 24 | 6 | 6 | 0 | 0 | 21:4 | 17 | 18 | 6 | 2 | 0 | 4 | 7:13 | -6 | 6 |
| 2 | ბაიერნი | 12 | 7 | 1 | 4 | 28:15 | 13 | 22 | 6 | 5 | 0 | 1 | 19:7 | 12 | 15 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:8 | 1 | 7 |
| 3 | ლევერკუზენი | 12 | 6 | 4 | 2 | 15:11 | 4 | 22 | 6 | 4 | 1 | 1 | 7:2 | 5 | 13 | 6 | 2 | 3 | 1 | 8:9 | -1 | 9 |
| 4 | შალკე | 12 | 6 | 3 | 3 | 25:13 | 12 | 21 | 6 | 4 | 2 | 0 | 13:4 | 9 | 14 | 6 | 2 | 1 | 3 | 12:9 | 3 | 7 |
| 5 | ლაუტერნი | 12 | 6 | 2 | 4 | 17:14 | 3 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:5 | 5 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | -2 | 7 |
| 6 | დორტმუნდი | 12 | 6 | 1 | 5 | 19:22 | -3 | 19 | 6 | 3 | 0 | 3 | 7:9 | -2 | 9 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:12 | 1 | 10 |
| 7 | ჰამბურგი | 12 | 5 | 3 | 4 | 29:23 | 6 | 18 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:6 | 9 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 14:17 | -3 | 5 |
| 8 | ვოლფსბურგი | 12 | 4 | 5 | 3 | 27:18 | 9 | 17 | 6 | 3 | 3 | 0 | 19:8 | 11 | 12 | 6 | 1 | 2 | 3 | 8:10 | -2 | 5 |
| 9 | აინტრახტი | 12 | 5 | 2 | 5 | 17:16 | 1 | 17 | 6 | 5 | 1 | 0 | 15:2 | 13 | 16 | 6 | 0 | 1 | 5 | 2:14 | -12 | 1 |
| 10 | კიოლნი | 12 | 4 | 3 | 5 | 19:23 | -4 | 15 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:8 | 7 | 13 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:15 | -11 | 2 |
| 11 | ჰანზა | 12 | 4 | 3 | 5 | 9:17 | -8 | 15 | 6 | 1 | 3 | 2 | 4:9 | -5 | 6 | 6 | 3 | 0 | 3 | 5:8 | -3 | 9 |
| 12 | მიუნხენი | 12 | 3 | 5 | 4 | 15:19 | -4 | 14 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:10 | -2 | 8 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | -2 | 6 |
| 13 | კოტბუსი | 12 | 4 | 2 | 6 | 14:22 | -8 | 14 | 6 | 4 | 0 | 2 | 9:7 | 2 | 12 | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | -10 | 2 |
| 14 | ვერდერი | 12 | 3 | 4 | 5 | 16:19 | -3 | 13 | 6 | 2 | 3 | 1 | 11:8 | 3 | 9 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 4 |
| 15 | შტუტგარტი | 12 | 3 | 4 | 5 | 18:22 | -4 | 13 | 6 | 3 | 3 | 0 | 13:8 | 5 | 12 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:14 | -9 | 1 |
| 16 | ფრაიბურგი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:17 | -4 | 12 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:4 | 7 | 10 | 6 | 0 | 2 | 4 | 2:13 | -11 | 2 |
| 17 | უნტერჰახინგი | 12 | 2 | 5 | 5 | 13:21 | -8 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 8:7 | 1 | 9 | 6 | 0 | 2 | 4 | 5:15 | -10 | 2 |
| 18 | ბოხუმი | 12 | 3 | 2 | 7 | 9:22 | -13 | 11 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:11 | -4 | 7 | 6 | 1 | 1 | 4 | 2:11 | -9 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბარბარესი (ჰამბურგი) | 9 |
| აგოსტინო (მიუნხენი) | 8 |
| სანდი (შალკე) | 8 |
| ჰერლიხი (დორტმუნდი) | 7 |
| იანკერი (ბაიერნი) | 6 |
| ელბერი (ბაიერნი) | 6 |
| მპენზა (შალკე) | 6 |
| აკპობორი (ვოლფსბურგი) | 6 |

### XIII ტური

17 ნოემბერი
შტუტგარტი — მიუნხენი
18 ნოემბერი
ბაიერნი — აინტრახტი
ლაუტერნი — ფრაიბურგი
კიოლნი — ჰანზა
ვოლფსბურგი — ვერდერი
ჰერტა — შალკე
ჰამბურგი — ლევერკუზენი
19 ნოემბერი
უნტერჰახინგი — კოტბუსი
ბოხუმი — დორტმუნდი

### მეორე ბუნდესლიგა

XII ტური

**ზანქტ პაული 1:0 ულმი**
1:0 მეგლე (30)

**მაინცი 0:2 ჰანოვერი**
0:1 შტეფული (57), 0:2 შიმაკი (65)

**დუისბურგი 2:1 არმინია**
1:0 პოლიკელა (32), 1:1 ვიშნიარეკი (65), 2:1 კოვაჩევიჩი (75)

**ვალდჰოფი 0:0 ქემნიცი**

**ალემანია 3:1 ობერჰაუზენი**
1:0 ქსიე (24), 2:0 ლამერმანი (33), 3:0 ქსიე (45), 3:1 ჰეერენი (81ს.კ.)

**კიკერსი 1:1 მიონხენგლადბახი**
0:1 ვიტეჩეკი (47), 1:1 ბლეშინი (85)

**ალენი 2:0 ზაარბრიუკენი**
1:0, 2:0 ბელა (20, 49)

**როიტლინგენი 2:2 ფიურტი**
0:1 რუმანი (15), 1:1 დიაპა (39), 1:2 შკარაბელა (67), 2:2 ლექსა (73)

**ნიურნბერგი — ოსნაბრუკი**
*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 11 | 8 | 3 | 0 | 23:8 | 27 |
| ჰანოვერი | 12 | 6 | 4 | 2 | 20:10 | 22 |
| ზანქტ პაული | 12 | 6 | 3 | 3 | 29:19 | 21 |
| ობერჰაუზენი | 12 | 6 | 2 | 4 | 18:14 | 20 |
| ალემანია | 12 | 5 | 3 | 4 | 18:16 | 18 |
| როიტლინგენი | 12 | 5 | 3 | 4 | 23:24 | 18 |
| ზაარბრიუკენი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:19 | 18 |
| ფიურტი | 12 | 4 | 4 | 4 | 20:16 | 16 |
| არმინია | 12 | 4 | 4 | 4 | 16:14 | 16 |
| ვალდჰოფი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:18 | 16 |
| გლადბახი | 12 | 3 | 6 | 3 | 19:16 | 15 |
| დუისბურგი | 12 | 4 | 3 | 5 | 17:16 | 15 |
| ულმი | 12 | 4 | 2 | 6 | 17:19 | 14 |
| ალენი | 12 | 3 | 5 | 4 | 19:24 | 14 |
| მაინცი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:18 | 12 |
| ოსნაბრუკი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:19 | 9 |
| კიკერსი | 12 | 1 | 6 | 5 | 7:17 | 9 |
| ქემნიცი | 12 | 2 | 3 | 7 | 11:25 | 9 |

## ესპანეთი

X ტური

### ბარსელონა 1:2 ვილიარეალი

0:1 ვიქტორი (1), 1:1 კოკუ (20), 1:2 ვიქტორი (57)

ბარსელონა: არნაუ, სერხი (ოვერმარსი 70), აბელარდო, პუიოლი (ხერარდი 61), ლუის ენრიკე, კოკუ, ხავი, პეტი, ალფონსო (დანი 60), კლუივერტი, სიმაო

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

ვილიარეალი: უნანუა, არუაბარენა, ბერუე, უნაი, კიკე მედინა, ხავი როკა, ხავი გარსია, კანია, ამორი (ესკუდა 78), მარიონი (კრაიოვიანუ 71), ვიქტორი

მწვრთნელი: ვიქტორ მანრიკე

გაფრთხილება: კიკე მედინა, ბერუე, უნაი, ვიქტორი, უნანუა, ლუის ენრიკე, კოკუ, ხავი, ამორი, ხავი როკა, აბელარდო, ესკუდა, კრაიოვიანუ

60 000 მაყურებელი

### მალიორკა 2:1 ნუმანსია

1:0 ფინიდი (38), 2:0 ლუკე (47), 2:1 რუბენ ნავარო (68)

მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, ფერნანდო ნინიო, ნადალი, ოლაიზოლა, იბაგასა (ჩიჩი სოლერი 64), მარკოსი, ენგონგა, ფინიდი, ეტოო (სტანკოვიჩი 48), ლუკე (კარლოსი 59)

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

ნუმანსია: ნუნიესი, პაჩეტა, სორია, მუნისი, მანელი, როსუ (ბარბუ 78), ხოსე მანუელი, ნაგორე, პირი (მარინი 46), რუბენ ნავარო, ინიაკი (ოხედა 63)

მწვრთნელი: ფრანსისკო ერერა ლორენსო

გაფრთხილება: ფერნანდო ნინიო, პაჩეტა, მარინი

15 000 მაყურებელი

### დეპორტივო 2:0 სარაგოსა

1:0, 2:0 დიეგო ტრისტანი (41, 57)

დეპორტივო: მოლინა, კაპდევილა, ჰელდერი, ნაიბეტი, მანუელ პაბლო, ვალერონი (სეზარი 88), ვიქტორ სანჩესი, მაურო სილვა, ემერსონი, დიეგო ტრისტანი (მაკაი 78), ტურუ ფლორესი (ფერნანდო 71)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

სარაგოსა: ხუანმი, სუნდგრენი, ლანა, პაბლო, პაკო ხემესი, მარტინ ველისკა (იორდი 69), ხოსე იგნასიო, აკუნია, ჟამელი, ხუანელე (ფერონი 69), მონტენეგრო (გარიტანო 69)

მწვრთნელი: ლუის კოსტა

გაფრთხილება: ჰელდერი, მაურო სილვა

27 000 მაყურებელი

### რეალი 5:1 ლას პალმასი

1:0 იერო (6), 2:0 გუტი (14), 2:1 გიარე (34), 3:1 იერო (48), 4:1 რაული (74), 5:1 სავიო (85)

რეალი: კასილიასი, რობერტო კარლოსი (სოლარი 76), კარანკა (ელგერა 74), იერო, ჯერემი, მაკმანამანი, სავიო, მაკელელე, გუტი (მორიენტესი 67), რაული, ფიგუ

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, პაკუი, ალვარო, შურერი, ბაიანო, გიარე (ხოსიკო 74), იარნი, ხორხე (ელოი 55), სემვისი, ედუ ალონსო, ორლანდო (კიკოვიჩი 71)

მწვრთნელი: სერჯიო კრესიჩი

გაფრთხილება: სემვისი, ფიგუ, იარნი, ელოი

გაძევება: ნაჩო გონსალესი (71), ალვარო (92)

60 000 მაყურებელი

### რასინგი 0:0 ოსასუნა

რასინგი: სებალიოსი, ესტევესი, სიეტესი, არსენო, მელბერგი, ტაისი (ბესჩასტნიხი 60), ამავისკა, ესპინია, ხაიმე (ისმაელი 70), პრესიადო (რუშფელდტი 81), მანხარინი

მწვრთნელი: ანდონი გოიკოეჩეა

ოსასუნა: ნუნო, იანგუსი, მატეო, ვიდაკოვიჩი, კრუჩაგა, ლეკუმბერი, პალასიოსი (ანხელ ლუისი 77), ალექსი, ალფონსო, ივან როსადო (არმენტანო 64), საბინო (არპონი 70)

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

გაფრთხილება: მანხარინი, ლეკუმბერი, ამავისკა, არპონი, ანხელ ლუისი

13 000 მაყურებელი

### ბილბაო 2:1 სელტა

1:0 ეჩებერია (35), 1:1 ტომასი (37), 2:1 ლაკრუსი (50)

ბილბაო: ლაფუენტე, ლაკრუსი, ფელიპე, ლარასაბალი (დელ ჰორნო 46), ალკორტა, ლარაინსარი, გერერო (იესტე 90), ურუტია, ურსაისი, ხავი გონსალესი, ხ. ეჩებერია (ტიკო 85)

მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩი როხო

სელტა: პინტო, ხუანფრანი (ხესული 74), იაგო, კასერესი, ველასკო (კოირა 16), ტომასი, ედუ, კარპინი, ჯოვანელა, მაკკარტი (ვაგნერი 46), კატანია

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: კოირა, ურუტია, ჯოვანელა, დელ ჰორნო

30 000 მაყურებელი

### მალაგა 0:0 ესპანიოლი

მალაგა: კონტრერასი, როტეტა, ვალკარსე, ბრავო, ლარაინსარი, რუანო (აგოსტინო 46), ზარატე (ედგარი 65), დე ლოს სანტოსი, მოვილია, რუფეტე (კუაე 85), დელი ვალდესი

მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი

ესპანიოლი: მორა, ტოლედო, ნანდო, კრისტობალი, ნავასი, გალკა, სერხიო, სოლდევილა, ივან დიასი (არტეაგა 46), ტამუდო (სერანო 80), მარტინ პოსე (ველამასანი 75)

მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი

გაფრთხილება: ლარაინსარი, მოვილია, ნანდო, ტოლედო

18 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 2:1 ალავესი

1:0 ალბერტო (49), 1:1 ხავი მორენო (55), 2:1 ჩირიჩი (73)

ვალიადოლიდი: ბიზარი, რიკეტი (ხესუსი 68), მარკოსი, ჰაინცე, ტორეს გომესი, გარსია კალვო, ჩირიჩი (ფერნანდო 89), ანტონიო ლოპესი, ეუსებიო, ფერნანდო სალესი (კამინერო 69), ალბერტო

მწვრთნელი: ფრანსისკო ფერარო

ალავესი: ერერა, ჯელი, ტელიესი, კარმონა, კონტრა, იბონ ბეგონია (მაგნო 75), ასტუდილიო (ეგენი 60), ტომიჩი, დესიო, ხავი მორენო, კრუიფი

მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო

გაფრთხილება: ასტუდილიო, ტომიჩი, ჰაინცე, კონტრა

გაძევება: ტელიესი (88)

10 000 მაყურებელი

### ოვიედო 1:0 სოსიედადი

1:0 ოლი (57)

ოვიედო: ესტებანი, ონოპკო, ბორისი, მარტინოვიჩი, დანჟუ, რეიესი (ბანგო 77), ტომიჩი (ხაიმე 67), ამიევა, კეიტა, ლოსადა (მიოლერი 80), ოლი

მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი

სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, კორინო, პიკაბეა, ლოპეს რეკარტე, დე პედრო, არანბურუ, რუბენ ვეგა (ხოხლოვი 67), დე პაულა, იანკაუსკასი, იდიაკესი

მწვრთნელი: პერიკო ალონსო

გაფრთხილება: კეიტა, დანჟუ

18 000 მაყურებელი

### ვალენსია 2:2 რაიო ვალეკანო

0:1 ბოლიჩი (27), 0:2 მიჩელი (53), 1:2 მენდიეტა (61), 2:2 დიეგო ალონსო (90)

ვალენსია: კანისარესი, ალბელდა, კარბონი, პელეგრინო, ჯუკიჩი, ზაჰოვიჩი (დიეგო ალონსო 73), ვისენტე, მენდიეტა, ანგულო, კარეუ, ხუან სანჩესი

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, მაურო, მინგო, დე კინტანა, ბალესტეროსი, ალკასარი, ივან იგლესიასი (ჰელდერი 67), კევედო (ფერეირა 79), მიჩელი, პოშნერი, ბოლიჩი (ბოლო 62)

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

გაფრთხილება: კარბონი, ვისენტე, ბოლო, ალბელდა, პოშნერი

გაძევება: პოშნერი (90)

45 000 მაყურებელი



REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — ვილიარეალი 1:2. სტუმარი რუდოლფო არუაბარენა ბარსელონელი სიმაოს შეჩერებას ცდილობს

# ისტორია მეორდება

1998 წლის 13 დეკემბერს „ვილიარეალმა“ „კამპ ნოუზე“ „ბარსელონას“ 3:1 მოუგო. იმ სეზონში „ვილიარეალი“ პრიმერადივიზიონში ახლადგადასული იყო, „ბარსა“ კი ჩემპიონობისთვის იბრძოდა და გახდა კიდეც.

სტუმრები უკეთეს დასაწყისს ვერც ინატრებდნენ — 30-ე წამზე პუიოლმა სულელურად დაკარგა ბურთი და ვიქტორმა ანგარიში გახსნა. კატალონიელები არ დაბნეულან და თითქმის გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ რივალდოს არყოფნამ და პატრიკ კლუივერტის არცთუ კარგმა თამაშმა იერიშები გოლებად ვერ აქცია. „ბარსამ“ მხოლოდ ერთი გაიტანა — ხავის ჩაწოდებულ საჯარიმოს ფილიპ კოკუმ თავი დაუხვედრა და გაათანაბრა. მერე კი ვიქტორმა მეორეც შეაგდო — მცველებმა ვერ ივარგეს და „ბარსამ“ პირველი საშინაო მარცხი იწვნია პრიმერადივიზიონში.

აუცილებლად უნდა ითქვას მატჩის არბიტრ ბუენო გრიმალზეც. ამ კაცმა სიმკაცრის ყველა რეკორდი მოხსნა და 13-ჯერ ააფრიალა ყვითელი ბარათი. თავიდან ვილიარეალელები უფრო სცოდავდნენ და პირველ ტაიმში ხუთ გაფრთხილებას გამოჰკრეს ხელი. მეორე ტაიმში, 67-ე წუთზე, გრიმალიმ ჯიბეზე ერთი ხელის გაკვრით სამი ფეხბურთელი გააფრთხილა — ლუის ენრიკეს, კოკუს და ხავის ვერაფრით გააგებინა, რომ დავუსტვენ, საჯარიმო მერე უნდა შეასრულოთო. რამდენიმე წუთში უარესი რამ მოხდა. ხავის დარტყმული მეკარე ხესუს უნანუამ მოიგერია, ბურთი დანის მიუვიდა, დაარტყა და ხოსე იგნასიო ბერუეტმა მკერდით მოიგერია. მსაჯს მოეჩვენა, რომ მცველმა ხელით ითამაშა, პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა და წითელი ბარათიც მოამზადა. ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა, როცა თანამსაჯმა გრიმალის ანიშნა, პენალტი არ ყოფილაო და ისიც დაეთანხმა. ამ ეპიზოდის მერე თამაში უფრო აგრესიული გახდა და მსაჯს კიდევ ხუთჯერ მოუხდა ფეხბურთელების გაფრთხილება.

„ვალენსიამ“ უკვე მერამდენედ გადაარჩინა თამაში ბოლო წუთებზე. არადა, 0:2 აგებდა. ვალეკანოელმა ფეხბურთელებმა გაოგნებულებმა დატოვეს „მესტალა“ — ასე უაზროდ დაკარგეს მესამე ადგილი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში აინაცვლებდნენ. და განა ბევრი დააკლდათ? მესამე წამატებული წუთი მიდიოდა, როცა ზაჰოვიჩის ნაცვლად შესულმა დიეგო ალონსომ ანგარიში გაათანაბრა.

„ვალენსიასთვის“ ქულის დათმობამ „დეპორტივოსაც“ დასწყვიტა გული — შეეძლო, ერთპიროვნული ლიდერი გამხდარიყო.

ჩემპიონებს ერთ-ერთ აუტსაიდერ „სარაგოსასთან“ თავიდან გაუჭირდათ, რადგან შეტევის სული და გული ჯალმინია არ ჰყავდათ. დიეგო ტრისტანის გოლებამდე ლაკორუნიელებს ერთი კარგი მომენტი ჰქონდათ, როცა ტურუ ფლორესის უძლიერესი თავური დარტყმა მცველმა პაკო ხემესმა ზედ კარის ხაზზე მოიგერია. მოგვიანებით ტრისტანმა ორჯერ იყოჩაღა და ბომბარდირთა შორის გაერია.

რაკი ბომბარდირები ვახსენეთ, ალვნიშნოთ, რომ მართალია, „ალავესმა“ წააგო, მაგრამ მისმა მეგოლე ხავი მორენომ „ვალიადოლიდისთვის“ ერთი გოლის გატანა მაინც მოახერხა და მდევრებთან სხვაობა ორამდე გაზარდა.

„ლას პალმასი“ „სანტიანო ბერნაბეუს“ ბოლოს 12 წლის წინ ესტუმრა და კანარის კუნძულებზე ხუთი გაშვებული გოლით დაბრუნდა. მადრიდელებმა მეტოქეს ამჯერადაც ხუთი გაუტანეს, თუმცა მეექვსეს გატანაც შეეძლოთ — ბოლო წუთზე ფერნანდო იერომ სტივ მაკმანამანის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ააცილა. აქვე დავუმატოთ, რომ მაკმანამანი შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. თუმცა რაღა ინგლისელი, ყველა მადრიდელმა ძალიან კარგად ითამაშა.

სტუმართა განადგურება მე-7 წუთზე დაიწყო, როცა რაულმა ბრწყინვალე პასი მისცა სავიოს, ის კი საჯარიმოში წააქციეს. პენალტი, ცხადია, იერომ დაარტყა. მერე გუტიმ გაიტანა ფიგუს უზუსტესი ჩაწოდებით. მესამე ისევ იერომ გაიტანა — ფიგუმ კუთხური ჩააწოდა, სავიომ კი ბურთი კაპიტანს გადააბარა. ამ გოლმა კანარელებს საბოლოოდ დააკარგვინა თამაშის გადარჩენის იმედი, რომელიც პირველ ტაიმში ანტონიო გიარეს გოლმა ჩაუსახა.

მატჩის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე სტუმრებს მეკარე ნაჩო გონსალესი გაუგდეს — ფერნანდო მორიენტესის გარღვევის შესაჩერებლად კარიდან გამოსულმა მეკარემ ზედ საჯარიმოს ხაზზე მოიგერია ბურთი. მსაჯმა ჩათვალა, რომ ნაჩომ საჯარიმოს გარეთ ითამაშა ხელით, თუმცა ტელეკამერამ მსაჯის შეცდომა დააფიქსირა. ამ ეპიზოდში მსაჯი მეკარის გაფრთხილებას აპირებდა, მაგრამ არგენტინელმა იმდენი იკამათა, გააძევეს.

მეოთხე გოლი ძალიან ლამაზი სანახავი იყო. „ლას პალმასის“ საჯარიმოსთან ბურთმა თითო შეხებით შემოიარა სავიო, რობერტო კარლოსი, მორიენტესი, ისევ რობერტო კარლოსი და რაული, რომელმაც კარისკენ ზუსტად გაისროლა. ბოლოს კი, იეროს აცილებულ პენალტამდე, ფიგუ — სავიოს კომბინაცია მეხუთე გოლით დასრულდა. ისე, სადაც ამდენი გაიტანეს, ერთი მორიენტესსაც ეკუთვნოდა — კაცი მეასე პრიმერადივიზიონულ მატჩს ატარებდა.

გიორგი დარჯანია

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვალენსია | 10 | 6 | 2 | 2 | 20:8 | 12 | 20 | 5 | 4 | 1 | 0 | 13:3 | 10 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 7 |
| 2 დეპორტივო | 10 | 6 | 2 | 2 | 19:9 | 10 | 20 | 5 | 4 | 1 | 0 | 11:1 | 10 | 13 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 0 | 7 |
| 3 რეალი | 10 | 5 | 2 | 3 | 22:14 | 8 | 17 | 5 | 4 | 0 | 1 | 14:5 | 9 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 5 |
| 4 ალავესი | 10 | 5 | 2 | 3 | 15:7 | 8 | 17 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:2 | 5 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 3 | 8 |
| 5 მალიორკა | 10 | 5 | 2 | 3 | 12:11 | 1 | 17 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 7 |
| 6 რაიო ვალეკანო | 10 | 4 | 4 | 2 | 19:12 | 7 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 10:9 | 1 | 6 |
| 7 ბარსელონა | 10 | 5 | 1 | 4 | 17:12 | 5 | 16 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 4 | 10 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:7 | 1 | 6 |
| 8 სელტა | 10 | 5 | 1 | 4 | 13:12 | 1 | 16 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:3 | 6 | 13 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:9 | -5 | 3 |
| 9 ვილიარეალი | 10 | 4 | 3 | 3 | 11:14 | -3 | 15 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:8 | -2 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 7 |
| 10 ოვიედო | 10 | 4 | 2 | 4 | 12:13 | -1 | 14 | 5 | 4 | 1 | 0 | 12:5 | 7 | 13 | 5 | 0 | 1 | 4 | 0:8 | -8 | 1 |
| 11 ვალიადოლიდი | 10 | 2 | 6 | 2 | 10:9 | 1 | 12 | 5 | 2 | 3 | 0 | 6:3 | 3 | 9 | 5 | 0 | 3 | 2 | 4:6 | -2 | 3 |
| 12 ესპანიოლი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:8 | 0 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 1 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | -1 | 5 |
| 13 მალაგა | 10 | 3 | 3 | 4 | 13:14 | -1 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:8 | 1 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 4 |
| 14 ბილბაო | 10 | 3 | 3 | 4 | 10:15 | -5 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 0 | 9 | 5 | 0 | 3 | 2 | 2:7 | -5 | 3 |
| 15 ნუმანსია | 10 | 3 | 2 | 5 | 12:16 | -4 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 4 |
| 16 ლას პალმასი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:23 | -11 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:16 | -9 | 4 |
| 17 სარაგოსა | 10 | 2 | 4 | 4 | 9:11 | -2 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | -3 | 4 |
| 18 რასინგი | 10 | 2 | 3 | 5 | 12:17 | -5 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 1 | 8 | 5 | 0 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 1 |
| 19 ოსასუნა | 10 | 1 | 5 | 4 | 8:14 | -6 | 8 | 5 | 0 | 3 | 2 | 4:7 | -3 | 3 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 5 |
| 20 სოსიედადი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:24 | -15 | 8 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:14 | -10 | 2 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:10 | -5 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხავი მორენო (ალავესი) | 8 |
| რივალდო (ბარსელონა) | 6 |
| ხუან სანჩესი (ვალენსია) | 6 |
| გუტი (რეალი) | 6 |
| ვიქტორი (ვილიარეალი) | 6 |
| დიეგო ტრისტანი (დეპორტივო) | 6 |

XI ტური

18-19 ნოემბერი

ოვიედო — ვალიადოლიდი
ალავესი — ვალენსია
რაიო ვალეკანო — მალაგა
ესპანიოლი — ბილბაო
სელტა — რასინგი
ოსასუნა — დეპორტივო
სარაგოსა — ბარსელონა
ვილიარეალი — რეალი
ლას პალმასი — მალიორკა
სოსიედადი — ნუმანსია

## მეორე დივიზიონი

XII ტური

### ესტრემადურა 0:1 ატლეტიკო

0:1 კორეა (13)

### უნივერსიდადი 2:2 ელჩე

0:1 ნინო (21), 1:1, 2:1 ჯონათანი (41, 52), 2:2 ნინო (75)

### ალბასეტე 1:1 ლევანტე

1:0 კორონა (25), 1:1 სალილიასი (38)

### ლეგანესი 1:1 უელვა

0:1 მიგელი (41ს.კ.), 1:1 მაკანასი (49)

### სპორტინგი 3:1 ხეტაფე

1:0 სოტო (19), 2:0 ჩერიშევი (27), 3:0 სოტო (46), 3:1 ფაიზულინი (79)

### ლეიდა 5:2 ხაენი

1:0 კარლოს გონსალესი (14), 2:0 ჯოკაი (32), 2:1 პეპელუ (43), 3:1 კარლოს გონსალესი (49), 3:2 პეპელუ (66), 4:2, 5:2 ნაკორი (79, 90)

### სევილია 4:0 კომპოსტელა

1:0 დიეგო რიბერა (19), 2:0 კასკერო (24), 3:0, 4:0 დიეგო რიბერა (28, 46)

### სალამანკა 1:0 ბეტისი

1:0 ტოედტლი (82)

### მურსია 1:1 ფეროლი

0:1 პაბლო (36), 1:1 ლორეტო (85)

### ეიბარი 0:1 ბადახოსი

0:1 ლეანდრო (66)

### ტენერიფე 3:0 კორდობა

1:0 ლუის გარსია (44), 2:0 ბარატა (70), 3:0 სიმუტენკოვი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტენერიფე | 12 | 7 | 3 | 2 | 20:6 | 24 |
| სევილია | 12 | 6 | 3 | 3 | 15:11 | 21 |
| კორდობა | 12 | 6 | 3 | 3 | 11:8 | 21 |
| ხაენი | 12 | 6 | 2 | 4 | 11:11 | 20 |
| ბეტისი | 12 | 5 | 4 | 3 | 10:7 | 19 |
| ალბასეტე | 12 | 5 | 4 | 3 | 12:11 | 19 |
| ლევანტე | 12 | 4 | 6 | 2 | 18:13 | 18 |
| მურსია | 12 | 5 | 3 | 4 | 19:15 | 18 |
| სალამანკა | 12 | 5 | 3 | 4 | 12:10 | 18 |
| სპორტინგი | 12 | 4 | 5 | 3 | 17:13 | 17 |
| უელვა | 12 | 3 | 8 | 1 | 8:5 | 17 |
| ლეგანესი | 12 | 3 | 7 | 2 | 15:13 | 16 |
| ელჩე | 12 | 4 | 4 | 4 | 15:15 | 16 |
| ბადახოსი | 12 | 3 | 6 | 3 | 9:11 | 15 |
| ესტრემადურა | 12 | 3 | 5 | 4 | 9:11 | 14 |
| ეიბარი | 12 | 3 | 5 | 4 | 6:8 | 14 |
| ატლეტიკო | 12 | 3 | 4 | 5 | 11:13 | 13 |
| ხეტაფე | 12 | 3 | 4 | 5 | 11:18 | 13 |
| კომპოსტელა | 12 | 3 | 2 | 7 | 10:19 | 11 |
| ლეიდა | 12 | 2 | 4 | 6 | 13:18 | 10 |
| ფეროლი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:18 | 9 |
| უნივერსიდადი | 12 | 1 | 4 | 7 | 8:18 | 7 |



სენტ ეტიენი — მონაკო 1:0. მასპინძელი კრისტოფ სანჩესი ფრანკ ქურიეტსა და ბრუნო ირლის შორის მოექცა

## საფრანგეთი

XV ტური

**სტრასბური 0:2 ბორდო**
0:1 პაულეტა (57), 0:2 ლასლანდი (89)

**პარი სენ ჟერმენი 1:1 ლიონი**
1:0 რობერი (41პ), 1:1 მარლე (44)

**სედანი 2:0 მარსელი**
1:0 კენი (57პ), 2:0 მიონე (70)

**მეცი 1:1 გენგამი**
1:0 ბატიკლი (40), 1:1 ტასფაუ (78)

**ლილი 1:1 ოსერი**
1:0 ბეკი (60პ), 1:1 გივარში (90)

**რენი 1:1 ტულუზი**
1:0 შაპუი (12), 1:1 მორო (44)

**ტრუა 1:0 ლანსი**
1:0 სლადან ჯუკიჩი (3)

**სენტ ეტიენი 1:0 მონაკო**
1:0 ალექსი (9)

**ბასტია — ნანტი**
*13 დეკემბერს გაიმართება*

## ჩილავერტი მოვიდა, ლე რუა მიდის?

„ეს გადაწყვეტილება ადვილი მისაღები არაა, მით უმეტეს, რომ მწვრთნელები ნოემბერში ძნელად მოსაძებნი არიან. თუმცა ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხი და მიღწეული შედეგები ნამდვილად აუტანელია. არ ვიცი, რას მოვიმოქმედებთ. ყოველ შემთხვევაში, არცერთი კლუბის პრეზიდენტს ასეთ ვითარებაში არც ერთი მწვრთნელისთვის არ გამოუცხადებია ამდენ ხანს ნდობა" — თქვა შინ „ბორდოსთან" დამარცხებული „სტრასბურის" პრეზიდენტმა პატრიკ პრუაზიმ. ასე რომ, კლოდ ლე რუას მალე, ალბათ, ახალი ადგილის ძებნა მოუწევს და „სტრასბურის" ქომაგებიც დაისვენებენ, აღარ დაუწყებენ ლე რუას გამო ებრაელებს ლანძღვას.

ამ ამბით დასრულდა ჩემპიონატის მე-15 ტური, რომელიც პარასკევს „სენტ ეტიენისა" და „მონაკოს" დაპირისპირებით გაიხსნა. წესით ერთი თამაში წუხელაც უნდა გამართულიყო, მაგრამ „ბასტიასა" და „ნანტის" შეხვედრა 13 დეკემბრისთვის გადაიტანეს.

გათამაშების ცხრილის სათავეში „სედანმა" კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიცია — „მარსელთან" გამარჯვების შემდეგ უახლოეს მდევარს ორი ქულით უსწრებს. „ბრწყინვალეა. მეტოქეს ერთი თავით ვჯობდით და დამსახურებულადაც მოვიგეთ. თუმცა პირველ ადგილზე ალბათ დიდხანს ვერ გავძლებთ, რადგან უფრო ძლიერი კლუბები მალე გამოერკვევიან და ჩვენც სამი-ოთხი საფეხურით დავქვეითდებით" — განაცხადა ზღვისპირელთა კარში პირველი გოლის გამტანმა კენმა. „მარსელი" კი უკვე გასავარდნთა ზონაშია და მისმა ხელმძღვანელობამ თუ რაიმე არ იღონა, ასეთი თამაშით გაისად მეორე დივიზიონში მოუწევს გამოსვლა.

„პარი სენ ჟერმენი" „ლიონმა" აიძულა, სედანელები წინ გაეშვა. ამ გუნდების პარიზული მატჩი ფრედ დასრულდა. არადა, სტუმრები პირველი ტაიმის ბოლოდან ათნილა ებრძოდნენ მასპინძლებს — 41-ე წუთზე ლიონელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ედმილსონმა დაარღვია თამაშის წესები და პენალტთან ერთად წითელი ბარათიც დასაჩუქრდა. თუმცა ლიონელები რობერის გოლმა ვერ გატეხა და მარსელმაც მალევე აღადგინა ანგარიშში წონასწორობა.

„სედანივით" მცირებიუჯეტიანი „ლილი", „ტრუა" და „გენგამიც" მშვენივრად გამოდიან ამ ჩემპიონატში და გათამაშების ცხრილის პირველ ნახევარშიც დამკვიდრებულან, თუმცა ამ ტურში ამ სამეულიდან მხოლოდ „ტრუამ" იმარჯვა, რომელმაც ექს-ლიდერი „ლანსი" დაამარცხა. მათგან განსხვავებით და „მარსელის" მსგავსად, გასაჭირშია საფრანგეთის ბოლო ჩემპიონი „მონაკო". სათავადოს გუნდს ნამდვილი შავი კვირეული ჰქონდა: ჯერ შინ წააგო „ლიონთან", მერე ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდა, ახლა კი ალმავლობის გზაზე მდგარ „სენტ ეტიენთან" დამარცხდა. ამ წაგების შემდეგ „მონაკო" მე-13 ადგილზე დაეშვა, რაც მისთვის მეტად უჩვეულოა.

საუბარს კი იმ მატჩით დავამთავრებთ, რომლითაც დავიწყეთ. „სტრასბურის" შემადგენლობაში ცნობილი პარაგვაელი მეკარის, ხოსე ლუის ჩილავერტის დებიუტი შედგა, რასაც წარმატებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.

გაიოზ თალაკვაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 15 | 8 | 4 | 3 | 23:14 | 28 |
| ბორდო | 15 | 7 | 5 | 3 | 22:14 | 26 |
| პსჟ | 15 | 7 | 4 | 4 | 28:20 | 25 |
| ლილი | 15 | 6 | 5 | 4 | 16:11 | 23 |
| ტრუა | 15 | 6 | 5 | 4 | 20:19 | 23 |
| გენგამი | 15 | 6 | 4 | 5 | 18:19 | 22 |
| ნანტი | 14 | 6 | 3 | 5 | 21:19 | 21 |
| ბასტია | 14 | 6 | 3 | 5 | 15:16 | 21 |
| ლიონი | 14 | 4 | 8 | 2 | 17:13 | 20 |
| ლანსი | 15 | 5 | 5 | 5 | 17:15 | 20 |
| სენტ ეტიენი | 15 | 5 | 5 | 5 | 24:23 | 20 |
| რენი | 15 | 5 | 4 | 6 | 16:14 | 19 |
| მონაკო | 15 | 5 | 4 | 6 | 19:19 | 19 |
| ოსერი | 15 | 5 | 4 | 6 | 15:17 | 19 |
| მეცი | 15 | 5 | 4 | 6 | 13:17 | 19 |
| მარსელი | 15 | 4 | 3 | 8 | 13:19 | 15 |
| სტრასბური | 15 | 3 | 3 | 9 | 12:32 | 12 |
| ტულუზი | 14 | 1 | 5 | 8 | 11:19 | 8 |

### II დივიზიონი

მე-19 ტური. ლორიანი — ლავალი 2:1; ანჟერი — კაენი 0:1; კანი — ნიმი 1:1; შატორუ — ნიორი 1:0; გენიონი — ვალკეალი 2:1; ლე მანი — ნანსი 0:1; მარტიგი — აიაჩო 2:1; მონპელიე — ნიცა 3:0; სოშო — ბოვე 2:0; ლე ავრი — კრეტეი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოშო | 19 | 11 | 5 | 3 | 35:14 | 38 |
| მონპელიე | 19 | 10 | 7 | 2 | 29:16 | 37 |
| ლორიანი | 19 | 10 | 7 | 2 | 27:16 | 37 |
| ნიორი | 19 | 10 | 5 | 4 | 30:16 | 35 |
| ლავალი | 19 | 10 | 4 | 5 | 23:15 | 34 |
| შატორუ | 19 | 8 | 7 | 4 | 25:18 | 31 |
| ნანსი | 19 | 8 | 5 | 6 | 23:14 | 29 |
| ნიმი | 18 | 7 | 6 | 5 | 25:24 | 27 |
| ლე ავრი | 19 | 6 | 8 | 5 | 23:19 | 26 |
| კრეტეი | 19 | 6 | 7 | 6 | 19:19 | 25 |
| კაენი | 19 | 6 | 6 | 7 | 21:27 | 24 |
| ლე მანი | 19 | 4 | 9 | 6 | 18:19 | 21 |
| მარტიგი | 19 | 4 | 9 | 6 | 16:24 | 21 |
| ნიცა | 19 | 6 | 3 | 10 | 19:29 | 21 |
| ვალკეალი | 19 | 4 | 7 | 8 | 17:20 | 19 |
| გენიონი | 19 | 4 | 7 | 8 | 15:26 | 19 |
| ბოვე | 19 | 3 | 9 | 7 | 16:23 | 18 |
| კანი | 19 | 3 | 6 | 10 | 23:34 | 15 |
| აიაჩო | 18 | 3 | 4 | 11 | 10:25 | 13 |
| ანჟერი | 19 | 2 | 7 | 10 | 16:32 | 13 |

# მალესანი გადარჩა



შაბათ დილას ვერონადან პარმაში მიმავალი ალბერტო მალესანი ავტოავარიაში მოყვა — „პარმას" მწვრთნელმა საჭე ვერ დაიმორჩილა და გზიდან გადავარდა. იგი ვერონაში ვერტმფრენით დააბრუნეს და ჰოსპიტალში დააწვინეს. „ბორგო ტრენტოს" საავადმყოფოს ექიმების ცნობით, მალესანი იოლად გადარჩა და ოდენ მხარი და კისერი დაიზიანა.

მალესანი საავადმყოფოდან იმავე დღეს გაწერეს. პროფესორი ჟან მარია ჟიულინის განცხადებით, სიტუაცია საგანგებო არაა, მაგრამ მწვრთნელს სრულ გამოჯანმრთელებამდე დაახლოებით ერთი თვე მაინც დასჭირდება. ჰოსპიტალიდან შინ იგი სასწრაფოს მანქანით წაიყვანეს. საავადმყოფოს გასასვლელში მალესანის ჟურნალისტები დახვდნენ, მაგრამ მწვრთნელმა მათთან გასაუბრება არ ისურვა, მხოლოდ ეს გაამხილა, ავარიის დროს ძალიან შემეშინდაო.

## ბელგია

XII ტური

**ლუვიე 2:2 ანტვერპენი**
1:0 ტილმანი (19), 1:1 ვერბეკი (23), 1:2 სეოლი (45), 2:2 ტილმანი (73)

**მუსკრონი 2:0 გენკი**
1:0 იესტროვიჩი (67), 2:0 მარჩინ ჟევლაკოვი (85)

**ბრიუგე 6:0 ბევერენი**
1:0 მარტენსი (8), 2:0 მენდოსა (57), 3:0 ლემბი (64პ), 4:0, 5:0 ვერმანტი (65, 66პ), 6:0 მარტენსი (80)

**აალსტი 4:1 სენტ ტრუიდენი**
1:0 აელბრეხტი (13), 1:1 ტემერმანი (40ს.კ.), 2:1 ტიბო (53), 3:1 ტემერმანი (74), 4:1 ჰერმანსი (90)
აალსტი: კუიოვიჩი, ვან ჰაუვეგენი, ობენი, ფილიპოვიჩი, ტემერმანი, კესტენსი, აელბრეხტი (რეიჯელი 46), ვან დენ ბოში, ტიბო (მიკელი 85), იაკობსი (ჰერმანსი 65), როჟერიუ
მწვრთნელი: ვიმ დე კონინკი
8 000 მაყურებელი

**სტანდარდი 1:1 ანდერლეხტი**
1:0 მორნარი (55), 1:1 რაძინსკი (56)

**ბეერსხოტი 0:2 შარლერუა**
0:1 ედუარდო (65), 0:2 როხასი (90)

**ლოკერენი 2:0 ლიერსი**
1:0 იანსენსი (11პ), 2:0 კრისტიანსონი (81)
ლიერსი: ვან დერ სტრატენი, დაემსი, ჰოფკენსი, შეყილაძე (ვან დოორენი 46), სომერსი (ვერეტენნიკოვი 81), ლაერემანსი (ჰიუსგემსი 64), ლეენი, კლაესი, სნოექსი, პეპა, ვან მეირი
მწვრთნელი: ვალტერ მეესი
6 000 მაყურებელი

**გენტი 2:1 ჰარელბეკე**
1:0 პეეტერსი (13), 1:1 ვანდევალე (71), 2:1 ჩიპი (80)

**მეხელენი 0:1 ვესტერლო**
0:1 შასენსი (75პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 12 | 12 | 0 | 0 | 47:8 | 36 |
| ანდერლეხტი | 12 | 9 | 3 | 0 | 40:13 | 30 |
| სტანდარდი | 12 | 8 | 2 | 2 | 34:14 | 26 |
| შარლერუა | 12 | 8 | 0 | 4 | 22:21 | 24 |
| მუსკრონი | 12 | 7 | 1 | 4 | 28:13 | 22 |
| გენტი | 12 | 6 | 2 | 4 | 26:22 | 20 |
| ლიერსი | 12 | 6 | 1 | 5 | 22:20 | 19 |
| ვესტერლო | 11 | 5 | 2 | 4 | 19:20 | 17 |
| ლოკერენი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:20 | 16 |
| ბეერსხოტი | 12 | 5 | 0 | 7 | 19:20 | 15 |
| გენკი | 12 | 3 | 5 | 4 | 15:14 | 14 |
| ბევერენი | 12 | 4 | 2 | 6 | 10:25 | 14 |
| ანტვერპენი | 12 | 4 | 1 | 7 | 12:19 | 13 |
| აალსტი | 12 | 3 | 1 | 8 | 15:32 | 10 |
| სტ. ტრუიდენი | 12 | 2 | 3 | 7 | 11:24 | 9 |
| ლუვიე | 12 | 1 | 4 | 7 | 11:25 | 7 |
| ჰარელბეკე | 12 | 2 | 1 | 9 | 16:37 | 7 |
| მეხელენი | 11 | 1 | 2 | 8 | 14:27 | 5 |

## დანია

მე-16 ტური. მიდტიულანდი — ბრონდბიუ 1:1; ოლბორგი — ჰადერსლევი 1:0; ორჰუსი — ჰერფიოლგე 1:1; ლიუნგბიუ — ვიბორგი 0:2; ოდენსე — აკადემისკი 2:1; კოპენჰაგენი — სილკებორგი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 16 | 9 | 3 | 4 | 42:20 | 30 |
| ლიუნგბიუ | 16 | 9 | 1 | 6 | 27:28 | 28 |
| მიდტიულანდი | 16 | 7 | 6 | 3 | 26:20 | 27 |
| კოპენჰაგენი | 16 | 7 | 5 | 4 | 24:14 | 26 |
| ოდენსე | 16 | 8 | 2 | 6 | 25:16 | 26 |
| სილკებორგი | 16 | 6 | 8 | 2 | 22:21 | 26 |
| ვიბორგი | 16 | 7 | 4 | 5 | 22:13 | 25 |
| ოლბორგი | 16 | 6 | 4 | 6 | 25:26 | 22 |
| ორჰუსი | 16 | 6 | 2 | 8 | 24:30 | 20 |
| აკადემისკი | 16 | 3 | 6 | 7 | 21:25 | 15 |
| ჰერფიოლგე | 16 | 3 | 5 | 8 | 20:33 | 14 |
| ჰადერსლევი | 16 | 0 | 4 | 12 | 14:46 | 4 |

## ავსტრია

მე-19 ტური. აუსტრია — შტურმი 1:0; ტიროლი — ადმირა 5:0; გრაცერი — რაპიდი 0:1; ბრეგენცი — რიდი 2:3; ლინცერი — ზალცბურგი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 20 | 11 | 4 | 5 | 36:19 | 37 |
| ტიროლი | 18 | 11 | 3 | 4 | 35:13 | 36 |
| რაპიდი | 18 | 10 | 4 | 4 | 32:19 | 34 |
| გრაცერი | 18 | 9 | 3 | 6 | 27:23 | 30 |
| ზალცბურგი | 18 | 8 | 4 | 6 | 25:24 | 28 |
| რიდი | 18 | 7 | 5 | 6 | 31:26 | 26 |
| შტურმი | 18 | 7 | 2 | 9 | 31:27 | 23 |
| ბრეგენცი | 20 | 5 | 4 | 11 | 27:38 | 19 |
| ლინცერი | 19 | 3 | 5 | 11 | 18:41 | 14 |
| ადმირა | 19 | 3 | 4 | 12 | 15:47 | 13 |

# ჩიპი ქართული, ჯერ არნახული

## შოტლანდია

XV ტური

**დანდი იუნ. 0:2 დანდი**
0:1 კანიჯა (38), 0:2 ნემსაძე (73)
დანდი: როკატი, სმიტი, დე მარკი, ტვიდი, მაროკო, არტერო (სარა 81), რაე, ნემსაძე, ბონეტი, ფალკონერი (კარანცა 78), კანიჯა
მწვრთნელი: ივანო ბონეტი
11 454 მაყურებელი

**აბერდინი 1:2 რეინჯერსი**
1:0 სტავრუმი (5), 1:1 მილერი (40), 1:2 მოლსი (50)

**სელტიკი 4:1 სენტ ჯონსტონი**
1:0 სატონი (12), 2:0 ლარსონი (34), 3:0 მორავჩიკი (37), 4:0 ლარსონი (59), 4:1 რასელი (82)

**დანფერმლაინი 1:2 მოზერუელი**
1:0 მოსი (11), 1:1 ტოუნსლი (85), 1:2 ბრანანი (90პ)

**ჰიბერნიანი 1:1 კილმარნოკი**
1:0 პაატელაინენი (33), 1:1 რაიტი (86)

**სენტ მირენი 1:2 ჰართსი**
0:1 კამერონი (21პ), 0:2 სევერინი (82), 1:2 ჟილიე (89)

ინგლისური სიტყვაა „ჩიპი" და ბევრ სხვა მნიშვნელობასთან ერთად იმასაც ნიშნავს, რასაც ჩვენ მეკარესთვის ბურთის თავზე გადაგდებას ვუწოდებთ. სწორედ ასეთი ჩიპის წყალობით მოხვდა გიორგი ქინქლაძე პრემიერლიგაში (1995 წლის ივნისში კარდიფში გატანილი მისი გოლი გაიხსენეთ) და სწორედ ასეთი ილეთით გახსნა თავისი გოლების ანგარიში სქოთურ პრემიერლიგაში გიორგი ნემსაძემ.

ამ სეზონის უკვე მეორე დანდური დერბის 75-ე წუთი იდგა. სმიტმა მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, იქ არტერომ იბრძოლა და ბურთი კანიჯას მიუვიდა (ეს სამივე „დანდის" მოთამაშეა), არგენტინელმა კი ბურთი ნემსაძეს დაუგორა. ქართველმა ორი მცველი გააცურა და „დანდი იუნაიტედის" მეკარესთან პირისპირ, კარიდან 13 მეტრში აღმოჩნდა. მერე? მერე ერთ-ერთ დანდელ მიმომხილველს მოვუსმინოთ: „მეკარეს თითქოს სწორი პოზიცია ეკავა, მაგრამ ქართველმა ისეთი გრანდიოზული ჩიპი შეასრულა, აქამდე დანდიში რომ არავის უნახავს".

და „დანდიმ" გაიმარჯვა. მართალია, წყალწაღებულ თანაქალაქელ „იუნაიტედთან", რომელიც „დერბი ქაუნთის" ჩრდილოელი კოლეგაა (არც ამას მოუგია ამ სეზონში), სამი ქულა, გაწიეგამოწიე, სამი ქულაა.

ნემსაძემ კი თავის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა სქოთთა ქვეყანაში გადასვლის მერე. იმ გამაოგნებელი ჩიპის გარდა იგი კიდევ ორჯერ დაემუქრა მეტოქის კარს, ერთხელ კი მცველებმა საჯარიმოში მოცელეს, თუმცა ყველაზე ცნობილმა შოტლანდიელმა მსაჯმა ჰიუ დალასმა პენალტი არ დანიშნა...



წამში გიორგი ნემსაძის უბადლო ჩიპი მიზანს მიაღწევს

გიორგის პირველგოლობა მივულოცოთ და ცხრილის ზედა ნაწილსაც ავხედოთ.

ისევ 13 ქულაა სხვაობა „სელტიკსა" და „რეინჯერსს" შორის. შუა კვირაში უეფას თასიდან გამოვარდნის მიუხედავად, ირლანდიელი მარტინ ონილის გუნდს ფანებმა არ უგანეს და კვლავ პირთამდე აავსეს „პარკჰედი". გუნდმაც შეიფერა პატივისცემა და ტრადიციულად ამოავსო მეტოქის კარი. ოთხიდან ორი გოლი შვედმა ლარსონმა გაიტანა და ამ სეზონის პირადი მონაგარი 19-მდე გაზარდა (ცნობისთვის: ლიგის 12 გუნდიდან შვიდს ამდენი ჯერ ვერ გაუტანია).

სამი ქულა მოიპოვა ჩემპიონთა ლიგიდან დათხოვნილმა „რეინჯერსმაც", თუმცა ამას მეტად გაუჭირდა: „აბერდინმა" ანგარიში დასაწყისშივე გახსნა, 35-ე წუთზე კი სტუმართა კარში ნაღდი პენალტი არ დანიშნეს. ჰოდა, სწორედ ამ ეპიზოდიდან ხუთ წუთში გაათანაბრა კენი მილერმა (ეს ხუთ თამაშში მისი მეცხრე გოლია), კიდევ ათ წუთში კი ჰოლანდიელმა მოლსმა გამარჯვებისაც შეაგორა.

გიგა კობახიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 15 | 13 | 2 | 0 | 36:13 | 41 |
| ჰიბერნიანი | 15 | 11 | 3 | 1 | 30:9 | 36 |
| რეინჯერსი | 14 | 9 | 1 | 4 | 31:20 | 28 |
| კილმარნოკი | 15 | 8 | 3 | 4 | 20:14 | 27 |
| ჰართსი | 15 | 6 | 4 | 5 | 24:21 | 22 |
| დანდი | 15 | 5 | 4 | 6 | 18:15 | 19 |
| მოზერუელი | 15 | 5 | 3 | 7 | 18:21 | 18 |
| სტ. ჯონსტონი | 15 | 4 | 5 | 6 | 15:24 | 17 |
| დანფერმლაინი | 15 | 4 | 4 | 7 | 12:19 | 16 |
| აბერდინი | 14 | 2 | 6 | 6 | 12:20 | 12 |
| სენტ მირენი | 15 | 3 | 1 | 11 | 11:27 | 10 |
| დანდი იუნ. | 15 | 0 | 2 | 13 | 8:32 | 2 |

მოსწავლეთა საყურადღებოდ!

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური"
აცხადებს მოსწავლეთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის
შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, №37 (ბავშვთა ქალაქ „მზიურის" ტერიტორია)
☎ 29-48-60. 23-53-17

# პენალტი დაღესტანს



ტორპედო — ანჟი 2:1. მსაჯმა თქვა და მორჩა. მახაჩყალელების ნერვიულობა უშედეგო გამოდგა

## რუსეთი

XXX ტური

**ტორპედო 2:1 ანჟი**

0:1 ბუდუნოვი (14), 1:1 არისტარხოვი (60), 2:1 გაშკინი (90პ)

**სატურნი 1:0 დინამო**

1:0 მოვსესიანი (75)

**ცსკა 4:3 ლოკომოტივი**

1:0 კულიკი (3), 2:0 სემაკი (19), 3:0 ბიჩკოვი (39), 3:1, 3:2 ტერიოხინი (49, 63პ), 4:2 კორნაუხოვი (71პ), 4:3 სენნიკოვი (89)

**ურალანი 0:1 კრილია სოვეტოვი**

0:1 იგნაშევიჩი (72)

**ალანია 1:2 სპარტაკი**

0:1 ბარანოვი (24), 0:2 შჩიპკოვი (44), 1:2 ტარლოვსკი (62)

**როსტსელმაში 1:1 ფაკელი**

1:0 კირიჩენკო (54პ), 1:1 გურბანოვი (74)

**ზენიტი 3:1 როტორი**

1:0 კობელევი (22), 2:0 დემენკო (29), 3:0 გოროვოი (34), 3:1 ბონდარენკო (41)

**ჩერნომორეცი 2:0 ნ. ნოვგოროდი**

1:0 პოპოვი (65), 2:0 კაკოსიანი (86)

ბოლო ტურში ბრინჯაოს მედალიონის ვინაობა უნდა გარკვეულიყო და როგორც პოსტსაბჭოურ წესს შეეფერება, მთავარი მატჩი სკანდალით დამთავრდა. მოსკოვში, „ლუჟნიკიზე", „ტორპედო" „ანჟის" მასპინძლობდა და აუცილებლად უნდა მოეგო, „ანჟის" კი ფრეც ჰყოფნიდა. დაწყებიდან მეოთხედი საათიც არ გასულიყო, როცა სტუმრებს სწრაფი კონტრშეტევა გამოუვიდათ და ბუდუნოვმა თავისიანები დააწინაურა. მერე მასპინძელთა ჯერი დადგა, მათმა შეტევებმა ნაყოფი გამოიღო და არისტარხოვმა გაათანაბრა.

თამაში მთავრდებოდა, მახაჩყალელები საზეიმოდ ემზადებოდნენ, მაგრამ... მესამე წამატებულ წუთზე მსაჯმა მათ კარში საეჭვო პენალტი დანიშნა, აქაო და მცველ აკაევს ბურთი ხელზე მოხვდაო. დაღესტნელებმა ერთი ამბავი ატეხეს, პროტესტის ნიშნად მინდვრის დატოვებასაც ფიქრობდნენ, მეკარე ჟიდკოვი კი ცენტრში იდგა და კარში ჩადგომას აღარ აპირებდა. ბოლოს მაინც ყველაფერი ტორპედოელთა სასარგებლოდ დამთავრდა — ჟიდკოვიც მოთვინიერდა და გაშკინმაც პენალტი ზუსტად დაარტყა. ასე მოიპოვეს ავტოქარხნებმა ბრინჯაოს მედლები.

მესამე ადგილის კიდევ ერთი კანდიდატი მოსკოვის „დინამო" მოულოდნელად რამენსკოეში „სატურნთან" დამარცხდა და საბოლოოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა.

სხვა ამბებიდან გამოსარჩევია ცსკა — „ლოკომოტივის" მატჩში გასული შვიდი გოლი და ჩემპიონი „სპარტაკის" ლამის მეორე შემადგენლობით მოგება ვლადიკავკაზში.

მაშ ასე, მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში „სპარტაკი" და „ლოკომოტივი" ითამაშებენ, ოღონდ რკინიგზელებს საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა მოუწევთ. უეფას თასზე „ტორპედო", „ანჟი" და „დინამო" გამოვლენ, ხოლო უმაღლეს ლიგაში ნიჟნი ნოვგოროდისა და „ურალანის" ადგილებს „სოკოლი" და „ტორპედო ზილი" დაიკავებენ.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 30 | 23 | 1 | 6 | 69:30 | 70 |
| ლოკომოტივი | 30 | 18 | 8 | 4 | 50:20 | 62 |
| ტორპედო | 30 | 16 | 7 | 7 | 42:29 | 55 |
| ანჟი | 30 | 15 | 7 | 8 | 44:31 | 52 |
| დინამო | 30 | 14 | 8 | 8 | 45:35 | 50 |
| ჩერნომორეცი | 30 | 13 | 10 | 7 | 47:28 | 49 |
| ზენიტი | 30 | 13 | 8 | 9 | 38:26 | 47 |
| ცსკა | 30 | 12 | 5 | 13 | 45:39 | 41 |
| სატურნი | 30 | 10 | 10 | 10 | 26:29 | 40 |
| ალანია | 30 | 10 | 8 | 12 | 34:36 | 38 |
| როსტსელმაში | 30 | 6 | 14 | 10 | 24:27 | 32 |
| როტორი | 30 | 8 | 8 | 14 | 35:54 | 32 |
| ფაკელი | 30 | 6 | 12 | 12 | 25:45 | 30 |
| კრილია | 30 | 8 | 5 | 17 | 25:45 | 29 |
| ნ. ნოვგოროდი | 30 | 3 | 9 | 18 | 16:47 | 18 |
| ურალანი | 30 | 2 | 6 | 22 | 17:61 | 12 |

## პოლონეთი

მე-14 ტური. პლოცკი — ზაგლებე 1:3; ამიცა — ოდრა 4:0; შლიონსკი — გროცლინი 1:1; პოლონია — პოგონი 1:2; სტომილი — გურნიკი 1:0; რუხი — რაძიონკოვი 1:2; კატოვიცე — ვიძევი 3:1; ვისლა — ლეგია 3:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 14 | 11 | 2 | 1 | 39:9 | 35 |
| პოგონი | 14 | 10 | 2 | 2 | 21:10 | 32 |
| ლეგია | 14 | 7 | 6 | 1 | 22:11 | 27 |
| ამიცა | 14 | 7 | 3 | 4 | 29:20 | 24 |
| პოლონია | 14 | 7 | 3 | 4 | 19:13 | 24 |
| ზაგლებე | 14 | 7 | 1 | 6 | 20:17 | 22 |
| სტომილი | 14 | 5 | 4 | 5 | 12:17 | 19 |
| გროცლინი | 14 | 4 | 5 | 5 | 14:17 | 17 |
| კატოვიცე | 14 | 3 | 7 | 4 | 10:9 | 16 |
| ვიძევი | 14 | 4 | 4 | 6 | 21:26 | 16 |
| ოდრა | 14 | 4 | 3 | 7 | 12:23 | 15 |
| შლიონსკი | 14 | 3 | 4 | 7 | 14:22 | 13 |
| რაძიონკოვი | 14 | 4 | 1 | 9 | 13:23 | 13 |
| გურნიკი | 14 | 3 | 3 | 8 | 12:18 | 12 |
| რუხი | 14 | 3 | 3 | 8 | 14:24 | 12 |
| პლოცკი | 14 | 3 | 3 | 8 | 15:28 | 12 |

## ჩეხეთი

მე-14 ტური. სინოტი — იაბლონეცი 1:1; ბლშანი — სლავია 2:1; ბოჰემიანსი — ბრნო 2:0; პლზენი — ჟიჟკოვი 0:0; დრნოვიცე — ბუდეიოვიცე 2:0; სპარტა — ტეპლიცე 2:1; ბანიკი — სიგმა 0:1; ლიბერეცი — პრჟიბრამი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 12 | 11 | 0 | 1 | 36:10 | 33 |
| ტეპლიცე | 13 | 7 | 3 | 3 | 23:12 | 24 |
| პრჟიბრამი | 14 | 7 | 3 | 4 | 22:14 | 24 |
| ლიბერეცი | 14 | 7 | 3 | 4 | 23:17 | 24 |
| სიგმა | 12 | 6 | 4 | 2 | 21:11 | 22 |
| სინოტი | 13 | 5 | 5 | 3 | 21:16 | 20 |
| ბოჰემიანსი | 14 | 4 | 7 | 3 | 19:17 | 19 |
| სლავია | 11 | 5 | 3 | 3 | 16:13 | 18 |
| ბლშანი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:15 | 16 |
| ჟიჟკოვი | 13 | 4 | 4 | 5 | 19:22 | 16 |
| დრნოვიცე | 14 | 4 | 3 | 7 | 14:19 | 15 |
| იაბლონეცი | 14 | 2 | 7 | 5 | 12:21 | 13 |
| ბუდეიოვიცე | 13 | 2 | 5 | 6 | 13:25 | 11 |
| ბანიკი | 14 | 2 | 5 | 7 | 10:26 | 11 |
| პლზენი | 14 | 1 | 6 | 7 | 10:28 | 9 |
| ბრნო | 12 | 2 | 2 | 8 | 10:18 | 8 |

## შვეიცარია

XVIII ტური

**ციურიხი 3:1 ლოზანა**

1:0 ბარტლეტი (5), 1:1 კარლენი (16), 2:1 ჯამარაული (65), 3:1 შასო (73)

ციურიხი: პასკოლო, კვენტინი, ფიშერი, დელ სინიორე, პალასი, ჰელინგა, ჯამარაული (ოენენი 83), ჯანინი, ხაველაშვილი, ბარტლეტი, ბიულმანი (შასი 64)

მწვრთნელი: ჟილბერტ გრესი

**ლუგანო 1:0 ბაზელი**

1:0 გიმენეზი (60)

**სენტ გალენი 2:0 ქსამაქსი**

1:0 ზელვეგერი (51), 2:0 განე (90)

„როცა ჯამარაული ხასიათზეა" — სწორედ ასე დაასათაურა შვეიცარიულმა სააგენტომ „ციურიხი" — „ლოზანას" მატჩი, რომელიც მასპინძლებმა 3:1 მოიგეს. იგივე სააგენტო იუწყება: „ციურიხი" მაშინ იგებს, როცა გოჩა ჯამარაული თამაშის ხასიათზეა. იმას ვერ ვიტყვით, რომ „ლოზანას" მან მარტომ მოუგო, მაგრამ როცა ქართველი თამაშის იშტაზეა, მაშინ გამარჯვება ძალიან ახლოა."

აგერ უკვე სამი მატჩია, შვეიცარიული კლუბის ქართველი გამთამაშებელი ფორმაშია და ეს „ციურიხის" შედეგსაც დაეტყო — ჟილბერტ გრესის შეგირდებმა ზედიზედ მესამედ მოიგეს და რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრისა და ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსები მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს.

ახლა ის ვთქვათ, რა გააკეთა ჯამარაულმა ისეთი, რომ შვეიცარიული მედიისგან ქება დაიმსახურა. საქმე ასე იყო: 1:1-ზე ლოზანელი კარლენი ბიულმანს ეუხეშა. კარლენმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მინდორი დატოვა. ციურიხელებმა ჯარიმა გაითამაშეს, ფიშერმა ბურთი ჯამარაულს დაუგორა, გოჩამ ჯერ ბურთი გაისწორა, მერე გომესი ჩამოიშორა და დაახლოებით 18 მეტრიდან რაპოს ცხრიანში გაუტანა. ამ გოლიდან სულ რვა წუთი გავიდა და: „ქართველმა გამთამაშებელმა შეცვლაზე შესულ შასოს გენიალური პასი მიაწოდა, შასომაც 3:1 გახადა" — წერს იგივე სააგენტო.

ასე მოუგო „ციურიხმა" სამი დღის წინ უეფას თასიდან შოთა არველაძის „აიაქსის" გამგდებ „ლოზანას" და 25 ქულით მეშვიდე საფეხურზე დაფუძნდა. მას ერთი ქულით ჩამორჩება „სერვეტი", რომელიც თავის მხრივ ოთხით უსწრებს ლევან ხომერიკის „არაუს". არაუელებმა და კიდევ ხუთმა გუნდმა მე-18 ტურის მატჩები, შეგახსენებთ, ორი კვირის წინ გამართეს.

და კიდევ. კვირას „ლუგანომაც" მოიგო და „სენტ გალენმაც". ამ გუნდებმა ახლა დარჩენილი ოთხი მატჩიც რომ წააგონ, გაზაფხულზე ფინალურ ეტაპზე მაინც ითამაშებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 18 | 10 | 4 | 4 | 28:14 | 34 |
| სენტ გალენი | 18 | 9 | 6 | 3 | 30:14 | 33 |
| გრასჰოპერი | 18 | 10 | 2 | 6 | 40:19 | 32 |
| ბაზელი | 18 | 9 | 4 | 5 | 36:25 | 31 |
| ლოზანა | 18 | 8 | 2 | 8 | 30:30 | 26 |
| სიონი | 18 | 7 | 5 | 6 | 21:28 | 26 |
| ციურიხი | 18 | 6 | 7 | 5 | 29:21 | 25 |
| სერვეტი | 18 | 6 | 6 | 6 | 27:24 | 24 |
| არაუ | 18 | 5 | 5 | 8 | 23:32 | 20 |
| ივერდონი | 18 | 5 | 4 | 9 | 23:30 | 19 |
| ლუცერნი | 18 | 4 | 3 | 11 | 24:43 | 15 |
| ქსამაქსი | 18 | 4 | 2 | 12 | 17:48 | 14 |

## თურქეთი

მე-12 ტური. სამსუნი — ბეშიქთაში 2:3; ქოჯაელი — იეთფა 1:1; ტრაბზონი — ადანა 3:3; ანკარაგიუჯიუ — დენიზლი 3:1; გალათასარაი — რიზე 2:0; ბურსა — იოზგათი 1:4; ისთანბული — გენჩლერბირლიგი 2:1; ერზურუმი — ანთალია 0:1; გაზიანთეფი — ფენერბაჰჩე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 12 | 9 | 1 | 2 | 29:15 | 28 |
| გაზიანთეფი | 12 | 8 | 3 | 1 | 27:13 | 27 |
| გალათასარაი | 11 | 8 | 1 | 2 | 30:9 | 25 |
| ფენერბაჰჩე | 12 | 8 | 1 | 3 | 28:15 | 25 |
| ტრაბზონი | 12 | 7 | 3 | 2 | 25:11 | 24 |
| გენჩლერი | 12 | 6 | 2 | 4 | 15:14 | 20 |
| ისთანბული | 12 | 5 | 4 | 3 | 16:15 | 19 |
| სამსუნი | 12 | 5 | 3 | 4 | 19:17 | 18 |
| ანკარაგიუჯიუ | 12 | 5 | 3 | 4 | 18:20 | 18 |
| ანთალია | 11 | 4 | 4 | 3 | 14:14 | 16 |
| იოზგათი | 12 | 4 | 3 | 5 | 17:16 | 15 |
| დენიზლი | 12 | 4 | 2 | 6 | 16:25 | 14 |
| ადანა | 12 | 2 | 5 | 5 | 18:22 | 11 |
| რიზე | 12 | 2 | 4 | 6 | 9:14 | 10 |
| ბურსა | 12 | 2 | 3 | 7 | 12:28 | 9 |
| ერზურუმი | 12 | 2 | 2 | 8 | 13:27 | 8 |
| ქოჯაელი | 12 | 0 | 4 | 8 | 6:21 | 4 |
| იეთფა | 12 | 0 | 4 | 8 | 15:31 | 4 |

## რუმინეთი

მე-13 ტური: გაც მეტანი — რაპიდი 0:0; ოცელული — სტიაუა 0:1; ჩაჰლაული — ბრაშოვი 2:1; პეტროლული — უნივერსიტატია 1:0; როკარი — გლორია 4:3; დინამო — ფორესტა 4:5; ბაკეუ — ასტრა 2:1; არჯეში — ნაციონალი 3:1

სადმე მოყვარულთა დონეზე იქნებ მომხდარა კიდეც ასეთი რამ, მაგრამ ევროპული ქვეყნის პირველ დივიზიონში მსგავსი შემთხვევა არ გვახსენდება.

ბუქარესტის „დინამო" „ფორესტას" მასპინძლობდა. გაილაღეს დინამოელებმა — პირველ ტაიმში ტინელ პეტრემ, იულიან ტამეშმა და მარიუს ნიკულაემ სამი გოლი შეუგდეს სტუმრებს. 49-ე წუთზე ადრიან მიხალჩიმ მეოთხეც გაიტანა და მატჩის იოლად მოგებაში დარწმუნებულმა ბუქარესტელებმა განიზრახეს, დარჩენილი დრო მშვიდად დაესრულებინათ...

მიქარეს. მე-60 წუთიდან მასპინძელთა კოშმარი დაიწყო: მიხაი ბტოანი — 4:1, რობერტ ნიცა — 4:2, ისევ ბტოანი — 4:3, ისევ ნიცა — 4:4 და 86-ე წუთზე მარიუშ პაკურარი — 4:5.

„ღმერთო, ნუთუ მოვიგეთ? არ მჯერა" — ლაპარაკი უჭირდა „ფორესტას" მწვრთნელ მარინ ბარბუს. დინამოელთაგან კომენტარი არავის გაუკეთებია. თუ რატომ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 13 | 8 | 3 | 2 | 25:16 | 27 |
| უნივერსიტატია | 13 | 7 | 3 | 3 | 15:11 | 24 |
| პეტროლული | 13 | 7 | 2 | 2 | 19:14 | 23 |
| არჯეში | 13 | 6 | 3 | 4 | 18:15 | 21 |
| ბრაშოვი | 13 | 6 | 3 | 4 | 9:7 | 21 |
| ფორესტა | 13 | 5 | 5 | 3 | 22:21 | 20 |
| რაპიდი | 13 | 4 | 6 | 3 | 13:11 | 18 |
| დინამო | 13 | 5 | 3 | 5 | 25:24 | 18 |
| ასტრა | 13 | 5 | 2 | 6 | 14:14 | 17 |
| როკარი | 13 | 5 | 2 | 6 | 22:24 | 17 |
| ბაკეუ | 13 | 4 | 4 | 5 | 18:19 | 16 |
| ოცელული | 13 | 4 | 3 | 6 | 17:18 | 15 |
| გლორია | 13 | 4 | 3 | 6 | 15:19 | 15 |
| ნაციონალი | 13 | 4 | 2 | 7 | 18:21 | 14 |
| ჩაჰლაული | 13 | 3 | 4 | 6 | 14:22 | 13 |
| გაც მეტანი | 13 | 1 | 4 | 8 | 7:13 | 7 |

## ჰოლანდია

XIII ტური

**ტვენტე 4:0 ბრედა**

1:0 ვან დერ ლაანი (30), 2:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (49), 3:0 ვან დერ ლეგტი (71), 4:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (87პ)

**ვიტესი 2:2 გრონინგენი**

0:1 დრენტი (30), 0:2 ელსხოტი (33), 1:2 ვ. სიკორა (49), 2:2 მ. ამოა (53)

**სპარტა 0:2 ნაიმეგენი**

0:1 ლატუჰერუ (27), 0:2 გ. ხრისტოვი (60)

**როდა 3:1 ჰერენვენი**

1:0 ვან დესელი (31), 2:0 ანასტასიუ (33), 3:0 ნიგაარდი (58), 3:1 ნურმელა (62)

**ალკმარი 2:1 უტრეხტი**

0:1 ვან დენ ბერგი (9), 1:1 ნელისი (72პ), 2:1 ბოსმანი (90)

**აიაქსი 4:1 გრააფსხაპი**

1:0 ვამბერტო (6), 1:1 ვისკაალი (31), 2:1 კნვუ (58პ), 3:1, 4:1 ვან დერ გუნი (64, 81)

აიაქსი: გრიმი, ბერგდოლმო (ვან დერ გუნი 46), კნვუ (სიერი 61), პასანენი, დე კლერი, იკედია (ვან დერ მეიდე 67), ვან დერ ვაარტი, გალაშეკი, ვინტერი, ვამბერტო, მახლასი

მწვრთნელი: კო ადრიანსე

**პსვ ეინდჰოვენი 1:0 ფეიენოორდი**

1:0 ბრუგინკი (78პ)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, დირქსი, ჰოფლანდი, ჰაინცე, ვან ბომელი, ვოგელი (ვან დერ დულენი 86), რამზი, კოლკა, კეჟმანი, ბრუგინკი (ლუსიუსი 80)

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

**სიტარდი 0:0 ვალვაიკი**

**როზენდალი 2:1 ტილბურგი**

1:0 ვოსი (59), 1:1 სეკტიუ (85), 2:1 კასი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტესი | 12 | 8 | 2 | 2 | 27:17 | 26 |
| ფეიენოორდი | 10 | 8 | 1 | 1 | 26:10 | 25 |
| პსვ | 11 | 7 | 3 | 1 | 17:7 | 24 |
| ნაიმეგენი | 12 | 5 | 7 | 0 | 22:12 | 22 |
| აიაქსი | 12 | 6 | 3 | 3 | 26:16 | 21 |
| ვალვაიკი | 12 | 5 | 4 | 3 | 14:10 | 19 |
| როდა | 11 | 5 | 3 | 3 | 22:18 | 18 |
| ალკმარი | 11 | 6 | 0 | 5 | 22:20 | 18 |
| ბრედა | 11 | 5 | 2 | 4 | 19:16 | 17 |
| ტვენტე | 12 | 4 | 4 | 4 | 20:21 | 16 |
| ტილბურგი | 11 | 3 | 4 | 4 | 17:17 | 13 |
| ჰერენვენი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:14 | 13 |
| უტრეხტი | 12 | 3 | 3 | 6 | 20:26 | 12 |
| გრონინგენი | 13 | 3 | 3 | 7 | 18:25 | 12 |
| გრააფსხაპი | 13 | 3 | 1 | 9 | 18:27 | 10 |
| სპარტა | 12 | 2 | 3 | 7 | 17:27 | 9 |
| როზენდალი | 12 | 3 | 0 | 9 | 20:33 | 9 |
| სიტარდი | 11 | 0 | 3 | 8 | 5:26 | 3 |

## ფეხბურთის ...



გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაირნის" მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა „მარსელის" მცველ ზუმანა კამარას დაადგა თვალი. ბუნდესლიგური კლუბის წარმომადგენლები მარსელელთა თამაშს რამდენჯერმე დაესწრნენ. კამარა 21 წლისაა. „მარსელში" იგი სეზონის დაწყებამდე „ბასტიიდან" ჩაირიცხა. „ფრანგებს ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავთ. ამჟამად სწორედ კამარას ვაკვირდებით" — განაცხადა მიუნხენური კლუბის მენეჯერმა ული ჰიონესმა.

**ფრანგმა დიდიე დეშამპმა ტრავმა ჯერაც ვერ მოიშუშა და ამიტომ სამშობლოში აპირებს ჩასვლას, რათა ცნობილი პროფესორს გაესინჯოს. „ვერა და ვერ მოვმჯობინდი, უკეთესობასაც ვერ ვატყობ. ამ კვირაში ყველაფერი უნდა გავარკვიო. ნაკრების ექიმსაც მოვინახულებ" — განაცხადა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, რომელიც „ვალენსიაში" ამ სეზონში „ჩელსიდან" გადავიდა.**

ფინელი ფორვარდის, იარი ლიტმანენის ყიდვა „ბეშიქთაშს" სურს. იუწყებიან, რომ სტამბოლური კლუბი „ბარსელონას" უკვე შეუთანხმდა და ახლა თავად ფეხბურთელთან აწარმოებს მოლაპარაკებას. ამის გარდა, „ბეშიქთაშის" მწვრთნელმა ნევიო სკალამ „ევერტონის" თავდამსხმელ კევინ კემპბელსაც დაადგა თვალი. თურქული გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი აცხადებს: „ტრანსფერის განხორციელება რთული იქნება, თუმცა ყველაფერი შესაძლებელია". კემპბელი ადრე „არსენალის" ღირსებას იცავდა, „ევერტონმა" კი იგი ჯერ ითხოვა, ხოლო შემდეგ 3 მილიონ გირვანქად შეიძინა. აღსანიშნავია, რომ ორი სეზონის წინ მას „ტრაბზონსფორში" უთამაშია. „ბეშიქთაშში" კიდევ ერთი სიახლეა — ნევიო სკალამ გუნდიდან დიმიტრი ხლესტოვი გააგდო. იგი, ალბათ, რუსეთში დაბრუნდება.

**ესპანელი ნახევარმცველი ივან ელგერა იმუქრება, რომ თუ „რეალში" არ ათამაშებენ, კლუბიდან წავა. „მხოლოდ სუსტი გუნდების წინააღმდეგ ვთამაშობ, ეს კი ხელს არ მაძლევს. მინდა, „ბარსელონასა" და „დეპორტივოს" შევებრძოლო" — განაცხადა ელგერამ, რომლის შეძენის სურვილი ადრე „მანჩესტერ იუნაიტედმა" გამოთქვა.**

ირანელ ნახევარმცველ მეჰდი მაჰდავიკიას „დეპორტივოში" ეპატიჟებიან, თუმცა მისი გადაბირება „იფსვიჩსაც" სურს. არადა, ფეხბურთელმა ცოტა ხნის წინ თქვა, რომ „ჰამბურგში" თამაშითაც კმაყოფილია და სეზონის ბოლომდე ბუნდესლიგას, ალბათ, არ დატოვებს.

**ინგლისურმა „დერბიმ" „ვოლფსბურგის" მცველი ბრაიან ონილი გადაიბირა, ხოლო სანაცვლოდ შტეფან შნური ბუნდესლიგაში გაუშვა. 28 წლის შოტლანდიელმა ორშაბათს სამედიცინო შემოწმება გაიარა და გიორგი ქინქლაძის ამჟამინდელ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ონილი „ვოლფსბურგში" ორი სეზონს თამაშობდა, მანამდე კი ექვსი წლის განმავლობაში გლაზგოს „სელტიკის" ღირსებას იცავდა. ბრიტანეთში მას „აბერდინსა" და „ნოტინგემში" უთამაშია. ონილი დღეს შოტლანდიის ნაკრების შეკრებაზე გაემგზავრება, მერე „დერბიში" დაბრუნდება და იქნებ სადებიუტო მატჩიც ჩაატაროს „ბრედფორდის" წინააღმდეგ.**

გერმანიის ვიცე-ჩემპიონ „ლევერკუზენის" ახალი მწვრთნელის ბერტი ფოგტსის ასისტენტებად ვოლფგანგ როლფი და პიერ ლიტბარსკი დაინიშნებიან. როლფი ადრე „ლევერკუზენში" თამაშობდა და 1988 წელს უეფას თასის მფლობელი გახდა, პიერ ლიტბარსკი კი 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონია. ფოგტსს „ლევერკუზენში" ალბათ ტონი შუმახერიც დაეხმარება. ბუნდესნაკრების ყოფილ მეკარეს გოლკიპერების მომზადება დაევალება.

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

საფრანგეთი. II დივიზიონი
14 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 001 | აიაჩო-ნიმი | 2,5 | 2,7 | 2,8 |

პორტუგალია. I ლიგა
14 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 002 | ბოავიშტა-გიმარაეში | 1,5 | 3,4 | 6,5 |

ჰოლანდია. თასი
16 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 003 | ნაიმეგენი-სპარტა | 1,45 | 3,5 | 6,0 |

დანია. თასი
16 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 004 | მიდტიულანდი-ჰერფიოლგე | 1,6 | 3,4 | 5,0 |

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები
15 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 501 | კვიპროსი-ანდორა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 22.00 | 502 | ბრაზილია-კოლუმბია | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 503 | გვატემალა-კოსტა რიკა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 504 | ბარბადოსი-აშშ | 6,5 | 3,6 | 1,2 |
| 23.30 | 505 | სან მარინო-ლატვია | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| 23.30 | 506 | პანამა-ტრინიდადი | 3,5 | 3,2 | 1,7 |
| 23.30 | 507 | სენტ ვინსენტი-ჰონდურასი | 4,7 | 3,5 | 1,4 |
| 24.00 | 508 | ბოლივია-ურუგვაი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 02.45 | 509 | პარაგვაი-პერუ | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 03.30 | 510 | ვენესუელა-ეკვადორი | 3,6 | 3,2 | 1,6 |
| 04.00 | 511 | კანადა-მექსიკა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 04.40 | 512 | ჩილე-არგენტინა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 05.30 | 513 | სალვადორი-იამაიკა | 2,4 | 3,0 | 2,5 |

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (21 წლამდე)
15 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 514 | ბოსნია-საფრანგეთი | 6,0 | 3,5 | 1,5 |

ამხანაგური მატჩები
15 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 515 | რუმინეთი-იუგოსლავია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 20.00 | 516 | საბერძნეთი-სლოვაკია | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 20.30 | 517 | ალბანეთი-მალტა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 21.00 | 518 | პოლონეთი-ისლანდია | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 21.00 | 519 | მაკედონია-უნგრეთი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 22.00 | 520 | ტუნისი-შვეიცარია | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.15 | 521 | დანია-გერმანია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 23.30 | 522 | ირლანდია-ფინეთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 23.30 | 523 | თურქეთი-საფრანგეთი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 23.45 | 524 | იტალია-ინგლისი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 24.00 | 525 | შოტლანდია-ავსტრალია | 1,5 | 3,2 | 5,6 |
| 00.30 | 526 | ესპანეთი-ჰოლანდია | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 01.00 | 527 | პორტუგალია-ისრაელი | 1,2 | 5,0 | 9,0 |

ამხანაგური მატჩი (21 წლამდე)
14 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 528 | იტალია (21)-ინგლისი (21) | 1,8 | 3,0 | 4,0 |

კალათბურთი. სუპროლიგა
15 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 801 | რაანანა-სპლიტი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 802 | ოსტენდე-ირაკლისი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 803 | სიენა-ცეპტერი | 1,4 | 12,0 | 1,9 |

16 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 804 | პლანია-პარტიზანი | 3,5 | 12,0 | 1,15 |
| 21.00 | 805 | ცსკა-ულქერი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 21.00 | 806 | ეფესი-პო ორტეზი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 | 807 | სკავოლინი-კრკა | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 808 | ვილერბანი-ალბა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 23.30 | 809 | პანათინაიკოსი-ლ.რიტასი | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 23.30 | 810 | ბაიერი-მაკაბი | 4,0 | 12,0 | 1,1 |

კალათბურთი. ევროლიგა
16 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 811 | ჟალგირისი-ზადარი | 1,25 | 12,0 | 2,8 |
| 21.00 | 812 | ესტუდიანტესი-ლუგანო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 21.00 | 813 | პერისტერი-ფორტიტუდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 21.00 | 814 | კინდერი-პეტერბურგი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 21.00 | 815 | ტაუ-აეკ | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 21.00 | 816 | ციბონა-შარლერუა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 21.00 | 817 | ოლიმპია-რეალი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 21.00 | 818 | ოლიმპიაკოსი-ჰაპოელი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 21.00 | 819 | ბენეტონი-ოვარენსე | 1,02 | 12,0 | 10,0 |
| 21.00 | 820 | ბარსელონა-სკაილაინერსი | 1,02 | 12,0 | 10,0 |
| 21.00 | 821 | პაოკ-ლონდონი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| 21.00 | 822 | მიულერი-ბუდუჩნოსტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |

კალათბურთი
14 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 823 | ატლანტა-პორტლენდი | 3,5 | 12,0 | 1,2 |
| 04.30 | 824 | კლივლენდი-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 825 | მაიამი-შარლოტი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 826 | საკრამენტო-ორლანდო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.30 | 827 | ჰიუსტონი-ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.30 | 828 | სან ანტონიო-იუტა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 07.00 | 829 | სიეტლი-ნიუ იორკი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 07.30 | 830 | ლეიკერსი-დენვერი | 1,1 | 12,0 | 5,0 |

15 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 831 | ბოსტონი-ვაშინგტონი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 04.00 | 832 | ფილადელფია-კლივლენდი | 1,15 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 | 833 | დეტროიტი-ინდიანა | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 05.00 | 834 | მილუოკი-ატლანტა | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 05.00 | 835 | მინესოტა-გოლდენ სტეიტი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 836 | ნიუ ჯერსი-მაიამი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 06.00 | 837 | ფინიქსი-დალასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 07.30 | 838 | კლიპერსი-ნიუ იორკი | 3,5 | 12,0 | 1,15 |

16 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 839 | ვაშინგტონი-სან ანტონიო | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 05.00 | 840 | საკრამენტო-ლეიკერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.30 | 841 | ჰიუსტონი-შარლოტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 06.00 | 842 | დენვერი-ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 06.00 | 843 | იუტა-ორლანდო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 07.00 | 844 | ტორონტო-პორტლენდი | 2,0 | 12,0 | 1,4 |
| 07.00 | 845 | ვანკუვერი-კლიპერსი | 1,15 | 12,0 | 4,0 |

ჰოკეი
14 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 901 | ვაშინგტონი-ფინიქსი | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 04.00 | 902 | კოლუმბუსი-დალასი | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 903 | მონრეალი-ტამპა ბეი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 04.30 | 904 | ნიუ ჯერსი-სან ხოსე | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 05.30 | 905 | ედმონტონი-სენტ ლუისი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.30 | 906 | ვანკუვერი-ჩიკაგო | 1,6 | 4,0 | 2,9 |

15 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 907 | კაროლინა-ფლორიდა | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 04.30 | 908 | ტორონტო-ფილადელფია | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 909 | ატლანტა-ნეშვილი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 910 | დეტროიტი-სან ხოსე | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 04.30 | 911 | ანაჰაიმი-კოლორადო | 2,9 | 4,0 | 1,6 |
| 05.00 | 912 | ბუფალო-დალასი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 05.00 | 913 | მინესოტა-რეინჯერსი | 2,2 | 4,0 | 2,0 |

16 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 914 | ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 915 | ოტავა-კაროლინა | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 05.00 | 916 | სენტ ლუისი-პიტსბურგი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 05.00 | 917 | ნეშვილი-კოლუმბუსი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 06.00 | 918 | კალგარი-ჩიკაგო | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.00 | 919 | ფინიქსი-კოლორადო | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 07.30 | 920 | ლოს ანჯელესი-აილენდერსი | 1,6 | 4,0 | 2,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ქუთაისში
ამუშავდა «კროკოს»
განახლებული ბიურო ძველ
მისამართზე
პუშკინის №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

ბათუმში
კვლავ გაიხსნა «კროკოს»
ბიურო ახალ მისამართზე:
მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი. VII ტური

# სადღა იყო ის თსუ...

როლანდ ლაბუჩიძე

**11 ნოემბერი. ვერის ბაღი**

**შევარდენი 109:97 ვითა**

25:27, 24:25, 27:14, 33:31

**შევარდენი:** ნ. ნოზაძე, გ. ჩხეიძე (34), კაზანჯიანი, სუხიშვილი (16), გოგუა (6); გულხადარაშვილი, გიგაური (21), ფრანგიშვილი (2), ქევხიშვილი (28), ალავიძე (2)

**ვითა:** მარხვაშვილი (31), ტ. ვაშაკიძე (10), ბარბაქაძე (14), ქირაქაძე (5), მდივანი (20); ტყეშელაშვილი, ერგემლიძე (6), ბურკაძე (5), ჩიხლაძე (2), ნ. შანიძე (4)

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

**11 ნოემბერი. ვერის ბაღი**

**აზოტი 88:45 სსუ**

35:10, 22:18, 17:16, 14:1

**აზოტი:** ა. ჟღენტი (12), გაბისონია, ტურაშვილი (3), ბაბიაშვილი (17), ბერუაშვილი (8); აბზიანიძე (4), წიკლაური (13), დანელიანი, ლ. ჩაჩუა, მიქიაშვილი (5), კოკოლიშვილი (6), ჯიმშელეიშვილი (20)

**სსუ:** ბ. ბერიშვილი (6), სორდია (4), ძიძიგური (8), ვ. ქვილითაია (9), ერქვანია; ლაცუზბაია (6), გ. ჟღენტი (5), არჩვაძე (3), ტატუნაშვილი (2), ხარებავა (2)

**მსაჯები:** დავით ანდრიაძე, დავით მაჭავარიანი

**კომისარი:** თენგიზ ქიქოძე

**11 ნოემბერი. ვერის ბაღი**

**სტუ 125:93 დინამო**

31:18, 26:21, 31:30, 37:24

**სტუ:** ხოშტარია (38), ტულუში (16), ლოსაბერიძე (25), ოთიურიძე (20), მინაშვილი (15); ლაფანაშვილი, სულაძე, მიქაძე (1), ჩუბინიძე (10)

**დინამო:** თორთლაძე (29), ნინოშვილი (9), კეიდია (15), ბ. ნოზაძე, შენგელია (24); ჩაჯლეიშვილი (4), ბადრიძე, ლ. აბულაძე (6), კონჯარია (3), ნინიაშვილი (3)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

**11 ნოემბერი. ვერის ბაღი**

**თსუ 74:96 მაკაბი**

13:19, 18:26, 15:28, 28:23

**თსუ:** ი. ბერიშვილი (2), მაისურაძე (27), მარკოიშვილი (15), მაჭარაძე (4), ახალკაცი (9); არსიაშვილი (5), ზანგურაშვილი (2), ნათობაძე, ვეფხვაძე (7), სანიკიძე (3)

**მაკაბი:** წოწელია (20), ტუჯანი (13), სარიშვილი (10), შანიძე (22), დაჩუმი (20); ანდღულაძე, კრიხელი (2), ქოქოსაძე (7), მჭედლიშვილი, მანველიშვილი (2), ფიცხელაური

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**მეშვიდე ტურში** პირველი „შევარდენი“ — „ვითას“-ს შეხვედრა იყო დაგეგმილი. გუნდები დროულად გამოცხადდნენ, მაგრამ მსაჯები მატჩის დაწყებას აგვიანებდნენ. გავიდა ხუთი წუთი, თხუთმეტიც, ტრიბუნებზე მსხდომი გულშემატკივრები კი ამაოდ ელოდნენ კალათბურთელების მოედანზე გამოჩენას.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის აკაკი მეგრელაძის თქმით, შეხვედრის დაწყება „შევარდენის“ მიზეზით ფერხდებოდა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გადაეხადია „აზოტთან“ მატჩის ჩაშლისთვის დაკისრებული ჯარიმა. ფედერაცია ურჩი გადამხდელის ჩემპიონატიდან მოკვეთით იმუქრებოდა, ხოლო „შევარდენი“ ირწმუნებოდა, სამშაბათამდე გავსწორდებითო. საბოლოოდ: „შევარდენი“ იმ პირობით დავუშვით, რომ სამშაბათამდე, ანუ 14 ნოემბრამდე დაფარავს ფედერაციის ვალს. წინააღმდეგ შემთხვევაში „ვითასთან“ მატჩში წაგებას ჩავუთვლით, ჩემპიონატში მის ყოფნა-არყოფნაზე კი ფედერაცია დამატებით იმსჯელებს“ — აღნიშნა მეგრელაძემ.

როგორც იქნა, მატჩი დაიწყო. „ვითას“ უპირატესობა გამოიკვეთა, „შევარდენი“ კი დაბნეული ჩანდა. ეტყობა, მატჩის ჩაშლის საშიშროებამ გუნდზე გავლენა იქონია. ჭაბუკი ვითელები პირველ ტაიმში ყოველთვის კარგად გამოიყურებიან, მეორეში კი იღლებიან და ბოლომდე ბრძოლა უჭირთ. ასე იყო ამჯერადაც. პირველი მეოთხედი მთლიანად „ვითას“ უპირატესობით მიმდინარეობდა. ტრადიციულად აქტიურობდა მარხვაშვილისა და მდივნის დუეტი. „შევარდენმა“ მხოლოდ ერთხელ, გუნდის ლიდერის, გიორგი ჩხეიძის სამქულიანით შეძლო ანგარიშის გათანაბრება. ვითელებმა იბრძოლეს და მაინც მოიგეს პირველი მეოთხედი.

„ვითას“ არც მეორე მეოთხედში დაუთმია ინიციატივა. „შევარდენი“ კვლავ მდევრის როლში იყო და თამაზ გიგაურის ზუსტი საჯარიმოების შემდეგ ტაიმის დამთავრებამდე 1,40 წუთით ადრე, როგორც იქნა, დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. ისევ და ისევ მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ მარხვაშვილი და მდივანი, რომლებმაც „ვითას“ მეორე მეოთხედშიც მოაგებინეს, ამჯერად — 25:24.

გადამწყვეტი გამოდგა მესამე მეოთხედი, რომელიც „შევარდენის“ სრული უპირატესობით აღინიშნა. თუ თამაზ გიგაურისა და გიორგი ჩხეიძის კარგი თამაში არავის გაკვირვებია, მოულოდნელი იყო ლევან ქევხიშვილის მაღალი შედეგიანობა. არც მეორე ცენტრი, ლადო სუხიშვილი ირჯებოდა ურიგოდ და „შევარდენმა“ შეძლო მატჩში გარდატეხის შეტანა.

მეოთხე, დასკვნით მეოთხედში „შევარდენის“ უპირატესობა აშკარა გახდა. ერთ მომენტში საავიაციო ქარხნის გუნდის წარმომადგენლები 21 ქულითაც კი უგებდნენ მეტოქეს — 100:79. აზარტში შესული „შევარდენის“ შეჩერება „ვითამ“ მხოლოდ მაშინ მოახერხა, როდესაც მეტოქემ სათადარიგო მოთამაშეებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება.

ცენტრალურ შეხვედრად მიჩნეული თსუ — „მაკაბი“ ამ უკანასკნელის სრული უპირატესობით წარიმართა. სადღა იყო ის თსუ, რომელმაც მეექვსე ტურში ამბიციურ სტუ-ს სულ ბდღვირი ადინა და იოტისოდენა შანსიც კი არ დაუტოვა. სტუდენტები თავისუფლად აძლევდნენ მეტოქეს ელვისებური პირველი შეტევის განხორციელების შესაძლებლობას, რომლის დაგვირგვინებაც მოქნილი ჟოლივეტ ტუჯანისა და კარგ ფორმაში მყოფი ირაკლი შანიძისათვის პრობლემა არ იყო. „მაკაბის“ პირველმა ხუთეულმა მიმდინარე ჩემპიონატში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. განსაკუთრებით კი კამერუნელი ცენტრი რომეო დაჩუმი გამოირჩა. აფრიკელისათვის დაუფარებელი და მოუხსნელი ბურთი არ არსებობდა. მართალია, მაჭარაძის მორიგი ჩავარდნა არავის გაჰკვირვებია, მაგრამ მოულოდნელი იყო წინა ტურის საუკეთესო მოთამაშის, გულივერ ახალკაცის წარუმატებელი თამაში, რომელიც პირწმინდად დაჩაგრა დაჩუმიმ. თსუ-ს ცენტრების მსგავსად, არც უკანახაზელები ბრწყინავდნენ. სტუდენტები მონუსხულებს ჰგავდნენ, ემოციებმა ხომ მთლად გააფუჭა გუნდი.

პირველი მეოთხედის ექვსი წუთი თანაბარ ბრძოლაში მიილია, დარჩენილმა დრომ კი „მაკაბის“ სცენარით ჩაიარა და ათწუთეულიც მისივე გამარჯვებით დამთავრდა — 19:13. ორწუთიანი შესვენების შემდეგ თსუ-მ შეძლო ინიციატივის მოპოვება და ხუთ წუთში ანგარიში გათანაბრდა — 25:25. ამის შემდეგ „მაკაბიმ“ მოუხშირა შორეულ გადაცემებზე აგებულ სწრაფ შეტევებს, რომლებსაც თსუ-მ ვერაფერი დაუპირისპირა. ფარი დაჩუმიმ დაიპყრო, ხოლო შეტევებს ოსტატურად აგვირგვინებდა შანიძე. არც იღბალმა დაინდო თსუ: სტუდენტების მიერ მარტივ სიტუაციაში ნასროლი ბურთიც კი ჯიუტად არ ეშვებოდა კალათაში.

თსუ-სთვის კიდევ უფრო სავალალო გამოდგა მესამე მეოთხედი. სულ უფრო ძნელდებოდა „მაკაბის“ შეჩერება. სტუდენტები ნერვებს აჰყვნენ და გუნდი საბოლოოდ მოიშალა. დაცვა დაცვას აღარ ჰგავდა და შეტევა — შეტევას. ბოლო მეოთხედში თსუ-ს ხელმძღვანელობამ ძირითადის კალათბურთელებიდან მოედანზე მარტო ირაკლი მაისურაძე დატოვა, ხოლო დანარჩენები სკამზე დასვა. ამ დროს ანგარიში 73:46 იყო. სტუდენტთა სათადარიგოების გამოჩენამ თითქმის შეუცვლელად მოასპარეზე „მაკაბის“ სასტარტო ხუთეულს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. თუმცა უკვე ყველაფერი ნათელი იყო და „მაკაბის“ გამარჯვება დროის საქმეღა გახლდათ.

სატურნირო ცხრილის ფსკერზე მყოფი „დინამოსგან“ სტუ-ს წინააღმდეგ სასწაულებს არავინ ელოდა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ დინამოელები ასე იოლად დათმობდნენ შეხვედრას. მთელი მატჩის განმავლობაში „სტუ-ჯეოსელი“ ლიდერობდა და ოთხივე მეოთხედში შეძლო წარმატების მიღწევა. მეტოქეები დაცვას თითქმის არ თამაშობდნენ, რაც ანგარიშშიც გამოიხატა. „დინამოს“ სულ რაღაც 7 ქულა დააკლდა იქამდე, რომ მისი ქულათა მარაგიც სამნიშნა რიცხვით აღნიშნულიყო.

გოგიტა ბერიასა და ბეჟან ქვილითაიას ტრავმებმა სსუ-ს სულ დაუკარგა ვიცე-ჩემპიონის წინააღმდეგ თამაშის ხალისი. აბა, რით შეიძლება აიხსნას მათი ასეთი უსუსურობა. „აზოტმა“ მხოლოდ პირველ მეოთხედში ითამაშა ძირითადი შემადგენლობით — 35:10, შემდეგ კი ასპარეზი სათადარიგოებს დაუთმო. ვერც მათ გაუწია სსუ-მ რიგიანი წინააღმდეგობა, ერთი მეოთხედის მოგებაც კი ვერ შეძლო და დასკვნით ნაწილში ანტირეკორდსაც გამოჰკრა ხელი. წყალწაღებული სტუდენტები ხავსსაც კი აღარ ეჭიდებოდნენ და მეოთხე მეოთხედში მხოლოდ ერთი ქულის გაკეთება შეძლეს.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# რას წაიკითხავს პეიტონი?

**10 ნოემბერი**

**ვაშინგტონი 74:86 ინდიანა**

ვაშინგტონი: ჰოვარდი (25), ვაითი (22 ქულა, 13 მოხსნა, 7 დაფარება)
ინდიანა: მილერი (23)

**ტორონტო 115:88 კლივლენდი**

ტორონტო: კარტერი (32), ჯექსონი (17)
კლივლენდი: გეტლინგი (17)

**ბოსტონი 101:103 ნიუ იორკი**

(ძირითადი დრო 92:92)

ბოსტონი: პირსი (35), უოლკერი (25 ქულა, 12 მოხსნა)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (37), კემბი (16 ქულა, 17 მოხსნა, 5 დაფარება)

**დალასი 79:77 სან ანტონიო**

დალასი: ფინლი (20)
სან ანტონიო: ანდერსონი (17)

**იუტა 80:87 მაიამი**

იუტა: მელოუნი (21 ქულა, 11 მოხსნა)
მაიამი: გრანტი (21 ქულა, 10 მოხსნა)

**კლიპერსი 115:106 ატლანტა**

კლიპერსი: მაკინისი (28), ოდომი (25)
ატლანტა: ჯექსონი (34)

**გოლდენ სტეიტი 107:114 საკრამენტო**

(ძირითადი დრო 97:97)

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (37), ფორტსონი (16 ქულა, 17 მოხსნა)
საკრამენტო: ვებერი (35 ქულა, 16 მოხსნა, 6 პასი), ვილიამსი (20)

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დერბი იშვიათი მოვლენაა. აქ მხოლოდ ერთ ქალაქს, ლოს ანჯელესს ჰყავს ორი გუნდი. ამ ერთგვარ დანაკლისს გარკვეულწილად ავსებენ შეხვედრები ერთი შტატის გუნდების მონაწილეობით და საკმაო წარმატებითაც. თვალს იქცევს კალიფორნიელთა, ტეხასელთა, ფლორიდელთა პაექრობები. აი, ათ ნოემბერს ერთმანეთს ტეხასის ორი წარმომადგენელი — „დალასი“ და „სან ანტონიო“ დაუპირისპირდა. არსებითად, სხვადასხვა სიძლიერისანი არიან, მაგრამ თამაშის მხილველი სხვაგვარად განსჯიდა. უკიდურესად დაძაბულ შეხვედრაში გუნდებმა ერთმანეთს არაქათი გააცალეს და საბოლოოდ „დალასმა“ ექსჩემპიონს ბოლო წამზე მაიკლ ფინლის ჩაგდებული ბურთის წყალობით მოუგო. შეხვედრის დამთავრებამდე ოთხი წამი რჩებოდა, როცა სტუმარმა აივერი ჯონსონმა სამქულიანით 77:77 გაათანაბრა. „მავერიქსმა“ მოახერხა შეტევის ორგანიზება. გრეგ ბაკნერმა „სან ანტონიოს“ სამქულიანის ხაზთან ფინლი მოძებნა. მანაც ცრუმოძრაობით ჩამოიშორა მეურვე, ოდნავ წაიწია და მაშინ როდესაც სირენის ხმა გაისმა, ბურთს „სფურზის“ კალათში მოუჩინა ადგილი.

ათი ნოემბრის დაძაბულმა მატჩებმა ორი მანამდე დაუმარცხებელი გუნდი — „იუტა“ და „კლივლენდი“ შეიწირა. წინა სეზონში „პორტლენდის“ სათადარიგო კალათბურთელი ბრაიან გრანტი ახლა „მაიამის“ ერთ-ერთ ლიდერად ქცეულა და ყოველ თამაშში თავისიანებს ბლომად ქულებს და მოხსნებს აშველებს. სოლტ ლეიკ სიტიში ჩასულ „ჰითს“ მისი დიდი იმედი ჰქონდა, გრანტმაც „იუტას“ ძლევაში ლომის წილი დაიდო. საწყისი ხუთი გამარჯვების შემდეგ „იუტა ჯაზმა“ შინაურ „დელტა სენთერში“ ცხრამეტი ათასი გულშემატკივრის თვალწინ სეზონში პირველი მარცხი იწვნია. „ზუსტად აღარ მახსოვს, რამდენჯერ ჩამოვსულვარ აქ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ „დელტა სენთერში“ არასდროს მომიგია. ეს მაგიური დარბაზი თხუთმეტი წელია, სტოქტონსა და მელოუნს ეკუთვნით, მაგრამ, საბედნიეროდ, არა დღეს“ — ამბობდა ამ ღირსსახსოვარი გამარჯვებით ფრთაშესხმული გრანტი.

მანამდე კიდევ ერთი დაუმარცხებელი — „კლივლენდი“ გაცილებით იოლად გატყდა. ტორონტოში ნაწვევ „კავალიერზს“ ვინს კარტერმა 32 ქულა ჩაუგდო და შინ შერცხვენილი გამოისტუმრა.

**11 ნოემბერი**

**ნიუ ჯერსი 126:91 სიეტლი**

ნიუ ჯერსი: მარბერი (41), გილი (22)
სიეტლი: პეიტონი (22), ლუისი (21)

**ინდიანა 94:84 დეტროიტი**

ინდიანა: მილერი (24), ონილი (20 ქულა, 15 მოხსნა)
დეტროიტი: ეტკინსი (18), სტეკჰაუზი (17)

**ნიუ იორკი 81:67 შარლოტი**

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (21)
შარლოტი: მაშბურნი (18 ქულა, 11 მოხსნა)

**კლივლენდი 86:73 ვაშინგტონი**

კლივლენდი: ილგაუსკასი (21)
ვაშინგტონი: ჰამილტონი (16)

**ფილადელფია 85:83 ბოსტონი**

ფილადელფია: სნოუ (25), აივერსონი (17)
ბოსტონი: პირსი (26)

**მილუოკი 92:103 მინესოტა**

მილუოკი: ალენი (40)
მინესოტა: ბილაფსი (31), გარნეტი (22)

**ჩიკაგო 75:98 ტორონტო**

ჩიკაგო: არტესტი (23), მერსერი (17)
ტორონტო: კარტერი (26), დევისი (24)

**სან ანტონიო 91:78 ვანკუვერი**

სან ანტონიო: დანკანი (20 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება)
ვანკუვერი: დიკერსონი (18)

**ფინიქსი 84:82 მაიამი**

ფინიქსი: მარიონი (18 ქულა, 13 მოხსნა), კიდი (15 ქულა, 13 პასი)
მაიამი: ჰარდევეი (19), მეისონი (18)

**პორტლენდი 111:88 ჰიუსტონი**

პორტლენდი: სმიტი (25), სტუდემაიერი (23)
ჰიუსტონი: ოლაჯუონი (17)

„ნიუ ჯერსი ნეტსს“ ბინა ისტ რეზერფორდში დაუდვია. ეს ქალაქი, მიუხედავად იმისა, რომ სხვა შტატს ეკუთვნის, ფაქტობრივად ნიუ იორკის გარეუბანია, გუნდ „ნიუ იორკში“ კი, მოგეხსენებათ, თხუთმეტი წელი თამაშობდა პატრიკ იუინგი და მას იქაც ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. და აი, იუინგი და მისი ახალი გუნდი „სიეტლი“ ისტ რეზერფორდში ჩავიდნენ. პატრიკი იქნებ მქუხარე ოვაციებს ელოდა, მაგრამ შეცდა. ათასობით კაცი მხოლოდ სტვენით აჯილდოებდა მას, როცა კი ამის საბაბი მიეცემოდა, ეს კი ხშირად ხდებოდა. ბებერი პატრიკის პირველივე პასი მეტოქის იოლი ლუკმა შეიქნა. პირველივე ნასროლი თითქმის ერთი მეტრით ასცდა კალათს. ვეტერანმა საწყისი სამი საჯარიმო სროლაც ვერ გამოიყენა და მაყურებელთა ლანძღვა-გინება დაიტეხა თავს. მეტოქე გუნდის გამთამაშებელი სტივენ მარბერი მისი გუნდის კალათს არბევდა. მარბერიმ აშკარად დაჩაგრა ლიგის უძლიერესი გამთამაშებელი გერი პეიტონი, სულ „სიეტლს“ 41 ქულა ჩაუგდო და ამას მხოლოდ 29 წუთი მოანდომა. მატჩის შემდეგ დაბოღმილი პეიტონი ამბობდა, ეგ ბიჭი ურიგო კალათბურთელი არაა, მაგრამ სტატისტიკას ეტრფის, მთავარია, თვითონ ბევრი ჩააგდოს და არ დავიდევთ, მისი გუნდი მოიგებს თუ წააგებსო.

თავად პეიტონმა შეხვედრის ოქმში რომ ჩაიხედოს, აღმოაჩენს, რომ 22 ქულის მოპოვებასთან ერთად მან ცხრაჯერ(!) დაკარგა ბურთი.

**12 ნოემბერი**

**დეტროიტი 101:92 სიეტლი**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (38)
სიეტლი: პეიტონი (29)

**დენვერი 95:79 კლიპერსი**

დენვერი: მაკდაიესი (22 ქულა, 13 მოხსნა)
კლიპერსი: სკინერი (23 ქულა, 12 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 99:105 ორლანდო**

(ძირითადი დრო 91:91)

გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (23), ფორტსონი (21 ქულა, 21 მოხსნა)
ორლანდო: მაკგრეიდი (24), არმსტრონგი (21)

**საკრამენტო 109:84 დალასი**

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (28), ვებერი (23 ქულა, 13 მოხსნა)
დალასი: ნოვიცკი (16)

**ლეიკერსი 105:99 ჰიუსტონი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (37 ქულა, 10 მოხსნა)
ჰიუსტონი: ნორისი (15)

მიმდინარე სეზონში „ლეიკერსი“ თავის აჩრდილს ჰგავს, განსაკუთრებით ეს შაკილ ონილზე ითქმის. „ჰიუსტონის“ 37 წლის ცენტრმა ჰაკიმ ოლაჯუონმა (13 ქულა) ამჯერადაც დიდი სამსახური გაუწია თავის გუნდს. ტრავმებით შეჭირვებულმა ონილს სულ [illegible] ქულა ჩააგდებინა, მეოთხე მეოთხედის დასაწყისში მეექვსე პერსონალური აკიდა და მაყურებელთა შორის მიუჩინა ადგილი. „ლეიკერსს“ კობი ბრაიანტი რომ არ ჰყოლოდა, „ჰიუსტონთან“ ერთ კვირაში მეორედ შერცხვებოდა.

ირაკლი ფირცხალავა



იუტა — მაიამი. ჯონ სტოქტონი (№12) და მაიამელი ენტონი კარტერი

# საქართველოს ჩემპიონატი. VIII ტური



აზოტი — თსუ. გულივერ ახალკაცმა (№14) რუსთაველებს შეუტია



აზოტი — თსუ. სტუდენტებმა კი წააგეს, მაგრამ ზურაბ სანიკიძემ (ბურთით) მწვრთნელებს გაუმართლა

# ფედერაციამ ბერიას მეთოდები დაგმო

12 ნოემბერი. ვერის ბაღი

**აზოტი 83:68 თსუ**

13:20, 13:18, 30:19, 27:11

აზოტი: ა. ჟღენტი (11), გაბისონია (10), ტურაშვილი (11), ბაბიაშვილი (22), მ. ბერუაშვილი (13); წიკლაური, ჩაჩუა (1), კოკოლიშვილი (12), ჯიმშელეიშვილი (3)

თსუ: მაისურაძე (11), გ. მარკოიშვილი (9), არსიაშვილი (14), ახალკაცი (11), მაჭარაძე (5); ვეფხვაძე (2), ი. ბერიშვილი (5), სანიკიძე (11), ხეცურიანი

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: მურმან ქურიძე

12 ნოემბერი. ვერის ბაღი

**სსუ 72:97 დინამო**

11:22, 20:19, 26:25, 15:31

სსუ: ბ. ბერიშვილი (26), სორდია (2), ძიძიგური (5), ბერია (4), ბ. ქვილითაია (6); ლაცუზბაია (4), გ. ჟღენტი, არჩვაძე (11), ვ. ქვილითაია (14)

დინამო: თორთლაძე (38), ნინოშვილი (15), ჩავლეიშვილი (7), ბ. ნოზაძე, შენგელია (13); ნინიაშვილი (16), არაქელიანი, კეიდია (2), ლ. აბულაძე (6), კონჯარია

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

**მაკაბი — სტუ**

*უშუქობის გამო გადადებული ეს შეხვედრა გაიმართება 20 ნოემბერს, 14 საათზე*

**გიორგი ბიკაშვილი**

ამ უქმეებზე კიდევ ერთხელ და ვინ მოთვლის მერამდენედ ჩაუპაჭუნა შუქმა თვალი ქართულ კალათბურთს. შედეგად, კვირას გასამართი „მაკაბი" — სტუ ენერგოკრიზისის მორიგი მსხვერპლი შეიქნა. ადრე თუ გვიან ეს მატჩი აუცილებლად ჩატარდება, მაგრამ ეს არ გახლავთ მთავარი, ამაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ჩვენი კალათბურთის გაუსაძლისი ყოფა ყოველგვარ ზღვარს გადასცდა და იმედის (შუქის) სხივიც არსაიდან გამოკრთის. ეს უკვე მეტისმეტია, ამ პირობებში ყველაფერს აზრი ეკარგება. თავს ნუ მოვიტყუებთ, ნუ ვირწმუნებთ, რომ გვაქვს საკალათბურთო ჩემპიონატი, როცა კალათბურთზე ხშირად საუბარი შუქზე, დენზე, თელასზე და მისთანებზე გვიწევს.

ჩაბნელებულ დარბაზში სტუ და „მაკაბი" მოთელვას იმ იმედით შეუდგნენ, რომ მოედანი მალევე განათდებოდა. თამაშმოწყურებული გუნდები ბარე ნახევარი საათი ამაოდ ელოდნენ შუქს, რის შემდეგაც ფედერაციამ მეტოქეთ ბნელში თამაში შესთავაზა. ეს წინადადება „მაკაბისთვის" მისაღები აღმოჩნდა, სტუ-მ კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ამ პირობებში თამაშს არ ვაპირებთო. სტუდენტურ კლუბს ამის უფლება დიახაც რომ ჰქონდა, ამიტომ ფედერაცია წინ ვერ აღუდგა მის გადაწყვეტილებას და მხარეები მატჩის გადატანის თაობაზე თათბირს შეუდგნენ. თავდაპირველად ორშაბათი ითქვა, მაგრამ ამაზე „მაკაბი" გაჯიქდა: ხვალ უკრაინაში მივემგზავრებით საერთაშორისო ტურნირზე, თვითმფრინავის ბილეთები უკვე ავიღეთო. ამას, ცხადია, ყველამ ანგარიში გაუწია და საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ შეხვედრა 20 ნოემბერს, 14.00 საათზე გაიმართება.

ამასობაში, ზუსტად 33 წუთის დაგვიანებით, შუქიც მოვიდა. არიქა, გვეშველა, ახლავე ვითამაშოთო, იფიქრეს, თუმც მერე სტუ-ს მთავარი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი გამოვიდა სიტყვით: ბიჭები უკვე დავითხოვე, ახლა როგორ შევაქუჩოო. სხვა რა გზა იყო, „მაკაბიმ" ორმხრივი თამაში გააჩაღა და მერვე ტურშიც ერთგვარი „ფანჯარა" გაჩნდა.

ვერის ბაღში შეკრებილმა გულშემატკივარმა ერთხანს „მაკაბის" შავკანიანების ყურებით შეიქცია თავი, მერე კი ტურის ცენტალური მატჩი, „აზოტი" — თსუ დაიწო.

თსუ ყოველმხრივ მობილიზებული წარსდგა რუსთაველთა წინააღმდეგ. სტუდენტებმა ზონური დაცვა შეაგებეს მეტოქეს და სწრაფ შეტევებზე იწყეს ფიქრი. ამან ნაყოფი გამოიღო, პირველ შეტევაზე გოჩა არსიაშვილის ზედიზედ ორ ჩაგდებულს გიორგი მარკოიშვილმა 2 ქულაც წაამატა და თსუ 6:0 დაწინაურდა. ზვიად ბაბიაშვილმა და ზაზა გაბისონიამ მალევე გაქვითეს 5 ქულა, მაგრამ მათ თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს და კვლავაც სტუდენტთა უპირატესობა გამოიკვეთა. თსუ-ს გამთამაშებელი ირაკლი მაისურაძე კარგად უძღვებოდა თავისიანთა შეტევებს, თამაშის რიტმს მართავდა და თანაგუნდელებს პასს არ უგვიანებდა. მისი გადაცემის შემდეგ არსიაშვილმა ფრთიდან სამქულიანი ჩააგდო და ზაზა ზამთარაძის გუნდი ოთარ ხმელიძისას მატჩში პირველად მოსწყდა 10 ქულით — 17:7.

ხმელიძემ წუთშესვენებით ისარგებლა, რის შემდეგაც გამოჩნდა, რომ „აზოტმა" ფარის დაპყრობა დაისახა მიზნად. ფარქვეშ თსუ-ს მაღლები, გულივერ ახალკაცი და შოთა მაჭარაძეც ფხიზლობდნენ და რაკი „აზოტმა" ვერც ჩანაფიქრი განახორციელა და გარედანაც არ წაუვიდა თამაში, პირველი მეოთხედი 13:20 დათმო.

მეორე მეოთხედში ზამთარაძემ ექსპერიმენტული ხუთეული დაუპირისპირა მოწინააღმდეგეს — მაისურაძისა და მაჭარაძის ნაცვლად თამაშში ირაკლი ბერიშვილი და ზურაბ სანიკიძე ჩართო. ეს უკანასკნელი ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, თამამად ჩაება თამაშში, ფარქვეშ ბრძოლისას თავისზე ბევრად ნაცად მეტოქეებს ტოლი არ დაუდო და ოდნავ შემცბარ სტუდნეტებს მორიგი ჩაგდებულით კვლავაც 10-ქულიანი უპირატესობა შეუნარჩუნა.

თავის მხრივ, გამუდმებით გამოსავლის ძიებაში იყო ოთარ ხმელიძეც. სათადარიგო კალათბურთელები რუსთაველთა მწვრთნელმაც დაასაქმა, მაგრამ ამას ისეთი ეფექტი არ მოჰყოლია. და, რაც მთავარია, „აზოტმა" ვერ შეძლო თამაში ფარქვეშ შეეტანა და ამ მიზეზით რუსთაველთა მაღლების, ბერუაშვილისა და ბაბიაშვილის გარჯა უნაყოფო იყო. შედეგად ტაიმი 12 ქულით მოიგო თსუ-მ, რაშიც ლომის წილი ზურაბ სანიკიძემ დაიდო.

შესვენების შემდეგ ერთიორად გახსნილი თამაში გაჩაღდა. ერთხანს 15 ქულით დაწინაურებულ თსუ-ს თითქოს დაღლაც დაეტყო და რამდენჯერმე მეტოქის სწრაფი შეტევა გაეპარა. ზამთარაძემ მაისურაძე დააბრუნა მოედანზე, მაგრამ სტუდენტთა უკანა ხაზი ძველებურად შეთანხმებულად ველარ თამაშობდა და ამისათვის ჯერ გაბისონიასგან დაისაჯნენ სამქულიანით, შემდეგ — კოკოლიშვილისგან. ამან თსუ კიდევ უფრო დააპანიკა, რაც „აზოტის" გამთამაშებელ არჩილ ჟღენტს არ გამოჰპარვია. მან ზედიზედ ხუთი ქულა მოინაგრა და ჩამორჩენა ოთხ ქულამდე შეამცირა.

აქ ზამთარაძემ წუთშესვენება ითხოვა, რაც პირადად ჩემი აზრით, ცოტა დაგვიანებულიც იყო. მაჭარაძისა და არსიაშვილის გამოყვანაც უფრო ადრე მართებდა თსუ-ს მწვრთნელს, რადგან ახალგაზრდების ნაცვლად გამოცდილ კალათბურთელთა დასაქმებას იმ დროისათვის აშკარად ითხოვდა თსუ. ამასობაში საბოლოოდ გამოერკვა „აზოტი" და დაშავებული გაბისონიას ნაცვლად მოედანზე დაბრუნებული მამუკა ტურაშვილის სამქულიანის, ჟღენტის სწრაფი გარღვევისა და ბერუაშვილის ზუსტი საჯარიმოს შემდეგ ჩამორჩენა მინიმალურამდე შეამცირა — 56:57. მესამე მეოთხედის სწორედ ამ სხვაობით გასცილდნენ მეტოქეები ერთმანეთს.

ბოლო ათწუთეული „აზოტის" სრული უპირატესობით წარიმართა. ზვიად ბაბიაშვილმა მალე მატჩში პირველად დააწინაურა თავისიანები — 58:57, ნუგზარ კოკოლიშვილის სამქულიანმა კი მთლად მოშალა თსუ. სტუდენტური გუნდი პანიკაში ჩავარდა და სხვა რომ ალარაფერი გამუვიდა, ნაჩქარევი სამიანებით სცადა ფონს გასვლა, რაც, ცხადია, უშედეგო იყო. რუსთაველებმა კი ამასობაში გაილაღეს, ოთხნახევარი წუთი 12:0 მოიგეს და დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე 11-ქულიანი მარაგი შეიქმნეს — 68:57. თსუ-მ ერთხანს კიდევ გაიფაფხურა, თუმც მამუკა ტურაშვილმა მალევე დააშმათა სტუდენტობა — ზედიზედ ორი სამქულიანით მეტოქეს ბრძოლაზე ხელი აალებინა.

კვირას ერთმანეთს მეათე ჩემპიონატში მოუგებელი „დინამო" და სსუ-ც დაუპირისპირდნენ. ტაიმის მიწურულს მსაჯმა დავით ანდრიაძემ სოხუმელი გოგიტა ბერია დაითხოვა მოედნიდან, რადგან ამ უკანასკნელმა ტექნიკურით დასჯის შემდეგაც განაგრძო გინება არბიტრის მისამართით. ამას კიდევ რა უჭირს, შესვენებაზე ბერიამ ანდრიაძეზე საცემრადაც გაიწია. მსაჯის ბედად გაცეცხლებულ სსუ-ელს წინ გადაუდგნენ, თორემ გამორიცხული არ არის, ბერიას გვარიანი ზიანი მიეყენებინა ანდრიაძისთვის. სოხუმელის ქმედებამ ძალიან განარისხა ფედერაცია და კალათბურთელს მკაცრი სასჯელითაც დაემუქრა.

ამ ფაქტმა მთლად მოსპო სსუ, რომელიც მანამდეც ძნელად უმკლავდებოდა ლევან მოსეშვილის „დინამოს". თბილისელებმა დავით თორთლაძის წინამძღოლობით ბოლო მეოთხედის საწყისი ხუთწუთეული 22:0 მოიგეს, მატჩს აზრი დაუკარგეს და სსუ-ც ერთადერთ გუნდად დატოვეს, რომელსაც წლეულს გამარჯვება არ უგემია.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 8 | 8 | 0 | 823:539 | 16 |
| აზოტი | 7 | 6 | 1 | 566:454 | 13 |
| თსუ | 7 | 4 | 3 | 636:632 | 11 |
| სტუ-ჯეოსელი | 6 | 4 | 2 | 595:549 | 10 |
| ვითა-სტუ 2 | 8 | 2 | 6 | 644:791 | 10 |
| შევარდენი | 7 | 3 | 4 | 562:612 | 9 |
| მაკაბი | 6 | 3 | 3 | 546:504 | 9 |
| დინამო | 6 | 1 | 5 | 500:589 | 7 |
| სსუ | 7 | 0 | 7 | 492:694 | 7 |

*შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა*

**3 ტური**

14 ნოემბერი. ვერის ბაღი. 14 საათი

**დინამო — შევარდენი**



აზოტი — თსუ. გიორგი მარკოიშვილი (მარცხნივ) აზოტელი ზვიად ბაბიაშვილის წინააღმდეგ

# კლემანმა მამას ულვაში გაპარსა

**სანკტ პეტერბურგის ღია პირველობა. რუსეთი. დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 800 ათასი $**

**მეოთხედფინალი: მარატ საფინი (1, რუსეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:4, 1:6, 6:3; ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 6:3, 6:4; დომინიკ ჰრბატი (3, სლოვაკეთი) — ვლადიმირ ვოლჩკოვი (ბელარუსი)6:2, 4:6, 6:4; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ჯარედ პალმერი (აშშ) 6:1, 6:3**

**ნახევარფინალი: საფინი — ბიორკმანი 6:4, 6:4; ჰრბატი — კაფელნიკოვი 7:5, 6:3**

**ფინალი: საფინი — ჰრბატი 2:6, 6:4, 6:4**

„ზოგჯერ ჩოგნის გატეხვა გშველის. რაღაცნაირად შენში დაგროვილი ცუდი ენერგია გარეთ ხომ უნდა გამოუშვა, ეს კი იდეალური საშუალება ამისთვის. მერე უფრო მშვიდად გრძნობ თავს" — ეს სიტყვები აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონ მარატ საფინს ეკუთვნის.

და მაინც, ამ ჰიპოთეზის მართებულობა საეჭვოა. მაგალითად იგივე საფინი გამოდგება: სანკტ პეტერბურგის ღია პირველობის ფინალში საკუთარი უნიათო თამაშით აღშფოთებულმა რუსმა ჩოგანი კორტს ისეთი ძალით ხეთქა, იქვე ბოლო მოუღო, გრაფიტის ერთი ნამტვრევი კი მკლავში შეესო და ექიმის დახმარება დასჭირდა.

ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა, ნამტვრევი სტრატეგიულად უფრო მნიშვნელოვან ორგანოს, ან თუნდაც სხვა პირს მოხვედროდა — 20 წლის ზორბა რუსი სერიოზულ ტრავმას თუ არა, დისკვალიფიკაციას მაინც გამოჰკრავდა ხელს. ასე კი საფინმა მხოლოდ სამი წუთი იწამლა და სულელური გამოხტომისთვის მეტოქესა და მაყურებლებს მოუბოდიშა.

„მითხრა — ბოდიში, რომ ლოდინი მოგიხდაო, მე კი ვუპასუხე, არა უშავს, შენ დაშავდი, მე ხომ არაფერი მომსვლია-მეთქი" — გაიხსენა მოგვიანებით ჰრბატიმ. ჩოგნის გატეხვის თეორიამ კი როგორღაც ამჯერადაც დადებითი შედეგი გამოიღო. პირველი სეტის წაგებისა და მეორე ხელში 1:3 ჩამორჩენის შემდეგ საფინმა უპირატესობა მტკიცედ იგდო ხელთ, ჯერ ზედიზედ ოთხი გეიმი მოიგო და 14 ეისის დახმარებით მატჩიც უპრობლემოდ მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე.

ამრიგად, რუსმა სამშობლოში კარიერის პირველი, სეზონში კი უკვე მეექვსე ტიტული მოიპოვა, წლეულს დაგროვილი საპრიზოებით ორ ნახევარ მილიონ დოლარს მიუკაკუნა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „ჩემპიონთა რბოლა 2000"-ში თავის უმთავრეს კონკურენტ, გუსტავო კუერტენს გადაასწრო.

„თანამემამულეების თვალწინ გამარჯვება, თანაც კლასიფიკაციის სათავეში მოქცევა უდიდესი სიამოვნებაა. საუკეთესო ფორმის მისაღწევად ერთი-ორი მატჩი კიდევ მჭირდება, იმედია, პარიზში (მასტერსის სერიის უკანასკნელ სუპერტურნირზე) უკვე სრული ძალით ვითამაშებ. საჭიროა, იქაც დავაგროვო აუცილებელი ქულები და მდევრებს უფრო მეტად გავუსწრო" — აღნიშნა რუსმა.

რუსთა საოცნებო ფინალი ისევ არ შედგა: საფინის თვისტომმა ევგენი კაფელნიკოვმა ნახევარფინალში რვიდან მეშვიდე პირადი შეხვედრა დათმო ჰრბატისთან. სამაგიეროდ, სოჭელმა ლისაბონში, „მასტერსის თასზე" მოსახვედრი საგზური გაინაღდა.

**ლიონის გრან პრი. საფრანგეთი. დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 800 ათასი $**

**მეოთხედფინალი: პატრიკ რაფტერი (8, ავსტრალია) — გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) 6:3, 6:4; ანდრე აგასი (2, აშშ) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 6:1, 7:5; ჰიშამ არაზი (მაროკო) — ტომას ენკვისტი (3, შვედეთი) 6:7 (6:8), 7:6 (8:6), 6:4; არნო კლემანი (საფრანგეთი) — რაემონ სლუიტერი (ჰოლანდია) 6:3, 3:6, 7:6 (7:5)**

**ნახევარფინალი: კლემანი — აგასი 6:3, ტრავმა; რაფტერი — არაზი 6:3, 6:4**

**ფინალი: კლემანი — რაფტერი 7:6 (7:2), 7:6 (7:5).**



არნო კლემანი



მარატ საფინი

თანამედროვე ჩოგბურთში, სადაც სულ უფრო მეტი ყურადღება და მნიშვნელობა ეთმობა ფიზიკურ მონაცემებსა და ათლეტურობას, ქალი თუ კაცი მოთამაშეები კი თანდათან კალათბურთელისა და ძალოსნის ნაჯვარს ემსგავსებიან, თითზეა ჩამოსათვლელი ჩოგბურთელები, ჯან-ღონით და სიმაღლით გაცილებით აღმატებულ მეტოქეებთან გამკლავება რომ შეუძლიათ.

მაიკლ ჩანგისა და მარსელო რიოსის გარდა ჩია მოთამაშეების აბსოლუტური უმრავლესობა ამჟამად ფრანგები არიან — ფაბრის სანტორო, სებასტიან გროსჟანი და ლიონის ტურნირის გამარჯვებული არნო კლემანი სიმაღლეში 170 სანტიმეტრს ან ვერ, ან ოდნავ არიან გადაცილებული.

მუდმივად ბენდენამორგებულ კლემანს ბუნებამ კიდევ ერთი დაბრკოლება შეუქმნა სპორტული კარიერის გზაზე — მას მხედველობაც ვერ უჭრის მაინცდამაინც და თამაში უზარმაზარი სათვალით უხდება. ყველა ხელისშემშლელი პირობის მიუხედავად, ფრანგი იოლად არავის ეჩაგვრინება და სეზონის ბოლოს, ალბათ, საუკეთესოთა ოცეულშიც დამკვიდრდება.

თანამემამულეთა მხურვალე მხარდაჭერით და მცირეოდენი იღბლის ხელშეწყობით კლემანი ნახევარფინალში ტრავმირებულ ანდრე აგასის გასცდა, ფინალში კი რკინის ნერვები გამოიჩინა და მსოფლიოს კიდევ ერთი ყოფილი პირველი ჩოგანი, პატრიკ რაფტერიც შეიწირა.

„ეს ჩემი პირველი ტიტულია, ამიტომ ძალიან ავღელდი. აქ გამარჯვება ჩემთვის სხვადასხვა მიზეზების გამო მნიშვნელოვანი იყო. ჯერ ერთი, ეს საფრანგეთია, მეორეც, ახლა მამაჩემს თავისი დაპირების შესრულება და ულვაშის მოპარსვა მოუწევს" — განაცხადა ბედნიერმა ჩემპიონმა.

**ფილადელფია. აშშ. „ადვანტას პირველობა". დარბაზი, თიხნარი.
საპრიზო 550 ათასი $**

**მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ანა კურნიკოვა (6, რუსეთი) 6:4, 6:0; ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ამანდა კუტცერი (7, სამხრეთ აფრიკა) 6:1, 1:6, 6:1; კონჩიტა მარტინესი (3, ესპანეთი) — ჰოლი პარკინსონი (აშშ) 6:2, 6:0; ნატალი ტოზია (9, საფრანგეთი) — ჟული ალარი (საფრანგეთი) 6:4, 6:4.**

**ნახევარფინალი: ჰინგისი — ტოზია 6:1, 6:2; დევენპორტი — მარტინესი 6:0, 6:1.**

**ფინალი: დევენპორტი — ჰინგისი 7:6 (9:7), 6:4.**

„ადვანტას პირველობაზე" მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნებმა, მარტინა ჰინგისმა და ლინდსი დევენპორტმა „ჩეიზის" მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ნამდვილი გენერალური რეპეტიცია მოაწყვეს: დები უილიამსებისა და მარი პირსის არყოფნაში სასწაული უნდა მოხდეს, „მედისონ სკვერ გარდენში" გადამწყვეტ მატჩშიც იგივე მოთამაშეები რომ არ ვიხილოთ.

მთავარ მეტოქესთან ზედიზედ ორჯერ დამარცხების შემდეგ დევენპორტმა ამჯერად შური იძია: პირველი ხელის ტაი-ბრეიკზე სამ სეტ-პოინტს დაუძვრა და ჰინგისს გამარჯვებათა 15-მატჩიანი სერია შეაწყვეტინა.

შვეიცარიელი ამჯერადაც წამგებიანი, თავდაცვითი ტაქტიკით თამაშობდა და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, მეორე სეტში 1:5 რომ ჩამორჩა. მარტინამ აქ ფრთები გაშალა, ერთი-ორი ჯანიანად მოიქნია და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, თუმცა სამაშველო ექსპედიციამ ოდნავ დააგვიანა.

**ავთანდილ სვანიძე**



# თასისკენ რიოდან გაცურეს

**მოცურავეთა** ახალი სეზონი მსოფლიოს თასის პირველი ეტაპით დაიწყო. რიო დე ჟანეიროში 19 ქვეყნიდან 105 ვაჟი და 80 ქალი ჩავიდა. ძალიან ელიტარულებს იმათ ვერ ვუწოდებთ, მაგრამ რამდენიმეს ისეთს დავასახელებთ, რომლებიც სიდნეის ოლიმპიადზე წარმატებებით გამოირჩნენ: ბრაზილიელი გუსტავო ბორგესი ან კიდევ კრისტინა ტოიშერი — ისინი ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორები არიან. რუსი დენის პანკრატოვიც სიდნეიში მხოლოდ ფინალისტი იყო და უმედლოდ დარჩა, მაგრამ ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონია. პანკრატოვმა რიოში თავი მაინცდამაინც ვერ გამოიჩინა, ბატერფლაით 50 მეტრზე ცურვაში ბრაზილიელ ნიკოლას დუშ სანტუშთან 0.03 წამი წააგო და მეორე ადგილს დასჯერდა. პანკრატოვი და მისი თვისტომი ალექსანდრ პოპოვი შანხაიში მეორე ეტაპზე გამოსვლას აპირებენ, თანაც ორ-ორ დისციპლინაში. შესაბამისად, ბატერფლაისა და თავისუფალს მათ გულაღმა ცურვაც დაამატეს, რომელსაც კარიერის დასაწყისში ორივე აქტიურად მისდევდა.

თასის გათამაშება 28 იანვრამდე გასტანს და 10 ეტაპს მოიცავს. რიო დე ჟანეიროდან მოცურავენი ვაშინგტონს გადავლენ (15 ნოემბერს), მერე იქნება ედმონტონი კანადაში (18-19 ნოემბერი), ჩინური შანხაი (1-2 დეკემბერი) და ავსტრალიური მელბურნი (5-7 დეკემბერი). წლევანდელი გეგმაც ამით ამოიწურება, ხოლო ნა[illegible] ლობას ბებერი კონტინენტი გასწევს: ნეაპოლი (13-14 იანვარი), ინგლისური შეფილდი (17-18 იანვარი), ბერლინი (20-21 იანვარი), სტოკჰოლმი (24-25 იანვარი) და პარიზი (27-28 იანვარი). შემდგომ ეტაპებზე უფრო სახელიან მოცურავეთა ხილვაც მოსალოდნელია.

**დავით გულუა**

**ცურვა. მსოფლიოს თასი. რიო დე ჟანეირო
I ეტაპი**

ქალები

**200 მ. თავისუფალი. კარენ პიკერინგი (დიდი ბრიტანეთი) 1.58,44; 100 მ. ბრასი. სარა პევე (სამხრეთ აფრიკა) 1.08,84; 100 მ. ბატერფლაი. იუ რუანი (ჩინეთი) 1.00,65; 50 მ. გულაღმა. ფაბიოლა მოლინა (ბრაზილია) 29,31; 200 მ. კომპლექსური. კრისტინა ტოიშერი (აშშ) 2.12,59; 50 მ. თავისუფალი. ნადინ როლანი (კანადა) 25,34; 800 მ. თავისუფალი. ნაიარა რიბეირო (ბრაზილია) 8.35,28; 200 მ. გულაღმა. მოლინა 2.14,87.**

ვაჟები

**100 მ. თავისუფალი. დევიდ ჯენკინსი (ავსტრალია) 48,95; 50 მ. გულაღმა. მორგან კნაბე (კანადა) 28,19; 400 მ. კომპლექსური. ირკა ლეტცინი (გერმანია) 4.17,70; 100 მ. გულაღმა. ბო მანიკე (ავსტრალია) 53,94; 200 მ. ბატერფლაი. ჰიტ რემსი (ავსტრალია) 1.57,04; 400 მ. თავისუფალი. ლუის ლიმი (ბრაზილია 3.51,42; 200 მ. ბრასი. ფაბიო მაურო (ბრაზილია) 2.14,43; 100 მ. კომპლექსური. ლეტცინი 55,38; 50 მ. ბატერფლაი. ნიკოლაე დუშ სანტუში (ბრაზილია) 24,20.**



10 ნოემბერი

**კაროლინა — ტორონტო 3:1**

1:0 1:0 1:1

**ტამპა — მონრეალი 3:1**

1:0 0:1 2:0

**ფლორიდა — კალგარი 3:3**

1:1 1:2 1:0 0:0

**ჩიკაგო — მინესოტა 2:5**

2:2 0:0 0:3

**ნიუ ჯერსი — პიტსბურგი 2:4**

1:1 0:1 1:2

11 ნოემბერი

**ფილადელფია — ოტავა 4:3**

1:0 2:3 1:0

**ბოსტონი — ნეშვილი 2:2**

0:1 1:1 1:0

**ნიუ ჯერსი — ბუფალო 0:4**

0:1 0:0 0:3

**პიტსბურგი — ედმონტონი 5:2**

1:0 1:1 3:1

**აილენდერსი — სან ხოსე 0:4**

0:1 0:2 0:1

**კოლუმბუსი — ფინიქსი 2:1**

1:0 1:1 0:0

**ტამპა — კალგარი 3:4**

0:1 1:2 2:1

**კოლორადო — ანაჰაიმი 3:1**

0:1 1:0 2:0

**ვანკუვერი — სენტ ლუისი 2:5**

0:0 1:1 1:4

**ლოს ანჯელესი — დეტროიტი 2:2**

0:0 0:2 2:0 0:0

**დალასი — მონრეალი 2:0**

0:0 1:0 1:0

**ტორონტო — ჩიკაგო 3:3**

0:1 1:0 2:2 0:0

12 ნოემბერი

**კაროლინა — ოტავა 4:0**

2:0 1:0 1:0

**რეინჯერსი — ფინიქსი 0:2**

0:0 0:1 0:1

**ვაშინგტონი — ატლანტა 2:2**

0:0 1:2 1:0 0:0

**ანაჰაიმი — დეტროიტი 2:3**

0:2 2:1 0:0

**მინესოტა — ედმონტონი 4:5**

1:1 1:2 2:1 0:1




ვანკუვერი — სენტ ლუისი. ვანკუვერელებს ვერც მეკარე ფელიქს პოტვინმა და ვერც მცველმა ედ ჟოვანოვსკიმ უშველა



იმზარ ჯინაიშვილი

სტამბოლიდან

# გადახალისდა და გახალისდა

შეიძლება ითქვას, რომ არავინ, ალბათ თავად ჩვენი ნაკრების წევრებიც არ ელოდნენ ბულგარელებთან ასეთი ანგარიშით მოგებას. ბულგარეთი სულაც არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი — არც გუნდური რეიტინგით და არც ინდივიდუალურით — ვესელინ ტოპალოვს კოეფიციენტი 2700-ზე მეტიც კი აქვს. მათ სტამბოლში დაამარცხეს მომავალი ჩემპიონები რუსები, მოუგეს ვერცხლის პრიზიორებს — გერმანელებს.

ჩვენების შემადგენლობას უფრო ექსპერიმენტულს თუ დაარქმევდი. აზმაიფარაშვილი და სამი დებიუტანტი — გუნდმა ამ შემადგენლობით აქ ორჯერ ითამაშა — პირველ ტურში (4:0) და მეოთხეში შვედეთთან (1,5:2,5), ბოლოსწინა ტურში კი დაისვენეს ოლიპიადებში გამობრძმედილმა გია გიორგაძემ და ზურაბ სტურუამ; ასეთი გადაწყვეტილების მიღება, დამეთანხმებით, გარკვეული რისკია. გიას ობიექტური მიზეზების გამო სათამაშო პრაქტიკა აკლდა, ის თითქმის ერთი წელი არ თამაშობდა და ბევრი ენერგიის დახარჯვა უწევდა ყოველ პარტიაზე, თანაც ამ ტურში შავებით თამაშისგანაც თავი შეიკავა. ზურაბ სტურუამ ზედიზედ ათი პარტია ითამაშა, კარგი თამაშიც აჩვენა და ჯერ კიდევ მეტოქის გარკვევამდე, ანუ კენჭისყრამდე, განაცხადა, — ველარ ვითამაშებო.

ზურაბ აზმაიფარაშვილმა და ტოპალოვმა სულ რამდენიმე წუთში ხელი მოაწერეს ზავს. ტურის მესამე საათის მიწურულს ზურაბ სტურუამ მიმდინარე მატჩს ასეთი შეფასება მისცა: „ყველგან გაურკვეველი ვითარებაა, ბრძოლები წინაა, საგანგაშო არაფერია, პირიქით, ჩვენები სამივე პარტიაში უფრო პერსპექტიულად დგანან.“ ამ სიტყვებიდან 15-20 წუთში თამაზ გელაშვილმა პირველი ქულა მოუტანა ჩვენს გუნდს. შემდეგ ცუდი „ჯენტლმენობა“ გამოიჩინა ბაადურ ჯობავამ მეოთხე დაფაზე ანტუანეტა სტეფანოვასთან. (ერთ-ერთ რეპორტაჟში ვწერდით, რომ სამი ქვეყნის მამაკაცთა ნაკრებში — ბულგარეთი, უნგრეთი, შვედეთი, გოგონებიც გამოდიან მეთქი. უზუსტობა უნდა გავასწოროთ: სეიშელის ნაკრებშიც ერთი გოგონა — ამელია პაეიეტი ირიცხებოდა). ორთავე ცაიტნოტში აღმოჩნდა — 25 სვლისთვის 10-12 წუთი რჩებოდათ. თეთრებით ბულგარელმა გოგონამ უპირატესობა ვერ მიიღო, უფრო მეტიც, მისი მხედარი რატომღაც a3-ზე აღმოჩნდა და ნახევარი პარტია სწორედ იქ გაატარა. უსაქმურად დასკუპებულ, მოწყენილ ცხენს რომ შევხედე, გამახსენდა კასპაროვ-კრამნიკის ლონდონის მატჩის მე-7 პარტია. მაშინ თეთრებით გარიმ უკვე მე-11 სვლაზე ითამაშა მხედრით a ვერტიკალურზე და ეს სვლა ვითომ სიახლედ მოინათლა. იგი სიახლე აღმოჩნდა მხოლოდ პირველ-მეორე თანრიგოსანი მოჭადრაკეების დონეზე. მსოფლიოს მამინდელმა ჩემპიონმა ამ სვლას ყაიმის შეთავაზებაც მიაყოლა. სტამბოლში ბაადურმა შანსი არ დაუტოვა მეტოქეს. პირველი კონტროლისთვის ორი ზედმეტი პაიკი ჰქონდა, ხოლო მოწინააღმდეგეს სრულიად დანგრეული პოზიცია. სტეფანოვა ინერციით ცოტა ხანს კი გაუძალიანდა, მაგრამ ამაოდ. ბრწყინვალე პარტია გამოუვიდა მეორე დაფაზე მოთამაშე გიგა ყაჭეიშვილს კირილ გეორგიევთან. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ გიგას ნაკლებად უმართლებდა სტამბოლში, მაგრამ 10 ნოემბერს კარგ ფორმაში იყო. შესანიშნავი კომბინაცია დამანგრეველი შეტევით, ერთ მომენტში ლაზიერიც კი შესთავაზა პაიკის სანაცვლოდ, მისი არ მიღებით ბულგარელმა მხოლოდ რამდენიმე სვლით გაიხანგრძლივა სათამაშო მაგიდასთან ჯდომა.

მოკლედ 3,5:0,5 და კარგი შანსი არა მარტო ათეულში მოსახვედრად, არამედ მის პირველ ნახევარში ადგილის დასამკვიდრებლად. დარბაზში იყო მილოცვები და შექების შეძახილები. დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ჩვენს თამაშს სომხები — ისინი გვერდით რიგში ეპაექრებოდნენ ჩინელებს და რაფაელ ვაგანიანმა პირველ დაფაზე ძალზე სწრაფად მიიღო „ბუბლიკი“. „ვერც კი წარმომიდგენია, ჩვენ მთელი ტურნირი ლიდერთა ჯგუფში ვიყავით, თქვენ კი შეიძლება გაგვასწროთ კიდეც ფინიშზე“ — მეუბნება სომეხთა კაპიტანი პეტროსიანი.

საქართველოს ქალთა ნაკრების ამოცანა ის იყო, რომ ამ ტურშივე ყაზახეთის წარმომადგენლებთან თამაშისას მოემთავრებინათ საქმე და ვერცხლი გაენაღდებინათ — საჭირო იყო დიდი ანგარიშით მოგება. ეს კიდეც მოხერხდა — ნინო ხურციძემ და ნანა იოსელიანმა ორქულიანი სხვაობით უზრუნველყვეს ჩვენების მოგება. მაიამ ისევ ყაიმი ითამაშა, უკვე ზედიზედ მეოთხე.

ნინო ხურციძემ ოლიმპიადაზე 12 პარტია ითამაშა, აქედან შვიდი შავი ფიგურებით და მოაგროვა 10 ქულა. ბრწყინვალე შედეგია, რომელმაც მას მცირე ოქროს მედალი მოუტანა.

ამასობაში პრიზიორთა ვინაობაც გაირკვა. რუსეთის ნაკრებმა კიდევ ერთი სერიოზული განაცხადი გააკეთა იმის თაობაზე, რომ არ აპირებდა ელისტაში მოპოვებული ვერცხლის მედლების დათმობას. რუსებმა მეცამეტე ტურში კვლავ მშრალად 3:0 მოუგეს პოლონელთა საკმაოდ ძლიერ გუნდს და საქართველოს ნაკრებთან სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირეს. ეს ნიშნავდა, რომ ჩვენებს ძალზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ბრძოლა ექნებოდათ ბოლო ტურში კუბელებთან.

ორიოდე სიტყვა საჭადრაკო ოლიმპიადის პარალელურად მიმდინარე ფიდეს 71-ე კონგრესის შესახებ. მკითხველისთვის საინტერესო იქნება იმის გაგება, რომ ფიდესთან შეიქმნა სპეციალური კომერციული სამსახური, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფს მისი ეგიდით ჩატარებულ შეჯიბრებებს და ამ მიზნით, რომ იტყვიან, ყოველწლიურად მოიზიდავს სამნახევარ მილიონ დოლარს, რომლისგანაც ნახევარი მილიონი ქალთა პროგრამებს დაფარავს, ხოლო სამი მილიონი ვაჟთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარებას მოხმარდება. საფრთხის ქვეშ იყო წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება ინდოეთში, ამ თვის მესამე დეკადაში რომ იგეგმება და რომელშიც საქართველოს 10 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. საქმე ისაა, რომ ინდოელებმა და ირანელებმა ვერ შეძლეს საჭირო თანხის შეგროვება და ბოლო მომენტში თავად ფიდეს პრეზიდენტს „შეეწერა“ ფულის შოვნა. კონგრესის წინაშე კიდევ იდგა ორი მნიშვნელოვანი საკითხი — ფიდეს ეგიდით შეჯიბრებათა სისტემის ჩამოყალიბება და სათამაშო რეგლამენტში ცვლილებების შეტანა. სოკ-ის მოთხოვნათა შუქზე ორთავე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. მაგრამ კონგრესის დელეგატებს ამის თაობაზე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ და იგი ახლო მომავლისთვის გადადეს. ჯერჯერობით გრძელდება დებატები მოჭადრაკეთა შორის დოპინგზე ტესტირების ჩატარების საკითხებთან დაკავშირებით.

...ოლიმპიადის ბოლო ტურის პარტიები უკვე დილის 10 საათზე დაიწყო. საქართველოს ქალთა ნაკრებმა თავისი მაღალი კლასის კიდევ ერთი დემონსტრირება მოახდინა და რუსეთის ნაკრებს მეორე ადგილისთვის არავითარი შანსი არ დაუტოვა. ამ ტურში ჩვენმა ნაკრებმა ნანა იოსელიანის, ნინო ხურციძის და ნინო გურიელის შემადგენლობით 3:0 სძლია კუბელებს. თავის მხრივ ჩინელებმა განაღდებული პირველობის პირობებში ყაიმით ითამაშეს უნგრელებთან. რუსეთის ნაკრებს, ცხადია, ყოველგვარი სტიმული წაერთვა — ვერცხლს უკვე ველარ შეხწვდებოდნენ, ხოლო ბრინჯაოსთვის საპრეტენზიო არავის ჰქონდა. საერთო ჯამში ერთი ქულით ჩამორჩით საჭადრაკო ოლიმპიადების უკვე ორგზის გამარჯვებულებს — ჩინელებს.

ოლიმპიადის ჩემპიონებთან ბოლო ტურში ნაჩვენებმა შედეგებმა და რუსეთთან ძირითადი შემადგენლობით (აზმაიფარაშვილი, გიორგაძე, სტურუა, ყაჭეიშვილი) მიღწეულმა ფრემ ქართველებს შეუნარჩუნა ადგილი პირველ ათეულში (მე-6 ადგილი) და მსოფლიოში ერთ-ერთი სტაბილური გუნდის იმიჯი.

ვაჟთა 34-ე და ქალთა მე-19 მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაში საქართველოს ნაკრებთა გამოსვლის მოკლე კომენტარი ვთხოვე ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს: „ადამიანთა ნაწილს სამწუხაროდ მოკლე მეხსიერება აქვს. აბა, გაიხსენეთ რა სიტუაცია იყო ჭადრაკის სამყაროში ამ ცოტა ხნის წინ. საბედნიეროდ სალმა აზრმა გაიმარჯვა. ჩვენ შევძელით სტამბოლში უძლიერესი შემადგენლობით გვეთამაშა.

სამწუხაროდ, თამაში არ წაუვიდა მაია ჩიბურდანიძეს. ყველა დიდი სპორტსმენის ცხოვრებაში არის მსგავსი მომენტები. სამაგიეროდ, გუნდის დანარჩენმა წევრებმა დიდი შემართებითა და მობილიზებით ითამაშეს. ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა ოლიმპიადზე ნინო ხურციძემ: მან ხომ 14-დან 13 ტური ითამაშა, 11 ქულა და მცირე ოქრო მართლაც რომ ალალია მასზე. გუნდში ნამდვილი ლიდერის ფუნქცია იტვირთა ნანა იოსელიანმა. მისი შედეგი პირველ და მეორე დაფებზე ძალზე მაღალია: 9 ქულა 12-დან, ნინო გურიელის მიერ ნაჩვენები შედეგიც ძალზე კარგია — 7-დან 5,5 ქულა.

ვაჟთა ნაკრების გამოსვლა — მეექვსე ადგილი, საუკეთესოა ოლიმპიდებზე დღემდე ნაჩვენებ შედეგებს შორის და უდავოდ წარმატებულად უნდა ჩაითვალოს. მარტო ის რად ღირს, რომ გუნდი სანახევროდ შეიცვალა და ახალგაზრდებმა არა მარტო კარგად ითამაშეს, არამედ გამოცდილებაც, ესოდენ საჭირო მათი ასაკისთვის, მიიღეს“.

როგორ შეიძლება შეფასდეს საქართველოს ნაკრებთა გამოსვლა სტამბოლში? ვფიქრობ, დადებითად. ქალებმა ერთი საფეხურით წინ წაიწიეს ელიტასთან შედარებით, მთელი ტურნირი ჩაატარეს თანაბრად, თვალშისაცემი ჩავარდნის გარეშე. პირველ დაფაზე უკეთესი შედეგის ჩვენების შემთხვევაში რეალურად შეიძლებოდა პირველობისათვის ჩინელებთან ბრძოლა. თუმცა უნდა ვიყოთ ობიექტურნი — ჩინეთის ნაკრებმა ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი.

ძნელი წარმოსადგენია გუნდის ასეთი შემადგენლობა შემორჩება თუ არა უახლოეს საჭადრაკო ოლიმპიადებს. ალბათ, არა. აუცილებლად მეჩვენება გუნდის გადახალისება, რა თქმა უნდა თანდათანობით; მაგრამ ამ პროცესს ვერ გავექცევით. გარდა ნინო ხურციძისა, ჩვენი სახელოვანი ქალები თანამედროვე ჭადრაკისთვის კრიტიკულ ასაკში არიან. მათ არც ისეთი ნერვიული სისტემა აქვთ, არც ფიზიკური გამძლეობა, ოლიმპიადებში გამარჯვებას რომ უზრუნველყოფს. კლასი ჰო, მაგრამ მარტო ეს კომპონენტი დღეს უკვე საკმარისი აღარაა. ღვთის წყალობით, საქართველოში მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელთა დროული შერჩევით, გამოცდილი მწვრთნელ-კონსულტანტების მიმაგრებითა და მიზანმიმართული მზადების შემთხვევაში ახლო მომავალში რეალურად შეიძლება ადგილი კვლავაც შევინარჩუნოთ საჭადრაკო ელიტაში. იგივე პრობლემების წინაშე დგას ვაჟთა ნაკრები. თითქმის 10 წელია ეს გუნდი ღირსეულად გამოდის „ერთა ტურნირზე“. ასე იყო ამჯერადაც. მაგრამ აქაც იგივე პროცესები უნდა განვითარდეს, რაც დღეს მსოფლიო ჭადრაკშია — ახალი ძალები, ახალი თაობა, ახალი იდეები, ახალი სახელები. მაგრამ, ცხადია, არა მექანიკურად. სტამბოლში გუნდში სამი დებიუტანტი იყო, მათ გამოცდები ცუდად არ ჩაუბარებიათ, და საკუთარ თავზე ინტენსიური მუშაობის შემთხვევაში ხვალ და ზეგ ნამდვილად ანგარიშგასაწევ ძალად იქცევიან. დარწმუნებული ვარ სტამბოლი მათთვის კარგი გაკვეთილი იქნება.

და რაც მთავარია, როგორც ერთ ისე მეორე შემთხვევაში უნდა მოხერხდეს გუნდის შეკვრა, მასში ერთსულოვნების უზრუნველყოფა, გუნდის ნამდვილი, არაფორმალური ლიდერის გარშემო თავმოყრა. ეს რთული, მაგრამ აუცილებლად გასაკეთებელი საქმეა.



მე-12 ტურში ჩვენმა ქალებმა (მარჯვნივ) უნგრელებს 2:1 მოუგეს, ვაჟებმა (მარჯვნივ) კი ფილიპინელები 3:1 დაამარცხეს



**საბოლოო შედეგები**

**ქალები.** 1. ჩინეთი 32; 2. საქართველო 31; 3. რუსეთი 28,5; 4. უკრაინა 27; 5. იუგოსლავია 26; 6. პოლანდია 25,5; 7-9. უნგრეთი, გერმანია, ინგლისი 25; 10-11. სომხეთი, რუმინეთი 24,5.

**ვაჟები.** 1. რუსეთი 38; 2. გერმანია 37; 3-4. უკრაინა, უნგრეთი 35,5; 5. ისრაელი 34,5; 6. საქართველოს 34; 7-13. ინგლისი, ინდოეთი, ჩინეთი, შვეიცარია, უზბეკეთი, სლოვენია, მაკედონია 33.

# ვლადიმირ კრამნიკი: გაკიცხული და გარიცხული

**ვლადიმირ კრამნიკის** მსოფლიოში გაჩემპიონებას რუსეთში გვარიანი რეზონანსი მოჰყვა. ძველ ქალაქ ნოვგოროდს როგორც კი ამბავმა უწია, იქაურებმა უთვალავი წერილი და დეპეშა გაუგზავნეს თავიანთ ტრადიციულ ტურნირში არაერთხელ წარმატებით ნათამაშევსა და იქაური უნივერსიტეტის სტუდენტ ვოვას. ამ საყოველთაო აღტაცების ჟამს იაროსლავ ბრძენის ქალაქის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა სასურველ სიქველეს ვერ იჩენს: „ნოვგოროდსკიე ვედომოსტის“ ცნობით, კრამნიკი სამი წლის მანძილზე გაჭიმული „შატალოსთვის“ გასული წლის ბოლოს უნივერსიტეტიდან გაურიცხავთ და განა მისი აღდგენის დრო არ დადგა? რომელ სასწავლებელს არ უნდა თავის აუდიტორიებში მსოფლიოს ჩემპიონის ნახვა? კითხვაზე, რად იქცეოდა კრამნიკი უდისციპლინოდ, პასუხი ნათელია — ჭადრაკს თამაშობდა. 96-ში იგი, ჯერ უცხო ენების ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მაგრამ ლექციაზე ერთხელ არ ყოფილა, მერე ფილოსოფიურზე გადაინაცვლა და იქაც იგივე ამბავი. 2 წლის წინ სულაც აკადემიური აუღია და მისი ვადა რომ გასრულდა და არ გამოჩნდა, მაშინ გარიცხეს.

გაზეთი „ნოვგოროდსკიე ვედომოსტი“ მოუწოდებს ნოვგოროდის იაროსლავ ბრძენის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებს: „ბატონო სტუდენტებო! ქვეყანას ჩემპიონები სჭირდება, მაგრამ ნუ ეცდებით, კრამნიკის ცხოვრების გზას გაჰყვეთ, რამეთუ უფრო საჭირონი ფილოსოფები და უცხო ენათა სპეციალისტები არიან. ამიტომ — აუდიტორიებისკენ ნაბიჯით იარ!“

**დავით გულუა**



ვლადიმირ კრამნიკი

# ლენოქს ლუისი VS დავიდ ტუა

## საბჭოსა (WBC) და ფედერაციის (IBF) ჩემპიონისთვის

11 ნოემბერი. ლას ვეგასი

# სად არის შენი ჰუკი, ტუა?




მსოფლიოს ჩემპიონი ლენოქს ლუისი იმალით, დედით და ბრიტანეთის დროშით







დავიდ ტუას ლენოქს ლუისისგან ბლომად მოხვდა, თავით ბაგირებშიც გაეხვირა და 12-რაუნდიანი ბრძოლის შემდეგ მოსასულიერებელი გახდა






**ლას ვეგასის** სასტუმრომ და კაზინომ სახელწოდებით „მენდალი ბეი“ შაბათს მძიმეწონოსანთა 12-რაუნდიან კრივს უმასპინძლა. ერთმანეთის პირისპირ დიდი ჩემპიონი ლენოქს ლუისი და ქამართა მაძიებელი დავიდ ტუა იდგნენ. მეტოქეზე ახოვანმა ლუისმა ქულებით გაიმარჯვა — 118:110, 119:109, 117:111. ასე შეაფასეს ნანახი მსაჯებმა ჩაკ ჯამპამ, დეივ მორეტომ და ჯერი როთმა. სამივე ერთი აზრისა გახლდათ: ჩემპიონმა პრეტენდენტს აშკარად აჯობა, გონგის პირველი შემოკვრიდან ბოლომდე.

„მას ლენოქს ლუისის დარი მოკრივე არასდროს ენახა“ — ამაყად განაცხადა თავად ლუისმა — „ჩემს წინააღმდეგ რინგზე დგომა სულ სხვა რამ არის. ერთია, როდესაც მიზნად გამარჯვებას ისახავ და მეორე, როდესაც ეს უნდა აღასრულო.“

ამრიგად, ჩემპიონმა 1999 წლის 13 ნოემბერს ევანდერ ჰოლიფილდთან ბრძოლაში მოპოვებული ტიტული, აწ უკვე მესამედ დაიცვა. დღეს მისი კარიერა 38 გამარჯვებას, 1 ფრეს და 1 წაგებას ითვლის. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებათაგან 29 ნოკაუტითაა მოპოვებული.

„რაც უნდა მოხდეს, თავის მართლებას არ დავიწყებ“ — ამბობდა ბრძოლის წინ ტუა, რომელსაც ვარჯიშის დროს ნატკენი ნეკნი მეორე რაუნდში გამიზეზება. ბრძოლის შემდეგ სამოელმა განაცხადა:

„ლენოქს ლუისი დიდი ჩემპიონია, ყველა ღონე ვიხმარე, მაგრამ არ გამიმართლა.“

ჭადრაკის დიდი მოყვარული ლუისი სულაც არ აქცევდა ყურადღებას სისხლსმოწყურებული საზოგადოების პერიოდულ უკმაყოფილო გუგუნს და ჩხუბს მისთვის სასურველი ნელი ტემპით განაგრძობდა. დარტყმათა მოკლე გაცვლა-გამოცვლებს მებრძოლები არ შეურყევია, უბრალოდ ლუისი უფრო მშვიდი და აქტიური გამოდგა.

„მისი ბრძოლები ვიდეოზე მქონდა ნანახი“ — თქვა ლუისმა — „შევნიშნე, რომ მარჯვენა ხელს, ფაქტობრივად, არ ხმარობდა და ამიტომ მხოლოდ მარცხენა ჰუკი მაფიქრებდა. თუმცა ის ჰუკიც პირველსავე რაუნდში ვიგრძენი და ვიფიქრე: ჰეი, რას ამბობ, კაცო. ეს სულაც არ არის ღონიერი დარტყმა. რაიმე განსაკუთრებულს ამაშიც კი ვერ ვხედავ.“

მეოთხე რაუნდის შემდეგ ლუისმა მეტოქეს დარტყმათა სერია ფაქტობრივად ყველა რაუნდში აგემა, ხოლო მეთერთმეტეში გვარიანადაც მისცხო — ამ დროისთვის თვალჩალურჯებულ ტუას დაცვაც შედარებით მოუსუსტდა. შემდეგ ჩემპიონმა ეტყობა ხალხის გართობაზეც იფიქრა: მე-12 რაუნდის უდიდესი ნაწილი ცეკვა-ცეკვით გაატარა, ხოლო საბოლოო გონგის ხმაზე ხელები აღმართა და თავისი კუთხისკენ ტრიუმფალურად გაეშურა.

ხოლო ტუამ ერთხელაც ვერ მოახერხა ასე სანატრელი მარცხენა ჰუკის მომაკვდინებლად მოქნევა.

დენ გოსენი (ტუას ერთ-ერთი მწვრთნელი): „დავიდი ამაყობს იმით, რომ მარცხს ღირსეულად შეხვდა და თავის გამართლებას არ ცდილობს. არადა, აშკარაა, მეორე რაუნდის შემდეგ ტუა საკუთარ თავს აღარ ჰგავდა, აკი ვთქვით, რომ ჩვენი ...

რთლებს, ... და კევინ ბერიმ მითხრეს, რომ მ... ორე რაუნდში ტუამ ნეკნი გაიმ... ზეზა.“

„სამოელმა მებრძოლმა“ მა... რებელი მესამე და მეოთხე რა... ნდში შეტევით მაინც გაახალი... და თუმცა მომაკვდინებლად ვე... ის თავისი მარცხენა ჰუკი ერთ... ორჯერ მაინც გაიქნია. თუმცა ლ... ისმა თავი დიდოსტატურად დაიც... და მეხუთე რაუნდიდან ტუას ა... ტიურობაც შეწყდა.

და სად იყო ამ დროს აჩრდ... ლი?

ვისი?

ცხადია, მაიკ ტაისონის.

რკინის მაიკმა საკრივო საზ... როს იმედი გაუცრუა — „მენდ... ლი ბეის“ ტრიბუნაზე მოკალათ... ბის ნაცვლად ფინიქსს გაეშუ... სადაც ცხენს მოახტა და დრო ჭ... ნებ-ჭენებით მოკლა.

„მაიკს ამიერიდან ლუისთან ჩხ... ბი სურს“ — განაცხადა მისმა მ... ნეჯერმა შელი ფინკელმა — „ხ... ლო შაბათის ბრძოლა მან ტელ... ვიზორით ნახა და მწამს, განსაკ... თრებული ვერაფერი აღმოაჩინა.

„ახლა კი, უკვე შეგვიძლია ტ... ისონის ხალხთან მოლაპარაკებ... მაგიდას მივუსხდეთ. ტაისონ... ამბობს რომ ლენოქსთან ჩხუ... სწადია. ჩვენთვისაც სასურველ... მოწინააღმდეგე სწორედ ის გ... ხლავთ. ერთი სიტყვით, ეს ბრძ... ლა თავად კრივის სადიდებლ... უნდა გაიმართოს“ — თქვა ლუ... სის მენეჯერმა ფრენკ მელოუ... ტუასთან ჩხუბის დამთავრებისთ... ნავე.

ეჭვი არაა, HBO და „შოუთა... მი“ რამენაირად მორიგდებიან, რ... მელმა ტელეკომპანიამ უნდა ა... ვენოს მომავალი დიდი ჩხუბ... უფრო სავარაუდოა, ის ლუის... HBO-მაც აჩვენოს და ტაისონ... „შოუთაიმმაც“, რადგან ინტერე... უზომოა, ისევე როგორც სავარა... დო თანხა — 150 მილიონი დ... ლარი. ბრძოლა 2001 წლის ზა... ხულზეა მოსალოდნელი, მანამ... კი ტაისონი 20 იანვარს მალაიზ... აში, კუალა-ლუმპურში ერთსაც ... ხუბებს.

ხოლო ლუისი რკინის მაიკთ... შერკინების შემდეგ ლაზათიან დ... სვენებას ლამობს. ეს ხომ მისთვ... ტიტულის მეოთხე დაცვა იქნებ...

**ტუტა სიხარული...**




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 2... ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge